CYAN BLACK

საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 28 ივლისი, 2004 წელი. №173 (4902) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

◎ პრეზიდენტი

„ხანგრძლივი და ცხელი ზაფხული საქართველოში“

2004 წლის 17 აგვისტოს ამერიკულმა „უოლ სტრიტ ჯორნელმა“ გამოაქვეყნა საუბარი საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ქართველმა ხალხმა დაიწყო გაბედული ექსპერიმენტის განხორციელება, რომლის შედეგი მაშინ უცნობი იყო. შარშან შემოდგომაზე, მრავალი წლის ეკონომიკური დაქვეითებისა და ქრონიკული უკანონობის შემდეგ, ხალხი დადგა დემოკრატიის სადარაჯოზე. ამ მოვლენებს „ვარდების რევოლუცია“ უწოდეს.

იმ დროს ბევრი საქართველოს უწინასწარმეტყველებდა სწრაფ აღსასრულს, აცხადებდა, რომ ლიბერალური ღირებულებანი და დემოკრატიული პრინციპები ვერასდროს დამკვიდრდებოდა კავკასიაში და რომ საქართველო მალე წელში გაწყდებოდა ფესვგამდგარი კორუფციის, ცუდი მმართველობისა და რეგიონალური სეპარატიზმისგან, რაც მძიმე ტვირთად აწვა ქვეყანას. სამხრეთ ოსეთში ამ ცოტა ხნის წინათ მომხდარი ტრაგიკული მოვლენების მიუხედავად, ბათა თავისუფლებას, ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიული არჩევნების გამართვის ყოველგვარ მცდელობას და იმუქრებოდა საქართველოს შემადგენლობიდან გასვლით. აჭარის ყოფილი დიქტატორი, რომელიც ვერ ბედავდა თვალი გაესწორებინა იმ ადამიანებისთვის, წინათ რომ ატერორებდა, გაიქცა მოსკოვში, სადაც კომპრომისების მოწინააღმდეგეებმა დიდსულოვნად მისცეს მას თავშესაფარი.

ჰოდა, ალბათ, არ უნდა გაგვიკვირდეს ის, რომ სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში თავს ირჩენდა დანაშაულებრივი გზით, აჭარაში მოვლენათა ასეთი განვითარების შემდეგ, ვეღარ გრძნობს თავს მშვიდად საქართველოს დემოკრატიული მიღწევების გამო.

რადგან საქართველოს მთავრობამ ამ ცოტა ხნის წინათ მიიღო სერიოზული ზო-

ქართველი ხალხი კვლავ გვიმტკიცებს, რომ მეცნიერები ცდებოდნენ. თუ რატომ, ეს მოგვიანებით გაირკვევა.

გასულ კვირას სეპარატისტებმა სამხრეთ ოსეთში მოკლეს რამდენიმე ქართველი ჯარისკაცი. ისინი დაიღუპნენ მაშინ, როცა ცდილობდნენ მშვიდობის შენარჩუნებას საქართველოს ამ რეგიონში, ტერიტორიით მცირე, მაგრამ ქვეყნის განუყოფელ ნაწილში, სადაც 12 წლის წინათ ბობოქრობდა სეპარატისტული ომი, ახლა კი ჰუმანიტარული კრიზისია გამეფებული.

სიტუაციის ირონიაა ის, რომ აგრესიის ამ უგუნურ ტალღას იმპულსი მისცა საქართველოს წარმატებებმა. გასული წლის დამლევს, როცა გავხდი საქართველოს პრეზიდენტი, უმთავრეს მიზნად დავისახე ქვეყნის აღდგენა და ბრძოლა კორუფციისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ, რომლებსაც შეჰქონდათ დესტაბილიზაცია სახელმწიფოში და ქვეყანა ეკონომიკური კრახისკენ მიჰყავდათ. საქართველოს მშვიდობიანი გაერთიანების გზაზე პირველი ნაბიჯი გადაიდგა მაისში. მამაცმა აქტივისტებმა შავიზღვისპირა რეგიონში – აჭარაში, განდევნეს ადგილობრივი დიქტატორი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში თრგუნავდა პოლიტიკურ პლურალიზმს და მასობრივი ინფორმაციის საშუალემები სამხრეთ ოსეთიდან და თვით ამ რეგიონის ტერიტორიაზე კონტრაბანდის მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირების მიზნით, მეამბოხე რეგიონის ფაქტობრივმა ხელმძღვანელობამ იგრძნო, რომ დაემუქრა საფრთხე მის შემოსავლებს და გადაწყვიტა, მიემართა ძალადობისათვის. ქართველი სამხედროები მოკლეს იმის იმედით, რომ ეგონათ, ასეთი გზით შეძლებდნენ კონფრონტაციის პროვოცირებას, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა საქართველოს რეპუტაციის საკითხს მსოფლიო გაერთიანების თვალში.

საქართველო ათასწლეულების მანძილზე ამაყობდა იმით, რომ მრავალეროვანი და ღია საზოგადოება იყო. ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობა ყოველთვის იყო ჩვენი თვითშეგნების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. ამის დადასტურებაა თუნდაც ის, რომ სეპარატისტების საქმიანობის გააქტიურებისა და სამხრეთ ოსეთში დაძაბულობის გამწვავების მიუხედავად, საქართველოს მთავრობა კვლავ განაგრძობს რუსეთიდან საქართველოში ნებისმიერი სარწმუნოებისა და ეროვნების ლტოლვილების დაბრუნების პოლიტიკას. ჩვენ კვლავ განვაგრძობთ ამას, რთული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

მათ ხსოვნას დავიწყება არ უწერია!

პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულებით, უკანასკნელ დღეებში ცხინვალის რეგიონში დაღუპული ჯარისკაცები ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდნენ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის გიორგი ბარამიძის განცხადებით, იგი როგორც ქვეყნის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი ამაყობს საბრძოლო მოვალეობის შესრულებისას დაღუპული მეომრების მიერ გამოჩენილი ვაჟკაცობითა და თავგანწირვით.

– თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა ქედს იხრის დაღუპული ჯარისკაცების წინაშე და პირობას დებს, რომ ბოლომდე მიიყვანს ქვეყნის გამთლიანების საქმეს, რომლისთვის ბრძოლას ისინი შეეწირნენ, – განაცხადა დღეს მინისტრმა.

ოსური მხარის მიერ ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლების დაბომბვების შედეგად 12-17 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოთხი კაპრალი – წალენჯიხელი ზაზა დამენია, რუსთაველი გიორგი ბეგაშვილი, ჭიათურელი იგორ ტყემალაძე, საჩხერელი კობა შუბითიძე და უფროსი ლეიტენანტი, დუშეთელი თეიმურაზ არათანაშვილი დაიღუპნენ.

ინტერ-პრესი.

◎ სულიერება

მასობრივად მოინათლნენ

პანკისის ხეობის ოსური და ქართული სოფლების მოსახლეობა გუშინ მდინარე ალაზანში მასობრივად მოინათლა. საქართველოს საპატრიარქოს ხელშეწყობით ალავერდის ეპარქიის სასულიერო პირებმა, მამა ზაქარიამ და მამა რაჟდენმა ხეობის 60-ზე მეტი მცხოვრები გააქრისტიანეს და ალაზანში განბანვის შემდეგ მირონი სცხეს.

მონათლულთა შორის იყვნენ პანკისის ხეობაში დისლოცირებული შინაგანი ჯარის ჯარისკაცები, მათ შორის — ქურთი ეროვნების სამხედრო.

პანკისის ხეობაში წირვა-ლოცვა ოთხ დღეს გაგრძელდება. გუშინ საღამოს, ქისტურ სოფელ ჯოყოლოში მოქმედ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში ხეობის მოსახლეობა პირველ ფართომასშტაბიან მართლმადიდებლურ წირვას დაესწრო.

◎ სადი აზრი ილვიძეზს

მოხარხარე ეშმა და ტარზანის მოულოდნელი განცხადება

ოთხი დღეა, ტყვია წვიმს ცხინვალის რეგიონში, ძირძველ ქართულ სანახებში. ხარხარებს ეშმა, სიხარულისგან ხელებს იფშვნეტს – კიდევ ერთხელ ხომ აისრულა წადილი, კიდევ ერთხელ ხომ წაჰკიდა ძმები – ქართველები და ოსები ერთმანეთს, ტყვია ხომ დააშენინა ერთურთისთვის...

ვინ არის იგი, ეშმა?

კითხვის დასმაც ზედმეტია. ვგონებ ყველამ – ქართველებმაც და საღად მოაზროვნე ჩვენებურმა ოსებმაც კარგად ვიცით ეს!

– ცეცხლის გახსნის შესახებ ურთიერთბრალდებების შემდეგ ქართული და ოსური მხარეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კონფლიქტის ზონაში 15-20-კაციანი კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი დაჯგუფება მოქმედებს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთიდან შემოვიდა, ღამის საათებში ორივე მხარის პოზიციებს დროგამოშვებით უხსნის ცეცხლს და მხარეების წაქეზებით ომის პროვოცირებას ცდილობს, – განაცხადა გუშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ. მანვე დასძინა, რომ კონფლიქტის ზონაში ამგვარი ჯგუფის მოქმედება ოსურმა მხარემაც აღიარა.

და, რაც მთავარია, ორივე მხარე ამ ჯგუფის აღმოჩენასა და განადგურებაზე შეთანხმდა.

ეს ეშმას დასასრულის დასაწყისია!

ამის თქმის უფლებას ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ტარზან კოკოევის ბევრისთვის (უწინარესად, ეშმასა და მისი მხარდამჭერებისთვის) ალბათ მოულოდნელი განცხადებაც მაძლევს, – კეხვი-თამარაშენის მონაკვეთზე ქართველი და ოსი ძალოვანები რუსი სამშვიდობოების გარეშეც კარგად გავაკონტროლებთ მდგომარეობას, არავის დახმარება არ გვჭირდებაო, რომ თქვა.

მართლაც ტარზანი ყოფილხარ, გვიმრავლოს შენნაირად მოაზროვნენი!

ეშმას კი ისღა დარჩენია, ის ხელები, აქამდე სიხარულით რომ იფშვნეტდა, სიმწრით დაიკბინოს.

თუ, ცხადია, ჩვენივ ახალი უგუნურებით არ მივცემთ ხელახლა ახარხარების საშუალებას, ჩვენო ოსო ძმებო!

რუსლან რუსია.

◎ კონფლიქტის ზონა

მიღწეულია შეთანხმება

ცხინვალის რეგიონი გუშინდლიდან დემილიტარიზებულ ზონად გამოცხადდა. როგორც სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ ცხინვალის ხელისუფლების განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა განაცხადა, მიღწეულია შეთანხმებები კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და იმ გზების დებლოკირება-დემილიტარიზაციის შესახებ, რომლებიც კონფლიქტის ზონაში არსებულ ცხრა ქართულ სოფელს დანარჩენ საქართველოსთან აკავშირებს. გარდა ამისა, გაგრძელდება მუშაობა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას და სეპარატისტთა ლიდერის ედუარდ კოკოითის შეხვედრის მოსამზადებლად.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში მიღწეული შეთანხმების თანახმად, კონფლიქტის ზონაში უნდა დარჩეს მხოლოდ სამშვიდობო კონტინგენტი და ადგილობრივი პოლიცია – როგორც ოსური, ისე ქართული მხარის. „მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ შექმნილ სიტუაციაში მშვიდობას უფრო მეტი შანსი ექნება და საბრძოლო მოქმედებები აღარ განახლდება“, – აღნიშნა ჩოჩიევმა.

შერეულ საკონტროლო კომისიაში ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლის თეიმურაზ კუსოვის შეფასებით, გუშინ თბილისში გამართული მოლაპარაკებები საკმაოდ ნაყოფიერი იყო. მისივე მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლების, რუსეთის ფედერაციისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა.

თეიმურაზ კუსოვის თქმით, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ედუარდ კოკოითის შეხვედრა მოხერხდეს. მან იმედი გამოთქვა, რომ ამ შეხვედრის შემდეგ სამშვიდობო პროცესი უფრო რეალურ კონტურებს შეიძენს და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება უფრო რეალური გახდება.

◎ ინფორმაცია

ჰუმანიტარული აქცია გრძელდება

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში ჰუმანიტარულ აქციებს განაგრძობს. მორიგი დახმარება გუშინ დიდი და პატარა ლიახვის ხეობების სამედიცინო დაწესებულებებმა მიიღეს.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან ჯუღელმა დიდი ლიახვის ხეობის სოფელ ქურთის საავადმყოფოს სამკურნალო საშუალებებთან ერთად, დიზელ-გენერატორი ჩაუტანა. მან ქურთაში შემოვლითი გზით უსაფრთხოდ ჩააღწია და უსაფრთხოდ დაბრუნდა.

მისი განცხადებით, აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს არა მარტო სტაციონარში მყოფი ავადმყოფების მკურნალობას, არამედ დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრები მოსახლეობისთვის სამკურნალო საშუალებების გადაცემასაც.

ინტერ-პრესი.

◎ ათენი – 2004

გუშინ მედლებისთვის ბრძოლაში ჩაებნენ 51 კგ. წონითი კატეგორიის მოკრივეები. ევროპის წლევანდელმა ვიცე-ჩემპიონმა, ფოთელმა ნიკოლოზ იზორიამ პირველ წრეში ტუნისელ ვალიდ ჩერიფს სძლია 24:14. მეორე შეხვედრას იგი 21 აგვისტოს აზერბაიჯანელ ფუად ასლანოვთან გამართავს.

ვაჟა დანელია.

„სრ“ სპეც.კორ. (ტელეფონით).

◎ პრემიერ-მინისტრი

საქართველოს ხელისუფლება სტატუსის განსაზღვრისთვის მოსალაპარაკებლად მზად არის

– საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება მზად არის, დაიწყოს მოლაპარაკებები სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრისათვის.

როგორც ბატონმა ზურაბმა გუშინდელ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრა აუცილებელია კონფლიქტის სრულმასშტაბიანი, საბოლოო მოგვარებისათვის, თუმცა ეს უკვე მეორე ეტაპია და სტატუსის განსაზღვრა მხოლოდ თბილისში შერეული საკონტროლო კომისიის წარმომადგენლებთან მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციის შემდეგ გახდება შესაძლებელი. **„მას შემდეგ, რაც მოხდება ცხინვალის რეგიონის სრული დემილიტარიზაცია, მოხდება გზების დებლოკირება და რეგიონს დატოვებს ყველა უკანონო შეიარაღებული ფორმირება, მზად ვართ, დავიწყოთ მოლაპარაკებები ე. წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრის საკითხზე“,** – აღნიშნა მან.

ზურაბ ჟვანია დარწმუნებულია, რომ საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში გამართული მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმებები აღარ დაირღვევა. **„ამის გარანტიად შეიძლება, ჩაითვალოს ის, რომ კონფლიქტის ზონას, შეთანხმების თანახმად, ყველა შეიარაღებული ფორმირება დატოვებს სამშვიდობო ძალების გარდა“,** – აღნიშნა მან.

პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ოსური მხარე კონფლიქტის ზონაში მის კონტროლს დაუქვემდებარებელი დაჯგუფებების მოქმედებაზე საუბრობს. **„იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სამხრეთ ოსეთში რაღაც ფანტომები შეიჭრნენ, რომლებიც საომარი მოქმედებების პროვოცირებას ახდენენ. თუ იქ მართლაც იმყოფებიან ძალები, რომელთა მოქმედებაზე პასუხისმგებლობას ვერც ერთი მხარე ვერ იღებს, ჩვენ შეგვწევს ძალა და ნებისმიერი ამგვარი დაჯგუფება უნდა განადგურდეს“,** – აღნიშნა მან.

ჟვანიას თქმით, გუშინ ვენაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი გაემგზავრა, ის ეუთოს საბჭოს სხდომას დაესწრება, რომელზეც სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებას განიხილავენ.

ინტერ-პრესი.

◎ თანადგომა

აშშ და თურქეთი კვლავ გვეხმარებიან

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აშშ-ის კონგრესმა 4,9 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო თურქეთის მთავრობამ 2, 5 მილიონი აშშ დოლარი გამოუყო. ამის შესახებ გუშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ განაცხადა.

ბარამიძის თქმით, აშშ-ის კონგრესის მიერ საქართველოსთვის დამატებით 4,9 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის შესახებ მას გუშინ საქართველოში აშშ-ის სამხედრო ატაშემ აცნობა. რაც შეეხება თურქეთის მთავრობის მიერ გაწეულ დახმარებას, ეს ინფორმაცია ბარამიძემ თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მიიღო. **მისი თქმით, აშშ-ს მიერ ასიგნებით გამოყოფილი 4,9 მილიონი დოლარი არ შედის იმ თანხაში, რომელიც აშშ-მ საქართველოს თავდაცვის სფეროსათვის გამოუყო.**

– იმ ვითარებაში, როცა საქართველოს ერთ-ერთ მხარეში ვითარება უკიდურესად მწვავეა და რეალურად არსებობს საქართველოს საომარ მოქმედებებში ჩათრევის პირობები, ხელისუფლება მადლიერებას გამოხატავს ყველა იმ მეგობარი ქვეყნის მიმართ, რომლებმაც სწორედ ახლა გადაწყვიტეს საქართველოს თავდაცვის უწყებისათვის დამატებით თანხების გამოყოფა.

პარიზი ყურადღებით ეცნობა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სერიოზული შეშფოთება გამოთქვა სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით და მხარეებს კონფლიქტის უსწრაფესი მოგვარებისკენ მოუწოდა. საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, პარიზში ყურადღებით სწავლობენ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გაგზავნის შესახებ.

როგორც გუშინ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის მოადგილემ მარი მასდიუპიუიმ განაცხადა, პარიზი „სერიოზულად არის შეშფოთებული ბოლო დღეებში სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებით და ყველა მხარეს მოუწოდებს, შეასრულონ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში მიღწეული სხვა შეთანხმებები“.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასევე მოუწოდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას, „ყველაფერი გააკეთოს“ კონფლიქტური სიტუაციის უსწრაფესი მოგვარებისათვის.

მესტიას საფრანგეთის უწევდის დახმარების ხელს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მოწოდებას დიპლომატიური მისიების მიმართ, დახმარებოდნენ 15-16 ივლისს წყალდიდობისგან დაზარალებულ მესტიის რაიონს, ამერიკის ელჩის რიჩარდ მაილსის გარდა საფრანგეთის მთავრობაც გამოეხმაურა.

საფრანგეთის საელჩო საქართველოში აცნობებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა მზადაა, ჰუმანიტარული დახმარების სახით მესტიის რაიონს გამოუყოს 22 ათასი ევრო ტერიტორიის გასასუფთავებელი ტექნიკის შესაძენად.

ინტერპანორამა

კოსოვოს ციხის ოცმა პატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა სასამართლოების მიერ მათი საქმეების უპრეცედენტოდ ნელი ტემპით განხილვის გამო პროტესტის ნიშნად. ზოგჯერ განაჩენის გამოტანა წლობით ჭიანურდება.

ირანი იმუქრება, რომ „შახაბ-3“ რაკეტებით დაბომბავს დიმონში მდებარე ისრაელის ატომურ რეაქტორს, თუ ეს უკანასკნელი ბუშერის ატომურ ელექტროსადგურს დაარტყამს. ისრაელი ოფიციალურად არ ადასტურებს და არც უარყოფს, რომ მას ატომური იარაღი აქვს.

აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა ნეჯეფის ცენტრი დაბომბეს. ბომბები შიიტური სიწმინდის – იმამ ალის მავზოლეუმის სიახლოვეს დაეცა, სადაც „ბაჰდის არმიის“ აჯანყებული წევრები აფარებენ თავს.

CYAN BLACK

საქართველოს რესპუბლიკა

№ 191, ოთხშაბათი, 18 აგვისტო, 2004 წელი.

⊙ პრეზიდენტი

„ხანგრძლივი და ცხელი ზაფხული საქართველოში“

(პირველი გვერდიდან)

სამწუხაროდ, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების და რუსეთის მთავრობაში ზოგიერთი ელემენტის დამოკიდებულებამ ყოველივე ამისადმი სიტუაცია მიიყვანა შეიარაღებული კონფლიქტის გაღვივების ზღვარზე. მართალია, საქართველო ყოველნაირად ცდილობდა არ აჰყოლოდა საშიშ პროვოკაციებს, მაგრამ მე ყველას დავანახე, რომ ჩემი მთავარი პრიორიტეტია ჩვენი ხალხის უშიშროება, და ჩვენ დავიცავთ ჩვენს მოქალაქეებს აგრესიისგან. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ საქართველოს სურს კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი დიალოგის გზით, მე მოვუწოდებ ვაშინგტონს, ბრიუსელს, აგრეთვე, მთელ საერთაშორისო გაერთიანებას, უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სამხრეთ ოსეთში დაძაბულობის შენელების საქმეში.

კონკრეტულად რით შეუძლია საერთაშორისო გაერთიანებას შეუწყოს ხელი პოლიტიკური დიალოგის მეშვეობით კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზების ძიებას? კარგი დასაწყისი იქნებოდა, თუ საერთაშორისო გაერთიანება, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და ეუთო აქტიურად ჩაებმებოდნენ კონფლიქტის უშუალო მონაწილეებს შორის უმაღლესი დონის მოლაპარაკებაში.

დიალოგის ძირითადი თემა უნდა გახდეს სამი შემდეგი საკითხი: პირველი — სამხრეთ ოსეთის დემილიტარიზაცია. იქ მყოფმა ნახევრადგასამხედროებულმა ფორმირებებმა და რუსეთიდან იარაღის მიწოდებამ შეასრულა მთავარი როლი დაძაბულობის გამწვავებაში. შესაბამისად, საჭიროა გაიცეს სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციის შეყვანის მანდატი, რომელიც გაითვალისწინებდა საქართველოს ევრო-ატლანტიკურ პარტნიორებს და შეძლებდა მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფას და საჭირო პირობების შექმნას კონფლიქტის გრძელვადიანი მოწესრიგების გზაზე პოლიტიკური მოლაპარაკებების დაწყებისათვის. ეს არის რეგიონში მტკიცე მშვიდობის მიღწევის ერთადერთი რეალური საშუალება.

არანაკლებ ოპერატიულობით უნდა გავაფართოვოთ სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო მეთვალყურეთა, განსაკუთრებით — ეუთოს მეთვალყურეთა უკვე არსებული მანდატი. აქამდე ეუთოს მისია მხოლოდ ექვსი დამკვირვებლით შემოიფარგლებოდა. გარდა ამისა, იგი დაზარალდა იმის გამო, რომ რუსეთი ცდილობს არ დაუშვას ეუთოს მეთვალყურეები სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ნაწილში. არადა, სამხრეთ ოსეთში სწორედ იქედან შემოაქვთ რუსეთიდან კონტრაბანდული იარაღის, ნარკოტიკებისა და სხვა საქონლის ძირითადი ნაწილი. ეს ხდება ერთადერთი გზით — როკის გვირაბით.

ამიტომ, მესამე ნაბიჯი უნდა გახდეს რუსეთ-საქართველოს ერთობლივი საკონტროლო-გამშვები პუნქტისა და საბაჟო პუნქტის შექმნა როკის გვირაბთან, სამხრეთ ოსეთში უცხოელი მოთარეშეების, კონტრაბანდული იარაღისა და სხვა საქონლის შეღწევის აღკვეთის მიზნით. რუსეთი კვლავ ეწინააღმდეგება ასეთი პუნქტის შექმნას, თუმცა, აღიარებს, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილია.

საქართველოს მთავრობის პოზიცია ნათელია. საერთაშორისო გაერთიანებამ უნდა შეასრულოს წამყვანი როლი ამ კონფლიქტის მოგვარებაში და მიიღოს ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა.

საქართველოს და რუსეთს აკავშირებთ თბილი კულტურული ურთიერთობა და საერთო ისტორია. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს რუს პარტნიორებთან და იმედი გვაქვს, რომ იგი კიდევ უფრო განვითარდება. ჩვენ უკვე მივაღწიეთ გარკვეულ პროგრესს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საკითხებში. მე მსურს განვაგრძო ნაყოფიერი სამუშაო ურთიერთობა მოსკოვთან, მაგრამ როცა წამოიჭრება ჩვენი მოქალაქეების დაცვის საკითხი, არსებობს გარკვეული საზღვარი, რომელიც დემოკრატიული ღირებულებებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას ნიშნავს, და ამას პატივი უნდა ვცეთ.

მშვიდობისთვის ბრძოლა მრავალ საფრთხეს შეიცავს, მაგრამ ჩვენ მზად ვართ კვლავაც გავიღოთ ძალისხმევა ქვეყნის პოლიტიკური გზით გამთლიანების, ლიბერალურ ღირებულებათა გავრცელებისა და კავკასიაში საერთო ბაზრის განვითარებისთვის, რადგან, ჩვენი აზრით, ეს არის წინაპირობა ევროპის ეკონომიკასა და უშიშროების სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის.

ამჟამად არსებული დაძაბულობისა და აშკარა პროვოკაციების მიუხედავად, მე კვლავ ვერთგულობ სამხრეთ ოსეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების იდეას. ამისთვის მე ვთხოვ საერთაშორისო გაერთიანებას, რომელიც იზიარებს ჩემს ასეთ პოზიციას, გადადგას ქმედი ნაბიჯები ამ პროცესის განხორციელებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაძაბულობა შეიძლება გამწვავდეს, რაც გამოიწვევს ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის დამხობას და მოუტანს დესტაბილიზაციას მთელ რეგიონს.

მოამზადა
სიმონ კილაძემ.

⊙ დედაქალაქი

ჰოლანდიური ავტობუსებიც გამოჩნდნენ

თბილისის მუნიციპალიტეტმა ჰოლანდიიდან დამატებით 22 ავტობუსი ჩამოიყვანა. ჰოლანდიური ავტობუსების პრეზენტაცია ქალაქის ხელმძღვანელობის ინიციატივით გუშინ №8 ავტოპარკში გაიმართა.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, ავტობუსების სამოძრაო სქემა თბილისის ცენტრალური ავტომაგისტრალების განტვირთვას ისახავს მიზნად. სქემის თანახმად, ახალი ავტობუსები უმაღლეს სასწავლებლებთანაც გაივლიან.

ჰოლანდიური ავტობუსების მძღოლები სამსახურში სპეციალურ ფორმებში გამოწყობილები ივლიან.

ქალაქის მუნიციპალიტეტი ჰოლანდიიდან კიდევ 100 ავტობუსის ჩამოყვანას გეგმავს.

ინტერ-პრესი.

⊙ შეშფოთება

მოუწოდებს პოლიტიკური დიალოგისკენ

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს ღრმა შეშფოთებას ქართულ-ოსური კონფლიქტის სახიფათო ესკალაციის გამო, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლი მოსდევს.

კონფლიქტის ფართომასშტაბიან სამხედრო მოქმედებებში გადაზრდის დაუშვებლობის მიზნით, უკრაინა მხარეებს მოუწოდებს, დაიწყონ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისკენ მიმართული პირდაპირი პოლიტიკური დიალოგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ცნობის, მისი სუვერენიტეტის პატივისცემისა და კონფლიქტში მონაწილე მხარეთა ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე.

უკრაინა აუცილებლად მიიჩნევს სამხრეთ ოსეთის მთელი ტერიტორიის დემილიტარიზაციის ინიციატივების მხარდაჭერას, ამავე ტერიტორიაზე საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ეუთოს დამკვირვებელთა რაოდენობის და მათი მოქმედების ზონის გაზრდას.

კიევი, 16 აგვისტო, 2004 წელი.

⊙ კონფლიქტის ზონა

ვითომ „მესამე ძალა?“

ოსი სეპარატისტები 16 აგვისტოს ღამით ქართული მხარის მიმართულებით ცეცხლის გახსნის ფაქტს ადასტურებენ, თუმცა აცხადებენ, რომ ცეცხლი ცხინვალის ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ე.წ. „მესამე ძალამ“ გახსნა.

ამის შესახებ გუშინ ჟურნალისტებს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ განუცხადა.

მისი თქმით, გუშინ ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართულ მოლაპარაკებებზე ოსურმა მხარემ აღიარა, რომ წვერიახოს მიდამოებიდან ქართული პოზიციების მიმართულებით ცეცხლი გაიხსნა. თუმცა ოსური მხარე ამ ფაქტს კვლავ „მის მიერ არაკონტროლირებად მესამე ძალას“ უკავშირებს და ცეცხლის გახსნაში სწორედ მას ადანაშაულებს.

„მესამე ძალა“ კი... „ბლეფია“

საქართველოს უშიშროების მინისტრი ვანო მერაბიშვილი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში ოსური მხარის კონტროლსდაუქვემდებარებელი მესამე ძალის მონაწილეობას არ ადასტურებს.

— აშკარაა, რომ ქართულ პოზიციებს უშუალოდ ოსი სეპარატისტები და მათ დაქვემდებარებაში მყოფი უკანონო შეიარაღებული ფორმირებები ბომბავენ. თუმცა ოსური მხარე ამტკიცებს, რომ მისი პოზიციებიდან სროლა ცხინვალის ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად წარმოებს, — განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს მერაბიშვილმა.

მისი თქმით, ოსურ მხარეს არგუმენტად მის პოზიციებზე ჯერჯერობით დაუდგენელი წარმომავლობის მებრძოლთა გვამების აღმოჩენა მოჰყავს, რომლებიც, მისი მტკიცებით, ცხინვალის ხელისუფლებას არ ემორჩილებიან.

—შექმნილ სიტუაციას საქართველოს ხელისუფლება უახლოეს მომავალში გაარკვევს, — დასძინა მერაბიშვილმა.

მის მოსაზრებას საქართველოს შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილიც იზიარებს, რომლის განცხადებით, ოსური მხარის მტკიცება კონფლიქტის ზონაში „მესამე, უკონტროლო ძალის“ მოქმედების შესახებ „ბლეფია“.

პასუხსშეუჩვეველნი თავქუდმოგლეჯილნი გაიქცნენ....

ოსური მხარის საარტილერიო დარტყმებზე ქართული მხარის მიერ საპასუხო ცეცხლის გახსნის შემდეგ ოსურმა და კაზაკთა შენაერთებმა სოფელ ხეითის მაღლობი დატოვეს.

ამის შესახებ გუშინ ინტერ-პრესს ერედვის შტაბში განუცხადეს, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ხელმძღვანელობს.

შტაბის მონაცემებით, მას შემდეგ, რაც ქართულმა მხარემ საპასუხო ცეცხლი გახსნა, ოსურმა ქვედანაყოფმა და მასთან ერთად მყოფმა კაზაკებმა დატოვეს ხეითის მაღლობი, რომლიდანაც ისინი პატარა ლიახვის ხეობის შემოვლით გზას აკონტროლებდნენ. სიჩქარეში მათ ვერ მოასწრეს დიდი რაოდენობით ტყვიაწამლის წაღება, რომელიც ადგილზე დარჩა.

ინტერ-პრესი.

⊙ მსოფლიო ორბიტაზე

ვის სურს ომი რუსეთსა და საქართველოს შორის

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მისცა ინტერვიუ „ნოვაია გაზეტას“ სპეციალურ კორესპონდენტს თბილისში ელენე მილაშინას.

— ბატონო პრეზიდენტო! საქართველო და რუსეთი სამხრეთ ოსეთში საომარი კონფლიქტის მიჯნაზე დგანან. სიტუაცია ძალზე გართულდა. ჩვენდა სამწუხაროდ, არის მსხვერპლიც: დაიღუპნენ ქართველი პოლიციელები. თქვენი აზრით, რა უნდა მოიმოქმედონ დაუყოვნებლივ საქართველომ და რუსეთმა იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ომი?

— ჯერ ერთი, უნდა გსურდეს ომის თავიდან აცილება. ვფიქრობ, რომ მრავალ იმ ადამიანს, რომლებიც დაპირისპირებისაკენ გვიბიძგებენ, ბოლომდე არა აქვთ შეგნებული, თუ რა შეიძლება ამას მოჰყვეს. სტანდარტული სქემა ძალზე მარტივია: საქართველო სუსტი მხარეა, რუსეთი კი დიდია, რუსეთს ძლიერი არმია ჰყავს, როგორც კი საქართველო ოდნავ წამოდგება ფეხზე, საჭიროა დაუყოვნებლივ მივუჩინოთ მისი ადგილი — „პატარა ომი“ მხოლოდ სარგებელს თუ მოგვიტანს. მაგრამ, ალბათ, მათ არა აქვთ შეგნებული, თუ რას ნიშნავს „პატარა ომი“ კავკასიაში. აქ ნებისმიერი სამხედრო დაპირისპირება უთუოდ გასცდება თავისი ტერიტორიის ფარგლებს.

ვფიქრობ, რომ ამ ადამიანებთან ქცევის რაიმე ნორმებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. თუ ისინი ამბობენ, რომ არ შეიძლება სეპარატიზმის შეგულიანება-მხარდაჭერა ჩეჩნეთში, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს საქართველოში, მათ უბრალოდ ბოლომდე არა აქვთ გააზრებული, თუ რაში შეიძლება გადაიზარდოს ეს ომი თვით მათთვისაც. სერიოზულ ომს ახლა გაცილებით სერიოზული შედეგები ექნება, ვიდრე 90-იანი წლების დამდეგის სამხედრო კონფლიქტებს. რეგიონში ახლა გაცილებით მეტი იარაღია, ვიდრე მაშინ. მეომარი ადამიანები უფრო ორგანიზებული, უფრო დისციპლინირებულები არიან, ვიდრე წინათ. მათ, უბრალოდ, მეტი გამოცდილება აქვთ. ყოველივე ეს გადაიზრდება ხანგრძლივ შეიარაღებულ დაპირისპირებაში. საქართველოსთვის ეს კატასტროფაა, მაგრამ სხვა მონაწილეებისთვისაც მოვლენების ასეთი განვითარება ძალზე არასასურველია. როცა ყველა ამას შეიგნებს, ომიც აღარ იქნება.

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ უკვე ახლა აუცილებელია პრეზიდენტ პუტინის სასწრაფო პირადი ჩარევა თითქმის მომწიფებული კონფლიქტის შეჩერებისთვის.

— ვფიქრობ, რომ პრეზიდენტი პუტინი ადევნებს თვალყურს აქ განვითარებულ სიტუაციას. რამდენადაც მე მესმის, მან გადაწყვიტა გამოგზავნოს თავისი დიპლომატები. საერთოდ, სასურველია, რომ ასეთი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს რუსეთის პრეზიდენტის დონეზე. ეს ის გადაწყვეტილება არ არის, რომლის მიღების უფლებამოსილებით შეიძლება აღიჭურვოს რამდენიმე გენერალი, მთავარი სადაზვერვო სამმართველოს რომელიმე ოფიცერი ან პრეზიდენტის ადმინისტრაციის რომელიმე თანამშრომელი. რა თქმა უნდა, უპრიანი იქნებოდა, რომ პრეზიდენტმა პუტინმა ყოველდღიურად პირადად გაამახვილოს ყურადღება ამ საკითხებზე.

— მაინც, რუსეთის რა ძალები — პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, სამხედროები — უჭერენ მხარს კოკოითის სეპარატისტულ რეჟიმს?

— ჯერ ერთი, „სეპარატისტები“ უკვე კარგა ხანია გადაიქცნენ კრიმინალურ დაჯგუფებად, აქ ლაპარაკიც ზედმეტია კეთილ მიზნებზე, რაიმე დამოუკიდებლობაზე. აქ, უბრალოდ, მოქმედებს კლანური ინტერესები ნარკოტრაფიკში, კონტრაბანდაში, იარაღით ვაჭრობაში... ყოველივე ეს საშიშია როგორც ჩვენთვის, ისე რუსეთისთვის. რუსეთში ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ უნდა ეფიქრათ იმაზე, საჭირო იყო თუ არა ამ ქვეყნის საზღვრების მახლობლად კრიმინალების მხარდაჭერა... ჩვენ არა გვაქვს აბსოლუტურად სრული მონაცემები იმის თაობაზე, თუ ვინ აფინანსებს ამ დაჯგუფებებს. მაგრამ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, კონფლიქტის პირველ დღეებში ფულს ისინი იღებდნენ რუსეთის სხვადასხვა კერძო კომერციული სტრუქტურებიდან, რომლებსაც ამას რუსეთის ოფიციალური სტრუქტურები ავალებდნენ. ეს ჩვენ დანამდვილებით ვიცით. რაიმე კერძო ინიციატივა იქ არ ყოფილა. მოქმედებდა ძალდატანების მექანიზმი: კომერციული ფირმები იღებდნენ მითითებებს რუსეთის სამინისტროებისგან, ძალოვანი უწყებებისგან, მათ შორის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ზოგიერთი თანამშრომლისგანაც. პროპაგანდისტული კამპანიის კოორდინაცია ოფიციალური პირების დონეზე მიმდინარეობდა. საქმე ეხებოდა არა მარტო სატელევიზიო არხებს, არამედ პრესასაც: რედაქციებს პირდაპირ მიუთითებდნენ, თუ როგორ უნდა გაეშუქებინათ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები. მე ზუსტად ვიცი, თუ რომელი კომერციული სტრუქტურები აფინანსებდნენ ყოველივე ამას, მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, არ მაქვს სურვილი დავასახელო ისინი, რადგან ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს: დღეს ერთი სტრუქტურაა, ხვალ — მეორე იქნება. ვისაც დაავალებენ, ის დააფინანსებს. მოხალისეები, რომლებიც თვითონ მოისურვებდნენ ამ საქმეში ჩარევას, არ ყოფილან, ეს მე ნამდვილად ვიცი. იყვნენ ადამიანები, რომლებსაც მოუწოდებდნენ და უშუალოდ აძლევდნენ დავალებებს, მათ შორის რუსეთის მსხვილ ფირმებსაც.

— რუსეთში თუ არიან საქართველოს მიმართ მეგობრულად განწყობილი პოლიტიკური ძალები? თუ აქვთ მათ რაიმე გავლენა?

— უწინარეს ყოვლისა, ჩვენს მიმართ მეგობრულად განწყობილია ყველა ის ძალა, რომელსაც სურს იხილოს ძლიერი და თანამედროვე საქართველო. რუსეთში ასეთი ძალები არიან, მაგრამ მათი ხმა ნაკლებად ისმის — არა იმიტომ, რომ ისინი ცოტანი არიან, არამედ იმის გამო, რომ უბრალოდ, ვერ ახერხებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებამდე მიღწევას. როგორც ჩანს, სამწუხაროდ, ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაზე მათ არ ძალუძთ რაიმე პრაქტიკული გავლენის მოხდენა. თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს დროებითი მოვლენაა.

— „ნოვაია გაზეტასათვის“ მიცემულ ინტერვიუში ნინო ბურჯანაძემ თქვა, რომ საქართველომ ჩინებულად აითვისა ასეთი გამოთქმა: „თუ მშვიდობა გსურს, ომისთვის მზად უნდა იყო“. ცნობილია, რომ მკვეთრად გაიზარდა საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი. თქვენი აზრით, ეს სადღეისოდ სწორი პოზიციაა? თქვენ ომისთვის ემზადებით?

— პირდაპირ მსურს გითხრათ, რომ როგორც უნდა გაიზარდოს საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი, იგი მაინც ვერ არის სრულფასოვანი და ჩვენ საკუთარ თავს ვერ მივცემთ ომის გაჩაღების უფლებას. ომი ხომ ნიშნავს ყველა ძალის — ეკონომიკური, ადამიანური, სულიერი ძალების უკიდურეს დაძაბვას. ჩვენ ასეთი რესურსები არ გაგვაჩნია და არც უახლოეს მომავალში გვექნება. ჩვენთვის ახლა მნიშვნელოვანია ყველა რესურსი მოვახმაროთ ქვეყნის აღდგენას და მშენებლობას. არმიას ჩვენ ნამდვილად განვავითარებთ. გავზრდით ხარჯებს ამ მიზნით, რადგან ეს არის თავდაცვის უკანასკნელი მიჯნა, ყველაზე უარესი ვარიანტი, რომლის გამოყენებაც, ღმერთმა ნუ დაგვაჭიროს. ეს წააგავს იმას, როცა ცდილობენ მომაკვდავი ადამიანის მობრუნებას საიქიოდან ხელოვნური სუნთქვის მეშვეობით. რა თქმა უნდა, უმჯობესია ასეთ სიტუაციაში არ მოვხვდეთ.

თუმცა უკეთეს მდგომარეობაში არც ახლა ვართ. ნერვული დაძაბულობა გადაეცემა ეკონომიკას, — ჯერჯერობით არ შეინიშნება რაიმე მკვეთრი გაუარესებები და გარკვეული ზრდაც კი არის, მაგრამ, ვიცი, რომ განვითარების რაღაც შესაძლებლობებს ჩვენ ახლა უიმედოდ ვკარგავთ. ჩემთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარება და არა ომი. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ წელს შევძლოთ ბიუჯეტის გაორმაგება, მომავალ წელს კი — გავასამმაგებთ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ვქმნით ახალ სამუშაო ადგილებს, ვაპირებთ გზების მშენებლობას...

აი, მაგალითად, თუ ვილაპარაკებთ ქალაქ ცხინვალზე. ხვალ, ხონჩითაც რომ მომართვან ცხინვალი, ეს მხოლოდ პრობლემებს შემმატებს, რადგან საქართველოში ისედაც ბევრია ასეთი ქალაქი, რომლებსაც არ იცი რა მოუხერხო. ადამიანები გაჭირვებულები არიან, ინფრასტრუქტურა მთლიანად მოშლილია, როგორ უნდა აღადგინო იგი? ეს ჩემთვის, სადღეისოდ, უმთავრესი ამოცანაა.

რაც შეეხება არმიას, არმია სჭირდება ნებისმიერ სახელმწიფოს. საქართველოს ეყოლება მცირერიცხოვანი, მაგრამ დისციპლინირებული არმია. იგი დაგვჭირდება იმისთვის, რომ არ დავუშვათ განუკითხაობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღებისთვის, მით უმეტეს — ზესახელმწიფოსთან. კარგად გამიგეთ! ახლა ჩვენ საქმე გვაქვს არა იმდენად სეპარატისტებთან, რამდენადაც რუს სამხედროებთან და მასთან დაახლოებულ წრეებთან. და ახლა ომზე ლაპარაკი ჩემთვის ძალზე შემაშფოთებელია. ეს ყველაზე უარესია იქიდან, რაც შეიძლება მოხდეს.

— შემთხვევითი ხომ არ იყო, რომ კავკასიაში — სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში — რუსეთის პოლიტიკის შესახებ ყველაზე მკვახე განცხადებები გააკეთეთ სწორედ მაშინ, როცა ვიზიტად იმყოფებოდით ამერიკაში? მხარს უჭერენ შეერთებულ შტატებში თქვენს პოზიციას?

— ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა. მაგრამ არ უკავშირდებოდა ჩემს ვიზიტს ამერიკაში. ეს განაპირობა იმან, რომ ჩვენზე აგრესიული ზემოქმედების გამწვავება ქრონოლოგიურად დაემთხვა ჩემს მოგზაურობას. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთი ადამიანი ასე ფიქრობდეს: რადგან პრეზიდენტი მიემგზავრება ამერიკაში (პირადად მე ამ ვიზიტს რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი), მაშასადამე, აუცილებელია რაღაც ამის მსგავსი მოვიმოქმედოთ. ჩემთვის გაუგებარია ის ეჭვი, რომელსაც რუსეთში იჩენენ დასავლეთთან ჩემი კონტაქტების გამო. ასეთი ეჭვიანობა არანაირ რაციონალურ განმარტებას არ ექვემდებარება.

იხ. მე-3 გვ.

⊙ აქტუალური თემა

ამერიკის პოლიტიკა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას განამტკიცებს

რუსეთმა კავკასიაში სახიფათო თამაშები გააჩაღა. ცხინვალში შექმნილი საომარი მდგომარეობის ფონზე მოსკოვის პოზიცია ბოლომდე გარკვეული არაა. თუმცა, ცხადია, რომ ოს სეპარატისებს რუსეთი ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს. ამასთან, ისიც ცხადია, რომ რუსეთში ინტერესთა იმდენად ძლიერი ჯგუფები არსებობენ, რომ ოფიციალური მოსკოვი იძულებულია, მათ მოთხოვნებს ანგარიში გაუწიოს.

ვლადიმერ პუტინი ამ ბოლო ხანებში კავკასიის საკითხებს და კონკრეტულად საქართველოს არ ეხება. რუსულ ისტებლიშმენტს კარგად აქვს გააზრებული, რომ ცხინვალის დათმობა არ იქნება მხოლოდ ამ ტერიტორიაზე კონტროლის დაკარგვა — რუსეთისთვის ეს მთელს კავკასიაში ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს. პოლიტიკურ კულუარებში საუბრობენ, რომ რუსეთი ნავთობსადენის პროექტის შეჩერების ან ბაზების სამუდამოდ აქ დარჩენის სანაცვლოდ, სამაჩაბლოს უპრობლემოდ შეეშვებოდა. სხვა შემთხვევაში კი ომის გაჩაღებას შეეცდება, რათა მსოფლიოს აჩვენოს, რომ საქართველოს თავისი პატარა კონფლიქტების მოგვარება არ შეუძლია. მოკლედ, რუსეთის მთავარი ამოცანაა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების გახანგრძლივება, გაწელვა, მაგრამ ქართული მხარე აღარ აპირებს ომის გაჩაღების მსურველთა პროვოკაციებს შეეგუოს.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საგანგებო ინიციატივით გამოდის, იგი მსოფლიოს ლიდერებს სპეციალური წერილით მიმართავს, რათა უახლოეს დღეებში ცხინვალის რეგიონში მოწვეულ იქნას სპეციალური საგანგებო საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დამყარებას მიეძღვნება. პრეზიდენტი დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის მთავრობებს, ასევე, გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს და ეუთოს ხელმძღვანელობას ატყობინებს, რომ საქართველომ, ფაქტობრივად, ამოწურა ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგების რესურსები და იმ კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა, რომლის იქითაც ომის კონტურები იკვეთება.

კონფერენციასთან დაკავშირებით ქართულ მხარეს ეუთოს ხელმძღვანელობა უკვე გამოეხმაურა. სხვათა შორის, ეუთო ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც მანდატის მიხედვით დართული აქვს კონფლიქტის ზონაში მუშაობა. ამდენად, მას ამ რეგიონში პოზიტიური ძვრების შეტანა შეუძლია. ეუთო ცდილობს კიდეც, შეძლებისდაგვარად პირნათლად შეასრულოს კონფლიქტის ზონაში თავისი მოვალეობა, რაც ოს სეპარატისტებს ძალიან აღელვებს და ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მისამართით განუწყვეტლივ პრეტენზიებს გამოთქვამენ. რუს „სამშვიდობოებთან“ დაკავშირებითაც ცნობილია ეუთოს პოზიცია. მას მიაჩნია, რომ თუ მხარეები შეთანხმდებიან და ამ პროცესში საერთაშორისო სამშვიდობო ძალებს ჩააბამენ, ამით პრობლემის გადაწყვეტა დაჩქარდება. თუმცა, სამშვიდობო მანდატის ინტერნაციონალიზაციის მიღწევა რომ ურთულესი პროცესია, ამ მოსაზრებას ეუთოც იზიარებს. ასევე ფიქრობენ, პარლამენტარებიც.

მათი აზრით, სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციის მიღწევა ძალიან ძნელი და შრომატევადი საქმეა. საჭიროა მთელი რიგი ეტაპების გავლა. ყველა ნაბიჯი თანმიმდევრული უნდა იყოს. თუმცა ის, რომ, აქაოდა, ერთ კვირაში შედეგს ვერ მივაღწევთო, და ნაბიჯებიც არ გადავდგათ, სწორი არ იქნება. მიზანმიმართულად უნდა ვიმოქმედოთ და ვიფიქროთ შემდეგ გადაწყვეტილებებზე. საქართველოს პარლამენტის მიერ წამოჭრილი საკითხი უნდა დადგეს საერთაშორისო ორგანიზაციებში, ანუ, იქ, სადაც ეს პრობლემა რეალურად წყდება. დასაჩქარებელია ამ საკითხის განვითარების ტემპი და დინამიკა.

პარლამენტარებს მიაჩნიათ, რომ ყველაზე სწორი იქნება, რუსეთი წარმოდგენილი იყოს როგორც მხარე (კონფლიქტის მხარე, რომელიც მოლაპარაკებებში მონაწილეობს). კონფლიქტის მხარე ელემენტარულად არ შეიძლება იყოს სამშვიდობო ძალის წარმომადგენელი. ამ საკითხში პარლამენტის გადაწყვეტილება და საერთაშორისო საზოგადოებრიობის პოზიცია აბსოლუტურად თანხვედრილია.

ამასთან დაკავშირებით, როგორც ცნობილია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა საპარლამენტო კომისია (თავმჯდომარე — ვასილ მაღლაფერიძე) დაგომისის ხელშეკრულების დენონსაციის სამართლებრივ მექანიზმებზე იმუშავებს და მომზადებულ დოკუმენტაციას პარლამენტს განსახილველად საშემოდგომო სესიაზე წარუდგენს. მოგეხსენებათ, დაგომისის ხელშეკრულების სასწრაფოდ გაუქმებისა და ქართულოსური კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების ნაცვლად ინტერნაციონალური ძალების შეყვანის მომხრეა მთელი პარლამენტი, როგორც უმრავლესობა ასევე, ოპოზიცია.

შესაძლოა, რუსების გასვლის შემდეგ სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაცია მართლაც სწრაფად ვერ მოხერხდეს, მაგრამ ექსპერტების აზრით, ამან არ უნდა შეგვაშინოს. საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ახლა იმდენად მყარია, რომ წარმატების მიღწევა მათ გარეშეც შეიძლება. მით უმეტეს, როცა საუბარია იმაზე, რომ ოფიციალური ვაშინგტონი საზღვარგარეთ დისლოცირებული ჯარების მასშტაბურ გადაადგილებას გეგმავს. შედეგად, ამერიკული სამხედრო ბაზები რუსეთის საზღვრებს მიუახლოვდება. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ქვეყნებში ბაზების შექმნის შესახებ. „ამ ბაზებში შეზღუდული კონტინგენტი იქნება განთავსებული, თუმცა, კრიზისული სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში ის შეიძლება ძალიან სწრაფად გაიზარდოს“, — განაცხადა ამას წინათ აშშ თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა რუსეთის თავდაცვის მინისტრთან სერგეი ივანოვთან შეხვედრისას. ეს გეგმა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმაც გაახმიანა.

ალეკო შალამბერიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი: — აშშ-ს მიერ გადადგმული ასეთი ნაბიჯი ჩვენთვის ნომერ პირველი დახმარებაა. ამჟამად საქართველოს მთავარი ამოცანაა, რუსული გავლენის სივრციდან გამოსვლა. ამ გამოსვლას კი, რა თქმა უნდა, მეგობრების მხრიდან შესაბამისი დახმარება სჭირდება. ამას მოგვიტანს ჩვენ ამერიკის ეს გრანდიოზული ნაბიჯი: ეს პოლიტიკა საქართველოს დამოუკიდებლობას განამტკიცებს და ჩამოვყალიბდებით, როგორც ნორმალური ქვეყანა.

ამის პარალელურად კი აუცილებლად და მაქსიმალურად შემცირდება რუსეთის გავლენა და დაიწყება რუსული დამპყრობელი შენაერთების საქართველოდან საერთოდ გაყვანა, — მიაჩნია ალეკო შალამბერიძეს.

ოფიციალური მოსკოვი ამერიკის აღნიშნულ პერსპექტივას გარეგნული სიმშვიდით ხვდება. თუმცა, რუსეთის თავდაცვის მინისტრი ერთ-ერთ ინტერვიუში განმარტავს, რომ რუსეთი და აშშ ნამდვილად არ არიან მოწინააღმდეგეები, მაგრამ, ალბათ, ჯერჯერობით არც მოკავშირეები გახლავანო.

დონალდ რამსფელდთან შეხვედრის შემდეგ სერგეი ივანოვი გაღიზიანებული საუბრობს იმ სამხედრო დახმარებაზე, რასაც ამერიკის მთავრობა საქართველოს უწევს. რუსული მასმედია კი შფოთავს, ამერიკელი სამხედროების აზიისა და სხვა ქვეყნებში განლაგების შემდეგ რუსეთი ახალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება — აშშ საქართველოს „სამხრეთ ოსეთის“ პრობლემის გადაჭრაში დაეხმარებაო. იქნებ, ენამ უყივლოთ.

მზია გელენავა.

⊙ მსოფლიო ორბიტაზე

ვის სურს ომი რუსეთსა და საქართველოს შორის

(მეორე გვერდიდან)

— ეს პოლიტიკური ეჭვიანობაა?

— სავსებით გეთანხმებით. ამერიკაში ვაპირებდი ორი დღით გამგზავრებას, სადაც პრემია უნდა მიმეღო. ნახევარი დღით შევყოვნდი ვაშინგტონში, რადგან წარმოიქმნა კონფლიქტური სიტუაცია აფხაზეთთან დაკავშირებით, და მეც გავაკეთე განცხადება.

რა თქმა უნდა, თეთრი სახლის ადმინისტრაცია ჩვენ მხარს გვიჭერს, მაგრამ ეს იმით როდი არის გამოწვეული, თითქოს ჩვენ რაღაცას ვთხოვდეთ ამერიკას, მას კი რაიმე სურდეს ჩვენგან. სხვათა შორის, ეს ჩემთვის ურთიერთობის საუკეთესო მაგალითია, რადგან ქვეყნებს შორის მეგობრობა არ უნდა ეფუძნებოდეს ანგარებით ინტერესებს. სწორედ ასეთ მეგობრობას ვთავაზობდით ყოველთვის რუსეთს. თანაც, რუსეთთან ეს გაცილებით უფრო თბილი, ბუნებრივი მეგობრობა იქნება, რადგან ჩვენ ბევრი რამ გვაკავშირებს ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით. მთელი შვიდი თვის განმავლობაში ვცდილობ ეს შევაგნებინო რუსეთის ოფიციალურ პირებს, მაგრამ, სამწუხაროდ, შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს.

— ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენი მოგზაურობა ამერიკაში უკავშირდებოდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას და იმას, რომ „ბრიტიშ პეტროლეუმი“ აჩქარებს ამ საქმეში საქართველოს. ეს მართლა ემუქრება ქვეყნის ეკოლოგიას?

— ვაშინგტონში გამართული ოფიციალური შეხვედრების დროს ეს საკითხი პრაქტიკულად არ წამოჭრილა, მაგრამ, ბუნებრივია, ჩვენ გვქონდა ეკოლოგიასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემები. ეს საკითხები კვლავ რჩება, მაგრამ ნავთობსადენი უთუოდ გაივლის ჩვენს ტერიტორიას, თანაც, ერთი ნავთობსადენი არა. ასეთივე მასშტაბურ პროექტს ვთავაზობთ რუსეთსაც — გაიყვანოს ნავთობსადენი თურქეთში პარალელური ხაზით. ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობის საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს: რაც შეეხება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს, ჩვენ მართლაც ვიბრძოლებთ საკუთარი ეკოლოგიური ინტერესების დასაცავად. საწყის ეტაპზე ჩვენ მივაღწიეთ ურთიერთგაგებას, და სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ პროექტი ვადებში ჩაეტევა. რაც შეეხება უსაფრთხოების საკითხებს, მწამს, რომ მათი გადაწყვეტა არ შეუშლის ხელს მომავალი წლის მარტისათვის მშენებლობის დასრულებას.

— თქვენი ვიზიტი კიევში შეაფასეს ვაშინგტონის მიერ კუჩმას გაფრთხილებად: თუ არჩევნები გაყალბდება, უკრაინაში განხორციელდება „ვარდების რევოლუცია“ საქართველოს სცენარით. ეს მართლა ასეა?

— ვფიქრობ, ეს მონაგონია. თუმცა, საქართველოს თემას უკრაინაში ყოველთვის განიხილავდნენ. ამ საკითხში მეც მაქვს ჩემი მოსაზრებები, მაგრამ, რადგან საქართველოს პრეზიდენტი ვარ, ვალდებული ვარ არ ჩავერიო უკრაინის საშინაო საქმეებში და შევინარჩუნო თბილი ურთიერთობა ქვეყნის ნებისმიერ ხელმძღვანელობასთან. მით უმეტეს, თვით ლეონიდ კუჩმამ ძალზე ბევრი რამ გააკეთა ჩვენი ურთიერთობის განმტკიცებისთვის, მას უყვარს ქართველი ხალხი და საქართველო, მასთან ძალზე ადვილია საუბარი. მე ჩავედი უკრაინაში, რადგან მისთვის მიმელოცა დაბადების დღე. გავემგზავრე ახლა იმიტომ, რომ იგი ამთავრებს თავის პრეზიდენტობის ვადას. მადლობა გადავუხადე ყოველივე იმისთვის, რაც გააკეთა ჩვენი ურთიერთობის განმტკიცებისთვის. მუდამ მოხარული ვიქნები, ვიხილო ბატონი კუჩმა საქართველოში მას შემდეგაც, როცა იგი აღარ იქნება პრეზიდენტი.

ჩავედი იალტაში, ერთი საათი ვესაუბრე კუჩმას, ერთი საათი ვიბანავე ყირიმის სანაპიროზე და უკან გამოვბრუნდი. საღამოს კი ძალზე გავოცდი, როცა შევიტყვე, რომ ჩემმა ვიზიტმა ამდენი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

— ალბათ, ბატონ იუშჩენკოს მიერ გაკეთებულმა განცხადებამ უბიძგა ჟურნალისტებს ამისკენ...

— არ ვიცი, რა თქვა იუშჩენკომ. იგი ჩემი მეგობარია და მართლაც წესიერი და ჭკვიანი ადამიანია. კიდევ ერთხელ ვიტყვი: ვინც უნდა გაიმარჯვოს უკრაინის არჩევნებში, ჩვენ ამ ქვეყანასთან ნებისმიერ შემთხვევაში გვექნება კარგი ურთიერთობა.

— კვლავ დავუბრუნდეთ რუსეთ-საქართველოს სიტუაციას. რუსეთის მასობრივი ურთიერთობის საშუალებებმა პირადად თქვენს წინააღმდეგ გააჩაღეს საინფორმაციო ომი: იბეჭდება არა ერთი შეურაცხმყოფელი სტატია, გაისმის მუქარა თქვენი მისამართით. რა რეაგირებას ახდენთ ამაზე?

— ვიცი, რომ გაჩაღებულია ასეთი კამპანია, მაგრამ ვინმე თუ ფიქრობს, რომ ამის გამო ნერვებს ავიშლი, მწარედ ცდება. შეგნებულად არ ვკითხულობ რუსულ გაზეთებს და არ ვუყურებ რუსეთის ტელევიზიას, რადგან არ მსურს, რომ ჩემი მოქმედება რუსეთის მიმართ დამოკიდებული იყოს ამ ნეგატიური პუბლიკაციებით და სატელევიზიო სიუჟეტებით გამოწვეულ ემოციებზე. შესანიშნავად ვიცი, თუ რომელი დირიჟორი ხელმძღვანელობს ყოველივე ამას. მაგრამ ისიც ვიცი, რომ სწორედ ამ დირიჟორს შეუძლია ნებისმიერ მომენტში ჩააკმენდინოს ხმა ყველას და აიძულოს ისეთივე თავგამოდებით შეიყვარონ საქართველო, როგორითაც ახლა სძულთ იგი.

— რუსეთის სახელმწიფო არხებმა რომ მოგცეთ თქვენ რუსეთის მოქალაქეებისადმი მიმართვის შესაძლებლობა, რას ეტყოდით მათ?

— რუსეთის არხებს არ დაუთმიათ ჩემთვის პირდაპირი ეთერი, რადგან ეშინიათ ასეთი ნაბიჯის გადადგმის. რუსეთელებს კი ვეტყოდი იმას, რასაც ყოველთვის ვამბობ: ჩვენ გვსურს რუსეთთან მეგობრობა, ნორმალური ურთიერთობა. მე საკმაოდ თბილი გრძნობები მამოძრავებდა რუსეთის მიმართ, როცა მოვედი ხელისუფლების სათავეში. თითქოსდა, პირველ თვეებში შევძელი იმის დამტკიცება, რომ ჩვენ არ ვართ ის „ანტირუსული ელემენტები“, როგორადაც ჩვენი წარმოდგენა სურთ მავანთ. მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ვიღაცას დასჭირდა ახალი მტრის ხატი, რათა ხალხის ყურადღება ჩამოაშოროს თვით რუსეთში არსებულ რაღაც პრობლემებს.

დავუშვათ, ახლა რუსეთში ყველამ მიივიწყა ჩეჩნეთი და სამხრეთ ოსეთზე გადაერთო, მაგრამ დიდხანს კი გაამართლებს ასეთი მეთოდი? ხელისუფლება შეიცვლება ადრე თუ გვიან და უფრო აქტუალურ დონეზე წამოიჭრება შიდაპოლიტიკური პრობლემები.

— 22 ივნისს ინგუშეთში მოხდა საშინელი ტრაგედია. არსებითად, ეს ნიშნავს ჩეჩნეთის კონფლიქტის გეოგრაფიულ ესკალაციას. ხომ არ უქმნის კავკასიის ეს ომი საფრთხეს საქართველოს უშიშროებას ინგუშეთთან და ჩეჩნეთთან თქვენი გეოპოლიტიკური სიახლოვის გამო?

— ჯერ ერთი, ინგუშები ჩვენთვის ძალზე ახლობელი ხალხია. ის, რაც იქ მოხდა, ნამდვილი ტრაგედიაა. ასეთ პირობებში თავს ვერავინ იგრძნობს დაცულად. ამიტომ, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მარტო ცალმხრივი წესით გადავკეტეთ საზღვარი ჩეჩნეთთან. სწორედ იმ დროს, როცა როკის გვირაბიდან, რუსეთის საკონტროლო-გამშვები პუნქტების გავლით, სამხრეთ ოსეთში შემოდიოდნენ მოთარეშეები ქართველების დასახოცად, ჩვენ მკაცრად ვაკონტროლებდით ჩეჩნეთის საზღვრის მონაკვეთს, რათა მოთარეშეები არ გადმოსულიყვნენ.

— შევნიშნე, რომ პანკისის ხეობის თემა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მიმდინარე წლის ზაფხულში საერთოდ არ წამოუჭრიათ...

— რა თქმა უნდა, თუ წინათ ყველა უბედურებას პანკისის ხეობას აბრალებდნენ, ახლა სამხრეთ ოსეთს მიდგნენ. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს რუსეთს სხვა არაფრით აღარ შეუძლია შენიღბოს თავისი საშინაო პრობლემები. ყოველივე ეს, ჩემი აზრით, უბრალოდ სისულელეა.

— ოქტომბერში უნდა გაიმართოს პრეზიდენტ პუტინის ვიზიტი საქართველოში, ეს მისი პირველი ჩამოსვლა იქნება თქვენს ქვეყანაში. თქვენი აზრით, რა არის მთავარი: რა უნდა ნახოს პუტინმა საქართველოში?

— იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტი პუტინი ჩამოვა. ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტისთვის სხვა ინფორმაცია არ გამაჩნია.

ძალზე კარგი იქნებოდა, იმ დროისათვის თუ შევძლებდით სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირებას. ნებისმიერ შემთხვევაში, მსურს, ვლადიმერ პუტინმა შეიტყოს, რომ ჩვენ საკმაოდ სერიოზულად ვართ განწყობილი. ჩვენ ღია და პატიოსანი ურთიერთობის მომხრე ვართ. ახლაც კი, მთელი ამ მოვლენების მიუხედავად, საქართველოში რუსეთის მიმართ მტრული განწყობილება არ სუფევს. თუმცა, დაძაბულობა არის და ადამიანებიც ნერვიულობენ. თუ შევძლებთ ამ მდგომარეობის განმუხტვას, ძალზე კარგი იქნება.

— კახა ბენდუქიძემ თქვა, რომ პოლიტიკური პრობლემების მიუხედავად, საქართველოში ნორმალურად გაიმართა როგორც რუსი, ისე თურქი ბიზნესმენების კონგრესი. ბატონმა კახამ შენიშნა, რომ საქმიანი ადამიანები მზად არიან, დააბანდონ ფული საქართველოში ტურისტული ბიზნესის განვითარებაში...

— მე ამის მოხარული ვიქნები. არა აქვს დიდი მნიშვნელობა იმას, თუ ვინ აბანდებს ფულს საქართველოში, მაგრამ ძალზე მისასალმებელი იქნებოდა, რომ ეს რუსული კაპიტალი იყოს. და ყველაზე მთავარია, რომ აქ რუსი ტურისტები დაბრუნდნენ.

როცა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აღნიშნავდნენ, თითქოს მე გავეცი ბრძანება, გაეხსნათ ცეცხლი რუსი ტურისტების გემებისთვის და ჩაეძირათ ისინი. ეს იყო თავხედური სიცრუე, რომელიც რუსეთის ტელევიზიამ გაავრცელა. შეგიძლიათ ნახოთ ჩემი გამოსვლის ჩანაწერი და მიხვდებით, რომ არაფერი მსგავსი არ მითქვამს, თუმცა, მართლაც გავაფრთხილე ტურისტები იმის თაობაზე, რომ თავი შორს დაიჭირონ აფხაზეთისგან, რადგან აფხაზეთში ახლა არ სუფევს სიმშვიდე. ცოტა ხანს კიდევ მოითმინონ. თუმცა, საქართველოს სხვა კურორტებიც აქვს, მაგალითად, აჭარაში. ამ ცოტა ხნის წინათ ბათუმში ვიყავი და ვნახე, თუ როგორ ჩამოიყვანა თბომავალმა რუსი ტურისტები. უნდა გითხრათ, ძალზე გამიხარდა.

⊙ კონფლიქტის ზონა

ვაიმე, ნიკა, გიკვდები, შვილო!

ერედვი: გუშინ, დღეს, ხვალ...

ქალის განწირულმა ხმამ დილაუთენია ერედვის ქრისტესიანთუბანი გამოაღვიძა. ნიკას კი, სამი წლის ბიჭუნას, ამ დროს უდარდელად ეძინა საწოლში და დედის შეკივლება არც გაუგონია.

სამაგიეროდ, მეზობელ სახლში ზაურ ქრისტესიაშვილმა გაიღვიძა, წამოხტა და გარეთ გავარდა.

ამბავი ერედვში ხდება, სოფელში, რომელიც არა მარტო ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაშია, იმ კონფლიქტის ეპიცენტრიცაა, ცხინვალის მოსაზღვრე, რომლითაც პატარა ლიახვის ხეობის სოფლები იწყება.

ერედველებს ვერც სროლებით გააკვირვებ, ვერც საარტილერიო ბათქაბუთქით. ამ ცამეტი წლის წინათ ერედვში რომ ამბები ხდებოდა, დღეს ბევრს შეიძლება დაუჯერებლადაც კი მოეჩვენოს. მაშინ რომ ათი-თორმეტი წლის პატარებს მშობლები სახლის სარდაფში მალავდნენ, დღეს თავად ისინი დგანან თავიანთი სოფლის სადარაჯოზე. თუმცა შიშველი ხელებით რას გახდებიან, მაინც დგანან, ფხიზლობენ, გუშაგობენ, ეხმარებიან ქართველ პოლიციელებს, სროლები მაინც არ წყდება და ხან აქ, ხან იქ სტვენა-სტვენით ჭურვებიც კი სკდება სოფელში.

ზაურ ქრისტესიაშვილმა მეზობლის ქალი მანანა ბერუაშვილი თავგასისხლიანებული რომ დაინახა, მიხვდა, წეღან რომ ჭურვი გასკდა, იმის ნამსხვრევი მოხვდებოდაო. მისაშველებლად ორი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ ზათქით და გრიალით გზაზე ჭურვი კვლავ გასკდა და ზაურის პერანგი ერთიანად გასისხლიანდა: ვაჟკაცი გულაღმა დაეცა მიწაზე.

შემდეგ უკვე იყო ტყვიავის საავადმყოფო და ღამენათევი მთავარი ექიმი აკაკი ქრისტესიაშვილი. ელდა ეცა, ძმა რომ გასისხლიანებული მოუყვანეს. პირველი სამედიცინო დახმარება იქვე აღმოუჩინა. ზაური, მადლობა ღმერთს, იოლად გადარჩენილიყო. არც მანანა ბერუაშვილის ჭრილობა აღმოჩნდა სიცოცხლისთვის საშიში. მალე მესამე დაჭრილიც ჩამოიყვანეს ერედვიდან: ნელი ბაციკაძესაც ნაღმის ნამსხვრევი მოხვედროდა ფეხში.

დღეს რომ ერედვში გაიარო, გული დაგიმძიმდება. სახლის ეზოებსა და გზებზე ადამიანის ჭაჭანება არ არის, თუ ვინმეს შეხვდები, ისიც მოხუცს, თორემ, ბავშვები ჩვენმა ხელისუფლებამ ოსი სეპარატისტების სამიზნე სოფელს კარგა ხანია გააცილა და ისინი დღეს საქართველოს საუკეთესო კურორტებზე ისვენებენ. დღეებია, ნახირში აღარ გაურეკიათ საქონელი, სოფლის საფიხვნოზეც აღარავინ მიდის, სახლებში არიან ჩაკეტილები და მზე ჩავა თუ არა, ერედველები ცხინვალის მხრიდან ავბედითი ჭექა-ქუხილის მოლოდინში არიან.

ალაგ-ალაგ დაზიანებული სახლები, შენგრეული კედელი, ჩამონგრეული სახურავი, — ასეთია ცხინვალელი სეპარატისტებისა და რუსი „მშვიდობისმყოფელების“ „ხელწერა“. ერედველების (და არა მარტო მათი) მტკიცებით, ოსები და რუსები შეერთებული ძალებით ბომბავენ ქართულ სოფლებს. გენერალი ნაბზდოროვი აღარც კი მალავს თავის ზრახვებს: შორს მოისროლა მშვიდობისმყოფელის ნიღაბი.

სოფელში გაივლი და, გული მოგიკვდება სამი ვაჟიშვილის მამის ვეფხია ქრისტესიაშვილის დანგრეული საცხოვრებელი სახლის ხილვით. შოთა ბერუაშვილის სახლს ჭურვი მოხვედრია, ნუგზარ ქრისტესიაშვილის ბაღში ასევე ჭურვია აფეთქებული. გუშინ დილით ილო ქრისტესიაშვილის სახლი დაინგრა. მადლობა ღმერთს, მსხვერპლი არ არის.

თუმცა, როგორ არ არის. გუშინ, განთიადისას, რიგითი თემურ არათანაშვილი დაიღუპა. ცეცხლის ხაზიდან გათენებულზე გამოიყვანეს. ვიგენტ ქრისტესიაშვილი, ერედვის ამბულატორიის სასწრაფო დახმარების ავტომანქანის მძღოლი, მიამბობს:

— „ჭანჭრობებში“, სადაც მძიმედ დაჭრილი თენგიზი იწვა, დილაუთენია ავედი, მანქანიდან გადმოვედი და სასწრაფოდ თხრილში ჩავწექი, რადგან ოსები შეუჩერებლად ისროდნენ. ცოტათი მინელდა თუ არა სროლა, გავხოხდი დაჭრილისკენ, მაგრამ ამ დროს შორიახლო ბომბი აფეთქდა და სახე გამისისხლიანდა — ნამსხვრევი მომხვდა თავში. დაჭრილი დიდი წვალებით მანქანაში დავაწვინე და წამოვედი. კვლავ განუწყვეტლივ ისროდნენ. საავადმყოფოში კი ჩამოვიყვანე, მაგრამ ექიმების ცდა უშედეგო აღმოჩნდა. ჯარისკაცი მრავლობითი ჭრილობებისგან გარდაიცვალა.

... მზე ჩასასვლელად ემზადება. ერედველებიც ემზადებიან ძნელი ღამის გადასატანად. როდის გაუთენდებათ ერედველებს, კერძოდ, და, საერთოდ, სამაჩაბლოს?

სრულებითაც არ არის ეს რიტორიკული კითხვა!

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.
კონფლიქტის ზონა,
სოფელი ერედვი.

⊙ ინფორმაცია

<u>პრეზიდენტის ინიციატივით</u>

350 ბავშვი სურამსა და ცხვარიჭამიაში გაემგზავრა

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით აფხაზეთიდან დევნილი 350 ბავშვი გუშინ სასტუმრო „ივერიის“ წინამდებარე ტერიტორიიდან სურამსა და ცხვარიჭამიაში გაემგზავრა დასასვენებლად. დევნილი ბავშვები თბილისიდან საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ეთერ ასტემიროვამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ და საბჭოს დეპუტატებმა გააცილეს.

აფხაზეთიდან დევნილი პატარები კურორტებზე 29 აგვისტომდე დარჩებიან. საზაფხულო არდადეგების დასრულებამდე იგეგმება აფხაზეთიდან დევნილი კიდევ 300 ბავშვის დასვენება აჭარის ზღვისპირეთში.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთა დასვენების ორგანიზება საქართველოს დევნილთა და განსახლების სამინისტროს დაავალა და ამ მიზნით 102 ათას 700 ლარი გამოყო.

<u>აქცია</u>

ზრუნავენ ცხინვალის რეგიონიდან გაყვანილ ბავშვებზე

საქართველოს დევნილთა და განსახლების სამინისტროში შექმნილი სპეციალური შტაბი, რომელიც ცხინვალის რეგიონიდან გაყვანილი 1500-მდე ბავშვისთვის სასურსათო რეზერვისა და პირველადი საჭიროების ნივთების შეგროვებას უზრუნველყოფს, ბორჯომის ხეობაში განსახლებულ ბავშვებს სურსათს, თბილ ტანსაცმელსა და სპორტულ ინვენტარს ჩაუტანს.

როგორც „ინტერ-პრესს“ საქართველოს დევნილთა და განსახლების მინისტრმა ეთერ ასტემიროვამ განუცხადა, მიუხედავად იმისა, რომ შტაბმა მუშაობა მხოლოდ გუშინ დაიწყო, სამინისტროს უკვე გამოეხმაურნენ კომპანია „ყაზბეგი“ და საერთაშორისო კომპანია „აგროტექნიკის ჯგუფი“, რომელთა წარმომადგენლები მასთან ერთად ბორჯომის ხეობას ეწვევიან და სანატორიუმებსა და სასტუმროებში განსახლებულ ბავშვებს სურსათს, თბილ ტანსაცმელსა და სპორტულ ინვენტარს ჩაუტანენ.

მისივე თქმით, კომპანია „ყაზბეგი“ კონფლიქტის ზონიდან დასასვენებლად გაყვანილ ბავშვებს დღეს 2 სატვირთო მანქანით შაქარს, ვერმიშელს, წიწიბურას, თბილ ტანსაცმელსა და სპორტულ ინვენტარს ჩაუტანს, ხოლო კომპანია „აგროტექნიკის ჯგუფი“ ასევე 2 სატვირთო მანქანით — ქათმის ხორცს, რძეს და ბანანებს.

ასტემიროვას ინფორმაციით, ბავშვთა ფსიქო-სოციოლოგიური სარეაბილიტაციო პროგრამის განსახორციელებლად დღეს ბორჯომში ადამიანის რესურსების ფონდის სპეციალისტებიც ჩავლენ ნოდარ სარჯველაძის ხელმძღვანელობით.

ინტერ-პრესი.

⊙ ტკივილი

ჩვენ თანატოლნი ვართ. ძველ, მარილმოყრილ ჭრილობას, ნაბლანდავ, ნაკერიან ჭრილობას საფენს ვადებთ ხელახლა.

არადა, ვის ეგების მისი მკურნალობა?!

ერთად ვსხედვართ პაწაწკინტელა ოთახში და ბავშვობას ვიხსენებთ. ბავშვობას ვიხსენებთ მე და ჩემი თანაუბნელი, ჩემი კარგი თბილისელი, ქართველების ლამაზი რძალი, ჩემი მარინა მაღლაფერიძე. უკაცრავად, მარინა ბეპიევა.

სამაჩაბლოში კი ისევ ისვრიან. ერთმანეთს ესვრიან. ვინ — ვის? უფალმა უწყის... ჩვენც ვიცით, რომ ეს მხოლოდ „მესამე ძალას“ სწადია...

ეს უბადრუკ პოლიტიკანთა, მათ ხელში ათამაშებულ მარიონეტთა, ძმათაგამთიშველების მოსურვილებაა, სხვათა დაკრულზე როკვაა, სხვათა წისქვილზე წყლის მიშვებაა, მაგრამ მაინც მწარე სინამდვილეა, ჩვენს ისტორიაში რამდენჯერმე განმეორებული.

უფალი აბელ-კაენის ცოდვის მაცქერალიც იყო... და რა გასაკვირია, რომ, კიდევ ერთ გამოცდას გვიტარებს... კვლავ ერთ გამოცდას — მიმტევებლობა თუ სისხლი სისხლის წილ?!

სამაჩაბლოში კი წვიმს... ტყვიები წვიმს ძმათა სისხლდასაღვრელად გასროლილი.

* * *

„სიმღი“...

როკვა წარსულიდან, საუკუნეებს მიღმა ჩასახული.

მოწიწება ქალბატონისადმი ქედმაღალი მამაკაცის მხრიდან.

მე „სიმღს“ უფრო სამშობლოს წინაშე ფეხის წვერზე დგომად და პატივისცემად აღვიქვამდი ყოველთვის.

ალბათ ასე ჩაიფიქრეს ქართველალანებმა ოდითგან. ქართულ-ოსური მითი ძმობისა, როკვა ურთიერთპატივისცემისა, მდედრთან მოწიწების...

ერთნი ვყოფილვართ და ამიტომაც გავისისხლხორცეთ.

მაგრამ...

ღმერთთა როკვას მეფისტოფელიც უცქერს უთუოდ... კულისებს მიღმა მიმალული. — არ ეპიტნავება თითის წვერზე დგომა... კდემამოსილების დაფასება.... ვაჟკაცთა თავმდაბლობა და ყოველივე ეს უკიდეგანო სივრციდან მოსულ გარეჯისორებულ „დერჟიმორდას“ სურს თავის ჩარჩოებში მოათავსოს, შეცვალოს უფლისგან დაწერილი სცენარი...

საუკუნეებგამოვლილ როკვას უნიჭო ქორეოგრაფი ვერ შეცვლის...

მაგრამ, თუ მანდილია საჭირო?..

* * *

ისე... გაცნობისთვის:

მარინა ბეპიევა სამაჩაბლოში, ზნაურის რაიონში დაიბადა (ახლა ყორნისის რაიონად უხმობენ). მისი მშობლები, პროფესიით პედაგოგები, თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად და ერთი წლის გოგონა ოჯახთან ერთად ნაძალადევში გაიზარდა. ჯერ მეთერთმეტე სკოლაში ისწავლა, შემდეგ ავჭალაში ასმეოცე სკოლა დაამთავრა და მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა. უფრო მოგვიანებით, უკვე ქართველების რძალმა და ორი ქალიშვილის დედამ — 2002 წელს ირიბახის სახელობის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის განათლებაც მიუმატა თავის თვალსაწიერს. თორმეტი წელი კომუნალური მეურნეობის სამსახურში გაატარა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

ამჟამად საკუთარი შპს „მაგელანის“ ხელმძღვანელია. ჰყავს მეუღლე — ინჟინერ-მექანიკოსი ბადრი მაღლაფერიძე და ორი ქალიშვილი ბელა და მარიამი.

ყველას კარგად გახსოვთ, ალბათ, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი დათბილებ-მიფერება (ისე არც მანამდე ვაკლებდით სითბოს სხვა ერის შვილებს) ჩვენი თანამემამულეების (როგორც ტერმინად შემოვიდა „მცირე ერების“ წარმომადგენელთა) მიმართ. პირველი ოსურენოვანი საინფორმაციო გადაცემა ჩვენმა კოლეგამ, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ბელა მაღლაფერიძემ წაიყვანა. მოეფერა, მოეფონა დედულეთს. ხიდიც გაიდო, გამთელდა დრო-ჟამიდან და მავანთა მხრიდან საძირკველმორყეული, რომელზეც მხოლოდ პოლიტიკოსნი გადიოდნენ, თორემ ჩვეულებრივ მოკვდავთ ერთმანეთთან მისასვლელი ფონი ყოველთვის გამოძებნილი ჰქონდათ და აქვთ.

მაგრამ მაინც გაიელვა მოჩვენებასავით ეშმაკთან ნაძუძუმტევარმა მეფისტოფელმა, სხვათაგან შეგულიანებულმა, ძმათა სისხლმოწყურებულმა.

და დაიწყო...

* * *

ორი ერის სიყვარულისა და ურთიერთთანამეგობრობაზე რაღა ვისაუბროთ, სასაცილოც იქნება, ალბათ, მაგრამ რამდენიმე კურიოზულ, სატირალ-სამარცხვინო შემთხვევას იხსენებს ქალბატონი მარინე და ჩვენი მხრიდან ამ მონათხრობის არაღიარება და გადამალვა მართლაც არ ეგების.

მაშ დავიწყოთ...

● კურიოზია, აბა, რა არის, რომ ხუთი დედმამიშვილიდან მხოლოდ ქალბატონმა მარინემ დაამთავრა რუსული სკოლა. მისმა და-ძმებმა ქართულ სკოლაში ისწავლეს. ახლა, მხოლოდ მარინე არის სამშობლოში. დაწყებული კონფლიქტის შემდეგ მისი დაძმები რუსეთს გადაიხვეწნენ. ძნელი სათქმელია, მაგრამ მაშინდელი ძმათა დაშორიშორების გამო. მოუწიათ რუსული ენის სწავლება ქართულად გაზრდილებს. მიზეზი? რომ ოსი ეროვნებისა იყვნენ (ხმამაღლა შეგვიძლია ვაღიაროთ ვაიპოლიტიკოსთა იმდროინდელი შეცდომებიც, რასაც არასოდეს გავიმეორებთ).

● მარინას მამიდა, ქალბატონი ლიდა ბეპიევა 90-იანი წლების ურთიერთდაპირისპირების დროს მართლაც გმირულ საქმეს სჩადიოდა. მან სამაჩაბლოში (სამხრეთ ოსეთში, როგორც ახლა სურთ პოლიტიკანებს) ქართული სკოლა გახსნა და ზნაურიდან სამ კილომეტრს ყოველდღიურად ფეხით დადიოდა კონფლიქტის ზონაში დარჩენილი ხუთიოდე ქართველი მოსწავლის გამო, რათა ესწავლებინა პატარებისთვის (არც ეს აპატიეს ოღონდ ოსებმა. ესეც აღიარონ ხუნდის სოფლელებმა და გაიხსენონ ჭაღარა ქალბატონი, ქართველ ბავშვთათვის თავგადადებული. ახლა იგი ყორნისის რაიონში ცხოვრობს და კვლავაც დიდი პატივისცემით სარგებლობს ქართულ ოჯახებში).

● სულ ორიოდე თვის წინათ, 29-30 მაისს, გახლდათ მარინა ბეპიევა მშობლიურ სოფელში გომარეთობის დღესასწაულზე, რომელსაც თერეგვანის სოფლის მოსახლეობასთან ერთად რამდენიმე სოფელიც აღნიშნავს. გახლდათ და სიხარულისა და იმედის მეტი არაფერი ჩამოუტანია იქიდან. იციან იქაურებმა ერთმანეთის პატივისცემა და დაფასება. ჯვარი და სალოცავი აერთიანებს ორ თანაშეზრდილ ერს.

გულისტკივილით, მაგრამ მაინც აღნიშნავს, არ ყოფილა როდესმე თავის კაბინეტის კარზე მეუღლის გვარი მიეწეროს, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლის გვარს ატარებს და უდიდეს პატივს სცემს იმერეთის იმ ლამაზ სოფელს, საიდანაც მისი შვილების მამა და მისი უერთგულესი ადამიანი ბატონი ბადრია... „ახლა ბეპიევა მიწერია კარზე“... დასაფასებელია ადამიანი, რომელიც ნებისმიერი სიტუაციის დროს თავის ეროვნებას ამ მალავს. დასაფასებელია ის ერიც, რომელიც ეროვნების დამალვის უფლებასაც არ აძლევს. აფერუმ, ქალბატონო მარინა.

* * *

დაბოლოს.

ხალხს, უბრალო მოკვდავთ, მიწის მუშას, სამაჩაბლოში სწამს, რომ აღარ იქნება ტყვიების წვიმა ამ ძირძველ, ფიცვერცხლნაჭამ ვაჟკაცთა მიწაზე.

ამის გარანტი ათასობით მშვიდობიან თანამემამულეთა შორის ერთერთი მარინა ბეპიევაა, მაღლაფერიძეთა რძალი და ქართველების დედა, დიდი ქართული ოჯახის დიასახლისი.

კვლავ მოუწოდებს დედის ენაზე ჩვენი ბელა მაღლაფერიძე თავის თანამემამულეებს, რა ვუყოთ რომ მთლად გამართული ალანურით არა, მაგრამ მაინც... მანდილი ჩაშვებულია ამაყ ერის შვილთა შორის, ანდაც რა საჭირო იყო...

წლეულს პირველად შეაღებს ქართული სკოლის კარს პატარა მარიამი და ჩვენი სამშვიდობო დესპანი, ქალბატონი მარინა ხაბიზგინებითა და ოსური ლუდით გაგვიმასპინძლდება მშობლიურ კუთხეში.

სახალხო დიპლომატია ხომ ყველა პოლიტიკურ ინტრიგებზე მაღლა დგას, არადა, ოს ხალხთან, ნაღდ მამულიშვილებთან რაღა დიპლომატია-პოლიტიკა გვჭირდება.

შემდგომ...

გვჯერა, ჩვენი კოლეგა თავის ყველა გადაცემას ასე დაიწყებს... „სამაჩაბლოში დარია“.

ეს ჩემი ბავშვობის მეგობრისა და მისი ლამაზი ოჯახის, ყველა ჩვენგანის სურვილია, ეს მისი და მრავალი ჩვენი თანამოძმის ოჯახის სურვილია, რომლებიც ფარად ეფარებიან საუკუნოვან ძმობას.

ღმერთმა გვისმინოს.

* * *

ისე კი „სიმღი“ ისეთი ცეკვაა, მანდილის ჩაგდება საჭირო არ არის.

არადა, სამაჩაბლოში ტყვიების წვიმაა.

მამუკა ვაშაკიძე.

ექსკლუზივი

თუ ეროტიკული სცენებია, ლადო ათანელი არ მონაწილეობს

ორიოდე დღეა, ვენიდან მშობლიურ თბილისში ჩამოვიდა ჩვენი სახელოვანი მომღერალი ლადო ათანელი. მისი ჩამოსვლა მოულოდნელი იყო თვით ახლობლებისთვისაც. მომღერალს და მის მეუღლეს მანანა ჩიქოვანს ასე გადაუწყვეტიათ, რაკი ცოტა თავისუფალი დრო გამოძებნეს, იგი მყუდრო ოჯახურ გარემოში, ახლობლებისა და მეგობართა წრეში გაეტარებინათ, მაგრამ... ჩვენი პროფესიის ადამიანებს რას გამოაპარებ და პრესისა და ტელევიზიის ტყვეობაში აღმოჩნდნენ...

– რა ხანია ჩემს მშობლიურ კახეთში არ ვყოფილვარ, ლამის 10 წელია. ყოველთვის, როცა თბილისში მიწევდა ჩამოსვლა, ჩემიანებს აქ ვნახულობდი, მაგრამ ახლა დედოფლისწყარო მენატრება, სადაც დედა და ჩემი ძმის ოჯახი ცხოვრობს. რაიონის ხელმძღვანელობას შეუტყვია ჩვენი ჩამოსვლა და შეხვედრა უკვე დაგეგმეს დღეს საღამოს, ალბათ, ყველა ჩემს მეგობარს იქ მოვინახულებ, მათთან ყოფნაც ძალიან გამახარებს. დედაჩემის ნახელავიც ბევრი რამ მენატრება, – გულახდილად მესაუბრება მომღერალი.

ლადო ათანელს ლამის სტუდენტობიდან ვიცნობ. მისი კარიერის დასაწყისიდან, მისი პირველი ნაბიჯებიდან დიდ სცენაზე. მაშინაც და ახლაც, უკვე მსოფლიოში აღიარებული ულამაზესი და მძლავრი ბარიტონის ყოველ წარმატებას თუ სტუმრობას სიამოვნებით ვაშუქებთ ხოლმე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ისევ შინაურულად შემხვდა, როგორც ყოველთვის, ახლაც შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი ხიბლი და უშუალობა.

– ერთი წელია რაც არ გვინახიხართ, ბოლოს პაატა ბურჭულაძის საიუბილეო კონცერტში მონაწილეობდით. ეს გავლილი კალენდარული დრო თითქოს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ვარსკვლავის ცხოვრებისთვის, ალბათ, უამრავი მოულოდნელობებით არის სავსე...

– რასაკვირველია, შარშანდელი წელიწადი ჩვეულებრივ დატვირთული მქონდა ახალი დადგმებით, ახალი როლებით, რომელთაგან გამოვყოფ პარიზის გრანდ-ოპერაში ვერდის „ტრუბადურების“ ახალ დადგმაში მონაწილეობას ცნობილ იტალიელ ტენორთან რობერტო ალანიასთან ერთად, იტალიაში, ტრიესტში, ვისკონტის უსაყვარლესი მოწაფის, ფარნის რეჟისორობით დადგმულ „ტოსკას“. აქ შევხვდი ჩემს კერპს წარსულში აღიარებულ ბარიტონს პიერო კაპუჩილის, იგი სწორედ ტრიესტიდან არის და ახლაც იქ ცხოვრობს.

სპექტაკლზე თურმე სიურპრიზი მელოდა. თეატრის დირექციამ იცოდა, რომ ეს მომღერალი ჩემი სათაყვანო პიროვნება იყო. წარმოდგენის დაწყებამდე ორი წუთით ადრე გამოაცხადეს, რომ სპექტაკლს თვით მაესტრო კაპუჩილი ესწრებოდა, იგი იქვე ლოჟაში იჯდა და წარმოდგენაც სწორედ მას მიეძღვნა.

– ალბათ, ამიტომაც სხვა სულისკვეთებითა და შთაგონებით იმღერა იმ საღამოს ლადომ. სპექტაკლის ბოლოს მაესტრო კაპუჩილიმ დიდი მადლობა გადაუხადა ლადოს ასეთი ფანტასტიკური საღამოსთვის, შემდგომ კი ლადოს მენეჯერისთვის უთქვამს, ერთი პატარა შენიშვნაც კი არა მაქვს, იმდენად ყველაფერი სრულყოფილი და განუმეორებელი იყოო, – ჩაერთო საუბარში ქალბატონი მანანა.

– გამოვარჩევ ჰამბურგში ვერდის „ნაბუქოს“ პრემიერაში მონაწილეობას და იაგოს პარტიის შესრულებას ჰამბურგშივე ცნობილ იტალიელ სოპრანოსთან ბარბარა ფრიტოლთან ერთად, „ოტელოში“ სამი წარმოდგენა ვიმღერეთ, ფეხზე ამდგარი დარბაზის ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. არ შემიძლია, არ გამოვყო შერიფის სახე პუჩინის ოპერიდან „გოგონა დასავლეთიდან“ ქრისტიან ტილემანის დადგმით, აგრეთვე, კიოლნში შიდსით დაავადებულთა დასახმარებლად გამართული საქველმოქმედო კონცერტი, საფრანგეთში, ორანჟში მუსიკალურ ფესტივალზე გამოსვლა რომაულ ამფითეატრში, სადაც 10 ათასი კაცი ეტეოდა. აქ ვერდის „ნაბუქოში“ ვიმღერე, ორი გალა-კონცერტი ვიმღერე ბუდაპეშტში უნგრელ სოპრანოსთან გეორგინა ლუკაჩთან ერთად...

– რაკი ქველმოქმედებაზე ჩამოვარდა სიტყვა, ქველმოქმედება საქართველოს სჭირდება თუ სჭირდება...

– ჰოდა, გაისად ზაფხულში ჩემი საოპერო მოღვაწეობის ათი წლისთავთან დაკავშირებით თბილისში ვფიქრობ კონცერტის გამართვას, შეიძლება ერთი სტუმარი –სოპრანო ჩამოვიყვანო, კონცერტი საქველმოქმედო იქნება.

– მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არის ტენდენცია, ფორმის თვალსაზრისით გაათანამედროვონ კლასიკური საოპერო დადგმები, ათას რამეს ჰყვებიან, თქვენი აზრი როგორია?

– მართალია, ასეთი ტენდენცია განსაკუთრებით იგრძნობა გერმანიაში, იმის გამო, რომ ახალგაზრდობა მოიზიდონ, ზოგიერთი რეჟისორი იაფფასიან ეფექტებს მიმართავს, ზოგჯერ ეროტიკულ სცენებსაც. ასეთ დადგმებში მე მონაწილეობას არ ვიღებ. ზოგჯერ გათანამედროვებულ დადგმებში კურიოზებს ვაწყდები. ეს ხშირად ხდება. მაგალითად, პარიზისეულ „ტრუბადურებში“ სცენოგრაფია ასე იყო გადაწყვეტილი – სცენაზე თითქმის ნატურალური ლიანდაგი იყო დაგებული. ერთ-ერთ სცენაში მევალებოდა ურიკის გამოგორება. რეპეტიციაზე რამდენჯერაც გავაგორე, იმდენჯერ მოხვდა რობერტო ალანიას, შეწუხებულმა კატეგორიულად მოითხოვა ეპიზოდის მოხსნა და ასეც მოხდა. ამავე დადგმიდან კიდევ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ. იგივე ამერიკელი რეჟისორი მთხოვდა, რომ ლეონორასთან დუეტში ხაზგასმით უხეშობა გამომეხატა, თავად შემსრულებელმაც შემომთავაზა თმებში ვწვდომოდი, მაგრამ მე, ქართველმა ეს ვერ შევძელი...

– ფაქტია, რომ არ დარჩენილა მსოფლიოს საუკეთესო სცენა, სადაც არ გამოსულხართ. ბარიტონის ხმისთვის დაწერილი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პარტია უკვე ნამღერი გაქვთ. დარჩა ისეთი, რის შესრულებასაც გთავაზობენ?

– ვერდის „სიმონ ბოკანეგრაში“ მაქვს მიწვევა 2005 წლის იანვარში, სან-დიეგოში. მთავარი პარტია სიმონ ბოკანეგრა უნდა მოვამზადო, კიდევ ვაშინგტონში მელის გამოსვლა ვერდის ოპერაში „სიცილიური მწუხრი“. აქაც მთავარი – გუი დე მონფორის პარტია უნდა შევისწავლო. ამ სპექტაკლზე პლასიდო დომინგომ მიმიწვია და თვითონვე იდირიჟორებს.

საგასტროლო გზები კვლავ უამრავია და დატვირთული.

მომღერალი საქართველოში ათ დღეს დარჩება. მერე კი ბერლინში გაემგზავრება, სადაც ახალ პარტიებზე თავის მეუღლესთან, შესანიშნავ კონცერტმაისტერთან მანანა ჩიქოვანთან ერთად ელის მუშაობა. დამშვიდობებისას ლადო ათანელმა გერმანიაში გამომავალი პოპულარული ჟურნალის „ოპერის თვალის“ ერთ-ერთი ნომერი მაჩვენა, რომელიც საოპერო ხელოვნების ვარსკვლავებს ეძღვნება. ნომერში მასთან ინტერვიუა გამოქვეყნებული. ლადო ათანელი პირველი ქართველი მომღერალია, რომელიც ამ პრესტიჟული ჟურნალის გარეკანზე აღიბეჭდეს.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

სურათებზე: ლადო ათანელი გერმანულ ჟურნალ „ოპერის თვალის“ გარეკანზე; ლადო ათანელი მეუღლესთან ერთად.

წუთისოფელი

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

ჩაწერილი ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში, 1948 წელს

არ გასულა დიდი ხანი და ჩვენმა შტაბმა მიიღო ცნობა და ბრძანება, რომ პოლონეთის ქალაქ ვერჟბოლოვოში გადავსულიყავით, ჩვენი ადგილი კი ციმბირის პოლკს უნდა დაეკავებინა. დაიძრა ჩვენი პოლკი ვერჟბოლოვოსკენ. ჩვენ უკან მივყვებით ჯარს ჩვენი საქონლით. გზაში ბევრი საქონელი დაეცარდა და ვტოვებდით. ახალგაზრდა და მუხლმაგარი საქონელი ყასაბსა და მეფურგონე ბიჭებს გავატანე წინ-წინ, მე და სპირიდონ დგებუაძე კი ერთი დღით ჩამოვრჩით მათ. შემრჩა 60 სული საქონელი. გზად ღამე ერთი მოხუცი გერმანელის ოჯახში გავათიეთ. მან საქონლის საკვები მოგვცა და ჩვენც დავისვენეთ. მესამე დღეს ჩავაღწიეთ ვერჟბოლოვოში, დაღლილ-დაქანცულებმა. შემომხვდა შალვა ფაღავა და მეუბნება – გვანჯი, ცუდად არის საქმე, ქალაქის კომენდანტმა დააპატიმრა ჩვენი ყასაბი ქალაქში საქონლის დაკვლისთვის და ხორციც ჩამოგვართვესო. მე გავქანდი კომენდატურაში და იქ, ჩემდა იღბლად, ენახე ხარბინში გაცნობილი კარგი მეგობარი გიგო იეევსკი, რომელიც თბილისში იყო დაბადებული და გაზრდილი. მან დიდი პატივი მცა. დაუყოვნებლივ გამოაშვებინა დაპატიმრებული ყასაბი. სამგზავროდ მომიხერხა ვაგონები – ცალკე ხორცისთვის, ცალკე კიდევ – ცოცხალი საქონლისთვის და ჩვენს ნაწილებთან ერთად გამოვემგზავრეთ. მეორე დღეს ჩამოვედით ქალაქ სლუხაჩოვოში. აქ სისხლისმღვრელი ბრძოლები იყო გერმანელთა ჯარებთან. მეორე დილით გავედი მდინარე ბზურას ხიდზე და სოფელ კონსტანტინოვკაში დავბანაკდით. აქ ისევ მოვძებნე ადგილობრივი კომისიონერები, მაგრამ ხორციც და სხვა პროდუქტებიც უკვე მეტად ძვირი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთში ვკითხულობ, რომ გერმანიის კრეისერებმა – „გებენმა“ და „ბრესლაუმ“ 120 ყუმბარა დააყარა ქალაქ ფოთს და დიდი ზიანი მიაყენაო. ამ ამბავმა საშინლად შეგვაშფოთა ქართველები. მაშინვე გადავწყვიტე წასვლა, რადგანაც ვიცოდი, რომ ოჯახს საფრთხე შეექმნებოდა, ქალებთან და ბავშვებთან მოხუცი მამის მეტი არავინ იყო. მე განვუცხადე კაპიტან პაპაიანს, შინ დაბრუნება რომ მქონდა განზრახული და ისიც ვუთხარი, ჩემს თანამდებობას კაკაბაძეს გადავაბარებ-მეთქი. სახეზე შევატყვე, ძალიან გაეხარდა ჩემი ნათქვამი, რადგანაც კაკაბაძეს, როგორც სურდა, ისე მოექცეოდა, ჩემთან კი ვერ ბედავდა, თავისი სურვილის მიხედვით ემოქმედნა.

მეორე საღამოს მოვიდა საიდუმლო ცნობა, რომ გერმანელთა ჯარის მთელი კორპუსი მალე გადმოვიდოდა შეტევაზე. ერთმა ოფიცერმა გამაფრთხილა – ყოველ წუთს მოსალოდნელია ბზურას ხიდის დაბომბვა და თუ წასვლას აპირებ, აჩქარდიო. მალე ხორცით დავტვირთეთ ფურგონები და მოვადექით ხიდს, რომლის დაცვა კომენდანტს, პოდპოლკოვნიკს ებარა. მან განმიცხადა – ხიდზე თქვენი გაშვება არ შემიძლია, ჯერ კავალერია უნდა გავატაროთ, სადაცაა გამოჩნდებიანო. სხვა გზა აღარ მქონდა და მოტყუების ხერხს მივმართე, გავიხმე განზე ის კომენდანტი და ჩუმად ვუთხარი – ასაფეთქებელი მასალები მომაქვს და ჩემი დაბრკოლება ყოვლად შეუძლებელია-მეთქი. ამის გაგონებაზე კომენდანტმა უყოყმანოდ გასცა ბრძანება და ჩემი ფურგონებიანად ხიდზე გადამატარეს.

ჩამოვედი ქალაქ სლუხაჩოვოში. ვხედავ, მთელი ქალაქის მოსახლეობა პანიკას მოუცავს. ყველა შეშინებული მეკითხება, თუ რა ხდება ფრონტზე. გამზადებული, მოკრული აქვთ თავთავიანთი ბარგი, დიდი წრიალი და ფუსფუსია. ირგვლივ ქაოსია გამეფებული... მე ყველას ვამშვიდებდი და, რამდენადაც შემეძლო, გულს ვუმაგრებდი, მაგრამ იმასაც ვატყობდი, საფრთხე სერიოზული რომ იყო და მაინც გავაფრთხილე ყველანი, მზად ყოფილიყვნენ წასასვლელად. ამის მერე ჩემი ბარგითა და თანმხლები დამხმარეებით ქალაქიდან გავედით, შევჩერდით ერთი კილომეტრის მანძილზე, ვაკე ადგილზე და დავიწყე ხიდის თვალიერება. ვხედავ, ხიდზე ჩვენი კავალერია გადმოდის. გამოაღწიეს თუ არა მოწინავე ნაწილებმა, ცაზე მტრის სამი თვითმფრინავი გამოჩნდა, ბომბები ჩამოყარეს ხიდის გაყოლებით. ამას მოჰყვა მტრის არტილერიის ძლიერი ცეცხლი. ჩვენმა საზენიტო არტილერიამ საპასუხო ცეცხლი გახსნა და ამ ძლიერი ცეცხლის საფარქვეშ ჩვენმა კავალერიამ მთლიანად მოახერხა ხიდზე გადმოსვლა ისე, რომ მტერმა ვერ შეძლო ხიდის დანგრევა.

ქალაქი სლუხაჩოვო კიდევ უფრო მეტად მოიცვა პანიკამ. ასობით და ათასობით ქალი, მოხუცი, ბავშვი – მთელი მოსახლეობა, სამხედროები სასოწარკვეთილი, შეძრწუნებული სახეებით გამორბოდნენ. ისმოდა გულისგამგმირავი წივილ-კივილი, მოთქმა, გოდება. ყველაფერი ერთმანეთში იყო ასვრილი და არეული – ადამიანები, ცხენები, დროგები და ვინ მოსთვლის, რა აღარ. ქალაქის გარშემო მდებარე ტყეში ამ გამაყრუებელმა სროლამ და ღრიანცელმა ნადირიც კი დააფრთხო და ვხედავთ – დღის სინათლეზე როგორ გამორბოდნენ მგლები, ტურები, მელიები და სხვა ცხოველები. ჩვენ განვაგრძობდით გზას და რამდენადაც გვიხერხდებოდა, ვამხნევებდით, ვამშვიდებდით მოსახლეობას.

ერთი კილომეტრიც არ გვქონდა გამოვლილი, რომ გზაში თავისი რაზმით შემომხვდა ოფიცერი გიორგი ხერხეულიძე, საუცხოო ვაჟკაცი და დიდად განათლებული ადამიანი. გიორგიმ მითხრა, რომ სარდლობის დავალებით მიდიოდა უკან დახეული ჩვენი ჯარების დასახმარებლად, რათა შეეჩერებინა შეტევაზე გადმოსული მტრის ჭარბი ძალები. ამ შეხვედრისას გიორგი ხერხეულიძემ წინასწარმეტყველურად თქვა – ჩემო გვანჯი, არ შეიძლება ამ ომს რუსეთში რევოლუცია არ მოჰყვესო. გამომშვიდობებისას გიორგიმ ისიც მითხრა, თუ ცოცხალი დავრჩი, ხვალ საღამოს გინახულებ და წერილებს გაგატან თბილისში ჟურნალ „სინათლის“ რედაქციაში, სადაც ჩემი მეგობრები დიდ მადლობას გეტყვიან და მათ გაიცნობო. მე ვიცოდი, გიორგი მოწინავე აზროვნების ქართველი პატრიოტი რომ იყო და სიამოვნებით შევპირდი, დამეცადა, სანამ წერილებს მომიტანდა. დავემშვიდობე ამ დიდებულ ვაჟკაცს და განვაგრძეთ გზა. იმავე საღამოს შევედით ქალაქ ბლონიეში. ამ ქალაქშიც დიდი არეულობა და პანიკური მდგომარეობა დაგვხვდა. მოსახლეობა აქაც გასაქცევად ემზადებოდა.

გვანჯი ჩიქოვანის ქართულ-აფხაზური სანათესაო და სამეგობრო. სოხუმი. XX საუკუნის 10-იანი წლები.

ქალაქში გასული დავდივარ, ვათვალიერებ ხალხს და ერთ ქუჩაზე, მოზრდილი სახლის ღია ფანჯრიდან მესმის ქართული ლაპარაკი. ვაკაკუნებ, გახარებული შევდივარ კარებში და თამამად ვკითხულობ – ვინა ხართ, ბიჭებო, ქართველები თუ სხვები? ეს შეკითხვა დამთავრებულიც არ მქონდა, რომ ჯგუფიდან ვიღაცამ მომაძახა: გვანჯი ხარ გენაცვალე?!. როგორა ხარ, ჩემო გვანჯი?! – მომეგება და გადამეხვია. ერმილე ჯოლოხავა აღმოჩნდა. ერმილემ მითხრა, რომ იქ ყოფილა ჩამოყალიბებული სანიტარიული ნაწილი და ერთად მუშაობენ ექიმები – იასონ მუჯირი, პიტონ მეუნარგია, ანდრო პატარაია და სხვები. მალე თვითონ ექიმებიც მოვიდნენ. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ, გააწყვეს მშვენიერი ვახშამი. კარგად ვიქეიფეთ. ნავახშმევს იასონს ვეკითხები – ამაღამ ჩემი დარჩენა სად შეიძლება-მეთქი. იასონმა იმწამსვე გამაყოლა ერმილე ჯოლოხავა და თავისი სანიტარიული ნაწილიდან ჩემთვის და ჩემს მხლებელთათვის დამითმო ერთი ოთახი, სადაც კარგად მოვისვენეთ.

მეორე დღეს მივედი პაპაიანთან, მოვთხოვე საბოლოო ანგარიში და ისიც ვუთხარი, ჩემი მოვალეობა კაკაბაძისთვის გადაებარებინა. მან მაშინვე გამოიძახა კაკაბაძე, გამომიწერა კუთვნილი თანხა და საბუთები კაკაბაძეს გადავეცი. ამასობაში მოსაღამოვდა და მე, შეპირებისამებრ, გიორგი ხერხეულიძეს ველოდები. საღამოს 6 საათზე საველე ფოსტამ ჩვენთვის დიდად სამწუხარო ამბავი მოიტანა. შევიტყვეთ, რომ გიორგი ხერხეულიძე მოკლულ იქნა ბრძოლის ველზე, სადაც მან გასაოცარი თავგანწირვა გამოამჟღავნა, ნამდვილი გმირობა ჩაიდინა. მისი დაღუპვის ამბავზე გამოქვეყნებული იყო წერილები როგორც რუსულ, ასევე ქართულ გაზეთებში. მე, სპირიდონ დგებუაძე და შალვა ფაღავა იმ საღამოსვე წამოვედით და ჩავედით ქალაქ ვარშავაში.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 147-151, 153-166, 168, 170, 173, 174, 176-179, 181-190.

ინფორმაცია

<u>გრუნვა</u>

ბავშვებს კახეთიც მასპინძლობს

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონიდან გამოყვანილი ქალები და ბავშვები კახეთის რეგიონმა მიიღო.

ზნაურის რაიონის სოფელ ავნევიდან ჩამოსული 62 სტუმარი გუშინ თოხლიაურის დასასვენებელ კოტეჯებში განათავსეს. სამჩაბლოელ ბავშვებს, რომელთა უმეტესობა უმშობლებოდ არის ჩამოსული, უზრუნველყოფენ პირველადი მოხმარების ნივთებით, სამჯერადი კვებითა და სამედიცინო მომსახურებით.

ცხინვალის რეგიონიდან ჩამოსული ბავშვები ლაგოდეხის, ყვარლის, გურჯაანის და თელავის რაიონებშიც ისვენებენ. სულ სამაჩაბლოდან კახეთში 200-მდე ბავშვია ჩაყვანილი.

<u>დედაქალაქი</u>

ახალი ბილბორდები – აეროპორტის გზატკეცილზე

აეროპორტის გზატკეცილზე ახალი ტიპის ბილბორდები განთავსდა, რომლებზეც ქართული პროფესიული კულტურა არის წარმოჩენილი. მხატვარ გია ბუღაძის ინიციატივითა და საჰაერო ნავიგაციის ფინანსური მხარდაჭერით დამზადებული ექვსი ბილბორდი ქართველ კლასიკოსებსა და მათ შემოქმედებას წარმოაჩენს.

აეროპორტის გზატკეცილზე განთავსებული ეს ბილბორდები ჩვეულებრივი სარეკლამო დაფებისგან მხატვრული, არაორდინარული ფორმითაც განსხვავდება.

<u>აქცია</u>

მერის ინიციატივის წინააღმდეგ

ვაკის რაიონის მოსახლეობის ნაწილი ვაკეში მშენებლობებზე მორატორიუმის გამოცხადების შესახებ თბილისის მერის ინიციატივას აპროტესტებს. მორატორიუმის გაუქმების მოთხოვნით ირ. აბაშიძის №85-ში მცხოვრებმა მოქალაქეებმა გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს.

როგორც „ინტერ-პრესს“ ერთ-ერთმა მობინადრემ რუსუდან თაბუკაშვილმა განუცხადა, მერიის ინიციატივა ვაკის რაიონის ავარიულ სახლებში მცხოვრებ მოსახლეობას საბინაო პირობების გაუმჯობესების საშუალებას ართმევს.

„ჩვენი საცხოვრებელი სახლი უმძიმეს ავარიულ მდგომარეობაშია. დახეთქილია კედლები, გაჩენილია ნაპრალები, რაც მრავალმხრივ საშიშროებას ქმნის. მორატორიუმის გამოცხადებით კი ჩვენი უფლებები ილახება და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პერსპექტივა გვერთმევა“, – აღნიშნა მან.

<u>ფინანსური პოლიცია</u>

კონტრაბანდა ნაგავსაყრელზე

ფინანსურმა პოლიციამ ზუგდიდის რაიონის სოფელ ტყაიასთან აფხაზეთის თამბაქოს ქარხანაში დამზადებული 6 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი დააკავა, რომელიც „კამაზის“ ტიპის 3 ავტომანქანით გადაჰქონდათ.

ფინანსურმა პოლიციამ 9 სახეობის, 120 ათასი დოლარის ღირებულების კონტრაბანდული სიგარეტი ნაგავსაყრელზე გაიტანა და გაანადგურა.

ინტერ-პრესი.

დღის თემა

მექრთამის მატარებელი ჯერ არ გაჩერებულა

რა უფრო მეტი უნდა ჰქონდეს კაცს, – ხელფასი თუ სინდისი?

შესაძლება ზოგიერთმა თქვას, დღეს ლაპარაკი არ ღირს არც ხელფასზე და არც სინდისზე, ორივე საკმაოდ დეფიციტიაო, მაგრამ მთლად არც ასეა საქმე. ლაპარაკი ერთზეც ღირს და მეორეზეც, რადგან ბევრმა ხელფასი აქცია სინდისის საზომად და ასევე ბევრმა, – სინდისი გაიწყვიტა „ხელფასის“ სახვეჭად...

უპირველესად, ხელფასსა და სინდისზე სალაპარაკოა იმ სახელმწიფო მოხელეებთან, რომლებიც ქვეყნის, ხალხის სამსახურში დგანან და მოვალენი არიან პატიოსნად ემსახურონ ერთსაც და მეორესაც. თუ საერთოდ ანაზღაურებას გადავხედავთ, იგი მართლაც ცოტაა, რაღაც ერთი კვირის სამყოფია. დღეს რომ უნივერსიტეტის ლექტორმა ან სკოლის პედაგოგმა ხელფასზე იწუწუნოს, ყველასათვის გასაგებია, მაგრამ გაუგებარია იმათი წუწუნი, ვისაც ხელი თაფლის კასრში ჩაუყვია და მაინც ცხვირი ჩამოუშვია...

ამ 11 თუ 12 წლის წინათ საქართველოს ტელევიზიით ერთდროულად გამოვიდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი და საბაჟო სამსახურის უფროსი. ჟურნალისტების ერთ-ერთი კითხვა ამ უწყებაში აყვავებულ მექრთამეობას, კორუფციას შეეხებოდა. – რა ვქნათ? – განაცხადეს მათ, – ჩვენს მუშაკებს პატარა ხელფასები აქვთ, როგორ მოვთხოვოთ პასუხი?

მე მაშინ შემძრა ამ პასუხმა, მაგრამ რატომღაც არ შესძრა შესაბამისი ზემდგომი ორგანოები, რომელთაც ევალებოდათ ესოდენ სოლიდური სტრუქტურების ესოდენ კომპეტენტური თავკაცების განცხადებათა „ნიუანსებში“ გარკვევა. ფაქტობრივად, რა გამოდიოდა? უწყებათა ხელმძღვანელები შეგნებულად ხუჭავდნენ თვალს მექრთამეობაზეც და კორუფციაზეც საერთოდ, და ამას აკეთებდნენ იმიტომ, რომ მათ მუშაკებს მცირე ხელფასები ჰქონდათ.

ის შინაგან საქმეთა მინისტრიც და ის საბაჟო სამსახურის უფროსიც ამდენი გადატრიალება-გადმოტრიალების შემდეგ, ცხადია, ძველ თანამდებობებზე აღარ მუშაობენ. ამიტომ მათ გვარებს შეგნებულად არ ვასახელებ. თუმცა, მათი დასახელება ეფექტს აღარც გამოიწვევს, რადგან მათ მერე ბარე ცხრა ასეთივე თანამდებობის პირმა იგივე განაცხადა და მათი განცხადებებიც ასევე უკომენტაროდ დარჩა. ერთხელ, მაგალითად, პარლამენტში განიხილავდნენ კანონპროექტს საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ. იქ საკითხი შეეხო ხელფასებსაც, 30-პროცენტიან საპრემიო ფონდსაც. რაღაცას ორჭოფოდნენ. და მაშინ უწყების ხელმძღვანელმა რევაზ შავიშვილმა თქვა: მე ვითხოვ, კონტროლის პალატის თანამშრომელთა ხელფასი პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა ხელფასს მაინც გაუტოლდეს. თუ ამას არ გავაკეთებთ, შეგიძლიათ ყველა ორთაჭალის ციხეში მიგვაბრძანოთ, რადგან სრულიად გასაგები იქნება, რითი ვარსებობთ („ახალი თაობა“, 31 ოქტომბერი, 1996 წელი).

საპრემიო ფონდი არ „გავიდა“, შესაშურად არც ხელფასი გაიზარდა. კონტროლის პალატის მუშაკები არც ორთაჭალის ციხეში გაუსტუმრებიათ, არც შინ გაუშვიათ. კორუფციის ბორბალი შეუფერხებლად ტრიალებდა და მის შეჩერებას არავინ არ ცდილობდა...

ამიტომაც მძვინვარებდა დაუსჯელობის სინდრომი, აქედან გამომდინარე, წაყრუების, წაბრმავების პრინციპი. ზოგიერთ მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკს საჯაროდ, ტელევიზიით, პრესით უწოდებდნენ მექრთამეს, კორუმპირებულს, ის კი დუმდა, უშნოდ იღიმებოდა, ვითომ მასზე კი არა, გადამთიელზე ლაპარაკობდნენ. რა დაგვემართა? რა და, ღირსების გრძნობა დაგვეკარგა, თავმოყვარეობა წაგვერთვა, ლაფში ამოგვესვარა და შუბლის ძარღვი არც კი აგვიტოკდა!

კარგით, როგორც იტყვიან ხოლმე, რაც იყო იყო, დავივიწყოთ, ახალი ცხოვრება დავიწყოთო! წავიდა ის მთვლემარე ხელისუფლება, მოვიდა ბობოქარი, შეუპოვარი, კორუფციასთან სასტიკად მებრძოლი თაობა. და რას ვხედავთ? აქა-იქ ჩინოვნიკები, სახელმწიფო მოხელეები, მიუხედავად ხელფასების პერმანენტული ზრდისა, ისევ ძველებურად განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას, – უფრო სწორად, საკუთარი კეთილდღეობის მოწყობას თუ საკუთარი ჯიბის გატენას. თითქოს თვალებზე ლიბრი გადააკრეს, თითქოს ყურები ბამბით დაუცვეს. ვერაფერს ხედავენ, ვერაფერს ისმენენ...

პოლიციელი: – ახლახან ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გაჩხრიკეს თბილისის პოლიციის ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახურის უფროსის სოსო ბირთველიშვილის და სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის ტარიელ მაისურაძის სეიფები. იქ იპოვეს ნარკოტიკიც და ფულიც – 6.000 დოლარი. ეს ფული მათ ერთ-ერთ მოქალაქეს გამოსძალეს, სამი დღის შემდეგ კი კვლავ მიადგნენ და თანხის დამატება მოითხოვეს;

საგადასახადო სამსახურის ინსპექტორი: – ერთ-ერთ მეწარმეს 1100 ბოთლი არაყი „ტრიუმფი“ უნდა გაეყიდა და სასაქონლო ზედნადებს ითხოვდა. ისანი-სამგორის რაიონის საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელმა ლუბა სუდაძემ იგი საღამოს საათებში კაბინეტში დაიბარა და დოკუმენტი კლიენტს 100 ლარად „ჩააბარა“;

ექსპერტი: – სამართალდამცველებმა ქრთამის აღების ფაქტზე ამხილეს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის ექსპერტი ანზორ კახიძე, რომელმაც ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნის მიცემისთვის მოქალაქე მზია სეთურს გამოსძალა 1000 დოლარი;

სატყეო მეურნეობის დირექტორი: – ავთანდილ გელაძე მუშაობდა ადიგენის სატყეო მეურნეობის დირექტორად. მისი მუშაობის პერიოდში უკანონოდ მოიჭრა 2.160 კუბური მეტრი წიწვოვანი ჯიშის მერქანი. იგი სისტემატურად „ატყავებდა“ კურცხანის სატყეო უბნის უფროსს პავლე ტატალაშვილს და წახნის სატყეო უბნის უფროსს უშანგი ღვინიაშვილს. პირველს გამოსძალა 300 ლარი და 70 კუბური მეტრი მორი, მეორეს – 1050 ლარი და 100 კუბური მეტრი მორი;

პროკურორი: – ქრთამის სახით 2.000 დოლარი აიღო ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის გამომძიებელმა ზვიად უზნაძემ. აქ საქმე ერთ კაცზე არ შეჩერდა. გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ რაიონის პროკურორი ბორის მჭედლიძეც და მისი მოადგილე დავით გერმანოზიშვილიც. წინასწარი ვარაუდით, მათ ყველაფერი იცოდნენ, ესე იგი, ქრთამის აღებაზე შეგნებულად წავიდნენ. და ეს მაშინ, როცა ამ უწყებამ ჩინოვნიკთა დაჭერებით ქვეყანა შეძრა, ყოველ შემთხვევაში, კორუმპირებულებს კაი გვარიანი თავზარი დასცა;

სამხედრო განყოფილების უფროსი: – მარტოოდენ ფულს არ დასჯერდა გარდაბნის რაიონის სამხედრო განყოფილების უფროსი ნიზამ ბაირამოვი. მან სოფელ ნაზარლოში მცხოვრებ ძმებს – კასუმოვებს – ჯარიდან განთავისუფლების სანაცვლოდ გამოართვა 1000 დოლარი და ორი ცხვარი (როგორც ჩანს, სწორედ ეს ცხვრები აბღავლდნენ);

პარლამენტარი: – მიუხედავად რამდენიმე წინასწარი გაფრთხილებისა, დეპუტატმა გიორგი კენჭაძემ 100.000 დოლარი ზედ სახელმწიფო კანცელარიის წინ გამოართვა აჭარელ ბიზნესმენებს, რომელთაც ახალ ხელისუფლებასთან პრობლემების მოგვარებას ჰპირდებოდა. ვიმეორებ, მიუხედავად რამდენიმე წინასწარი გაფრთხილებისა...

ისევ ვკითხულობ, – რა ქნას, ხალხო, უნივერსიტეტის ლექტორმა ან სკოლის პედაგოგმა? აიღოს მანაც სინდისზე ხელი და ძარცვოს ჩვენი შვილები, ჩვენი შვილიშვილები, დები, ძმები, ახლო ნათესავები? რახან პოლიციაში ხარ ან პროკურატურაში, ან კომისარიატში, ეს გაძლევს იმის უფლებას, რომ ადამიანები გამოიჭირო, აწრუწუნო, ფული გამოსძალო?

სრულიად საქართველოს რწმენა ვინ უნდა დაუბრუნოს, სამართლიანობის გრძნობა ვინ უნდა დაუმკვიდროს, ეს მექრთამეობა ვინ უნდა ამოძირკვოს, – ამერიკელმა, ინგლისელმა, გერმანელმა?

არა, – ისევ ქართველმა!

მერედა, რას ვაკეთებთ?

ზონდო გულიაშვილი.

ანეკდოტი თემაში

– ციხეში როგორ მოხვდი?
– ქრთამი ავიღე!
– ასე მალე როგორღა გამოხვედი?
– ქრთამი მივეცი!

კარგი ამბები მაგთიკომისგან!

ძვირფასო აბონენტებო!

ჩვენს მომსახურებაში სიახლეა:

ამიერიდან ამოწურული ავანსის პირობებში კომპანია

20 დღით შეგინარჩუნებთ შემომავალ ზარებს,

ნაცვლად 5-სა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ვერ მოახერხებთ ანგარიშის შევსებას, 20 დღის განმავლობაში სხვები მაინც შეძლებენ თქვენთან დარეკვას.

ანგარიშზე თანხის ამოწურვის ვადის გასვლის შემდეგ

აღარ მოხდება დარჩენილი თანხის ანულირება:

როდესაც გაააქტიურებთ ახალ მონო-ბარათს, ანგარიშზე დარჩენილ თანხას დაემატება მონო-ბარათის შესაბამისი თანხა.

მაგთი GSM – მუდმივი კავშირის სამყარო!

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით

ქალაქის უფასო ნომრებზე: 25-00-00, 25-11-11,

უფასო მობილურ ნომრებზე: 525, 25-00-00, 25-11-11

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი პირადი შემადგენლობის სურსათით უზრუნველყოფის მიზნით აცხადებს ღია ტენდერს კვების პროდუქტების შესასყიდად

შესყიდვის ობიექტებია:

№	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მიწოდების ადგილი
1	ფქვილი I ხარისხის	კგ	18000	ქ. ბათუმი
2	ფქვილი II ხარისხის	კგ	12000	ქ. ბათუმი
3	კარაქი ძროხის	კგ	1200	ქ. ბათუმი
4	მარილი	კგ	600	ქ. ბათუმი
5	საფუარი	კგ	30	ქ. ბათუმი
6	წიწიბურა	კგ	1200	ქ. ბათუმი
7	მანანის ბურღული	კგ	450	ქ. ბათუმი
8	ქერის ბურღული	კგ	450	ქ. ბათუმი
9	ფეტვის ბურღული	კგ	450	ქ. ბათუმი
10	ბარდა ხმელი	კგ	450	ქ. ბათუმი
11	მაკარონის ნაწარმი	კგ	1800	ქ. ბათუმი
12	ბრინჯი	კგ	1800	ქ. ბათუმი
13	საქონლის ხორცის კონსერვი	კგ	4200	ქ. ბათუმი
14	ზეთი მცენარეული	კგ	600	ქ. ბათუმი
15	შესქელებული რძე	კგ	203	ქ. ბათუმი
16	შაქარი	კგ	1920	ქ. ბათუმი
17	ლობიო ხმელი	კგ	1050	ქ. ბათუმი
18	კარტოფილი	კგ	7500	ქ. ბათუმი
19	კომბოსტო	კგ	1800	ქ. ბათუმი
20	ჭარხალი	კგ	540	ქ. ბათუმი
21	სტაფილო	კგ	540	ქ. ბათუმი
22	ხახვი	კგ	900	ქ. ბათუმი

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) 2004 წლის განმავლობაში შემსყიდველის მიერ საქონლის წინასწარ განსაზღვრული მოცულობით და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად DDP პირობით შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის № 11.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა უნდა განხორციელდეს ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს თარგმანი ქართულ ენაზე) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა № 12, 2004 წლის 6 სექტემბრიდან 7 სექტემბრის დღის 17 საათამდე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

– ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნების მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება და არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნების მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არის ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნების მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ფიზიკური პირებისათვის:

– ცნობას უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია;

– ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და დასახელებული იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500 ლარი) გადახდის შემდეგ 2004 წლის 10 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა № 12. სატენდერო მოსაკრებლის თანხა უნდა ჩაირიცხოს: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი (კოდი 1512), ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ა/ა 000141408.

ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დასაშვებია ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს თეიმურაზ სხირტლაძეს, ტელეფონის ნომერი: 899-55-56-57.

განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია II კატეგორიის საქმიანობაზე:

გორის რ-ნში „ძლევიჯვარისა და დიდი რუს მაგისტრალური არხების სათავე ჰიდროკვანძის მოწყობა მდ. დიდ ლიახვზე სოფელ ნიქოზთან“ პროექტი.

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. 5 ოქტომბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრესცენტრში: თბილისი, კოსტავას № 68ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში: თბილისი, ფალიაშვილის № 87, ტელ. 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2004 წლის 5 ოქტომბერს, 12 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური.

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია აცხადებს ტენდერს სამფაზა (5ა 220/380ვ) ელექტროენერგიის მრიცხველების შეძენაზე.

ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ კომპანიებს შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. 6, ტელ: 38-71-99, 38-74-99, 38-75-99 — კანცელარიის განყოფილება, სამუშაო საათები 9-დან 18-მდე. განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 20 აგვისტო, 16 საათამდე.

შარონმა მოიწონა დასახლებათა გაფართოების გეგმა

ისრაელის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე ებრაელთა დასახლებებში ათასზე მეტი ახალი სახლის მშენებლობის შესახებ, იტყობინებიან ინფორმირებული წყაროები.

ეს ნაბიჯი გადაიდგა სულ რამდენიმე კვირაში მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაჟინებით მოითხოვა, რომ არიელ შარონს ხელი აეღო ასეთი გეგმების განხორციელებაზე.

ამავე დროს, შეერთებული შტატების მიერ შეთავაზებული სამშვიდობო გეგმის, ეგრეთ წოდებული „საგზაო რუკის“ თანახმად, უნდა გაიყინოს დასახლებების ნებისმიერი გაფართოება. თუმცა, ისრაელის მთავრობა აცხადებს, რომ მისი ასეთი ნაბიჯი არ ეწინააღმდეგება სამშვიდობო გეგმას. ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან პალესტინელები და ახალი სახლების მშენებლობამ, შესაძლოა, პალესტინელთა მძაფრი რეაქცია გამოიწვიოს.

დასახლებათა გაფართოების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს ისრაელის მმართველი პარტიის „ლიკუდის“ კონფერენციის გამართვამდე ერთი დღით ადრე, რომელზეც არიელ შარონს დელეგატებისათვის საკმაოდ სერიოზული ახსნა-განმარტებების მიცემა მოუწევს.

„ლიკუდის“ მრავალი წევრი შარონს აკრიტიკებს იმის გამო, რომ იგი დათანხმდა ებრაელთა დასახლებების გამოტანას ღაზის სექტორიდან და აწარმოებს მოლაპარაკებას ოპოზიციურ შრომის პარტიასთან კოალიციის შექმნის შესახებ.

ამიტომ, ექსპერტები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ გადაწყვეტილება ებრაელთა დასახლებების მშენებლობის განახლების თაობაზე, შარონმა მიიღო თავისი ოპონენტების დაშოშმინების მიზნით.

ამერიკის შეერთებული შტატები უარს ამბობს, ცნოს რეფერენდუმის შედეგები

ამერიკის შეერთებული შტატები უარს ამბობს, ცნოს ვენესუელის პრეზიდენტის უგო ჩავესის უფლებამოსილების გაგრძელების საკითხზე გამართული რეფერენდუმის შედეგები და მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მალე დაიწყოს იმ გაყალბებათა საქმის სრულმასშტაბიანი და გამჭირვალე გამოძიება, რომელთა შესახებაც ოპოზიცია იტყობინებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში, აგრეთვე, აღნიშნეს, რომ არ არიან მზად, მიიღონ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციისა და „კარტერის ცენტრის“ მეთვალყურეთა დასკვნები.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ცეზარ გავირიამ დაადასტურა, რომ რეფერენდუმში გაიმარჯვეს ვენესუელის პრეზიდენტის უგო ჩავესის უფლებამოსილების გაგრძელების მომხრეებმა. ბიულეტენების საერთო რაოდენობის 94,5 პროცენტის დაანგარიშების საფუძველზე ეროვნულმა საარჩევნო საბჭომ განაცხადა, რომ უგო ჩავესს მხარს უჭერს ამომრჩეველთა 58 პროცენტი.

მანამდე, კარაკასში გამართულ პრესკონფერენციაზე, გავირიამ აღნიშნა, რომ მეთვალყურეებს არანაირი დარღვევები არ დაუფიქსირებიათ. „თუ ოპოზიციას აქვს სერიოზული ეჭვები, ჩვენ მზად ვართ მათთან ვიმუშაოთ, მაგრამ ეჭვქვეშ არ დავაყენებთ მიღებული შედეგების სისწორეს“, – დასძინა მან.

ასეთივე მოსაზრება გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმაც, რომელიც „კარტერის ცენტრის“ სახელით ადევნებდა თვალყურს ვენესუელაში გამართულ რეფერენდუმს. „ჩვენი დასკვნები ემთხვევა ეროვნული საარჩევნო საბჭოს მიერ გამოცხადებულ წინასწარ შედეგებს“, – თქვა მან.

ამავე დროს ოპოზიცია, რომლის ინიციატივითაც გაიმართა რეფერენდუმი, კვლავ ამტკიცებს, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობამ ხმა მისცა უგო ჩავესის თანამდებობიდან გადაყენებას, რომლის პრეზიდენტობის ვადა 2006 წელს იწურება.

წყალდიდობა ბრიტანეთის დასავლეთ ნაწილში

ინგლისის კორნუელის საგრაფოში დამანგრეველი ძალის წყალდიდობის შემდეგ ხორციელდება ნანგრევების გაწმენდის მასშტაბური ოპერაცია.

საგრაფოს სოფელ ბოსკასლს თავს დაატყდა წყლის სამი მეტრი სიმაღლის ტალღები, რის შედეგადაც დაინგრა ექვსი საცხოვრებელი სახლი. სტიქიამ გაიტაცა 50-ზე მეტი ავტომანქანა, რვა ადამიანმა მიიღო მსუბუქი ტრავმები. ინფორმაცია დაღუპულთა ან უგზოუკვლოდ დაკარგულთა შესახებ არ გავრცელებულა.

სამაშველო ოპერაციის ფარგლებში, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა, სოფლიდან გამოხიზნეს ასზე მეტი კაცი.

ახლა სპეციალისტებმა უნდა შეამოწმონ, თუ რამდენად უსაფრთხოა საცხოვრებლად ის შენობები, რომლებიც აღმოჩნდნენ წყლის ნაკადულის გზაზე.

ძლიერი წყალდიდობის მიზეზი გახდა ორშაბათს, ნაშუადღევს მოსული კოკისპირული წვიმა, რის შედეგადაც ბოსკასლის მიდამოებში ორი საათის განმავლობაში მოვიდა ექვსი სანტიმეტრის ნალექები.

როგორც მაშველები აღნიშნავენ, ბოსკასლში წყლის ნაკადის სიჩქარემ საათში 70 კილომეტრს მიაღწია. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ წყლის დონე მდინარეებში ნელ-ნელა მოიკლებს, თუმცა, კვლავ არის მოსალოდნელი კოკისპირული წვიმები.

„კასინიმ“ აღმოაჩინა სატურნის ორი ახალი პატარა თანამგზავრი

კოსმოსურმა ზონდმა „კასინიმ“ აღმოაჩინა სატურნის ორი ახალი თანამგზავრი. ახლა ამ გაზის გიგანტის ირგვლივ ორბიტაზე მბრუნავი „მთვარეების“ რიცხვმა 33-ს მიაღწია.

სენსაციური ფოტოსურათები „კასინიმ“ გადაიღო 1 ივლისს, როცა მან მიაღწია პლანეტას და დედამიწიდან 16 მილიონი კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდა. ერთი დღით ადრე კი, 30 ივნისს, კოსმოსური აპარატი შევიდა სატურნის ორბიტაში.

კოსმოსური ზონდის მიერ აღმოჩენილი ორი ახალი თანამგზავრი ძალზე მცირე ზომისაა. მათი დიამეტრი მხოლოდ 3,2 და 4 კილომეტრია, სატურნის ცენტრიდან კი ისინი შესაბამისად განლაგებული არიან 194 ათას და 211 ათას კილომეტრ მანძილზე. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, აქამდე ცნობილი სატურნის ყველაზე პატარა თანამგზავრის დიამეტრი დაახლოებით 20 კილომეტრს უდრიდა.

ამ აღმოჩენამ ნამდვილი სენსაცია გამოიწვია სამეცნიერო სამყაროში არა მარტო იმიტომ, რომ აღმოაჩინეს ორი ახალი კოსმოსური სხეული. საქმე ის არის, რომ როგორც აქამდე მეცნიერებს მიაჩნდათ, ასეთი პატარა „ქმნილებები“ ვერ „იარსებებდნენ“ გაზის გიგანტის ორბიტაზე, რადგან ისინი კარგა ხნის წინათ დაილუპებოდნენ კომეტებთან შეჯახების შედეგად.

კოსმოსური აპარატი „კასინი“ გაუშვეს 1997 წლის ოქტომბერში. ამერიკა-ევროპის ამ ერთობლივი პროექტის ღირებულება 3,3 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ვიეტნამში კვლავ გამოჩნდა ფრინველის გრიპი

აგვისტოს დამდეგს ვიეტნამში გარდაცვლილ ბავშვებს სისხლში აღმოაჩნდათ ადამიანისათვის სასიკვდილო „ფრინველის გრიპის“ შტამი, იტყობინება „რეიტერის“ სააგენტო, რომელიც იმოწმებს ვიეტნამელი ექიმების გამონათქვამს.

ჰანოის ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიის ინსტიტუტის ერთ-ერთმა სპეციალისტმა სააგენტოს აცნობა, რომ ვირუსის შტამი იდენტიფიცირებულია, და ეს არის ადამიანისათვის მომაკვდინებელი H5 N1 ვირუსის სახესხვაობა.

გამოკვლევის პირველ ეტაპზე, ქვეყნის ერთ-ერთ ჩრდილოეთ პროვინციაში ავადმყოფობის შედეგად გარდაცვლილი ბავშვების სისხლში მხოლოდ H5 ვირუსი აღმოაჩინეს. მაგრამ, მოგვიანებით, კლინიკური გამოკვლევების შედეგად, დაადგინეს N1 შტამის არსებობა, რომელიც „ფრინველის გრიპს“ ადამიანისათვის მომაკვდინებელ დაავადებად აქცევს.

„ფრინველის გრიპის“ ბოლო ეპიდემიის გავრცელების დღიდან ვიეტნამში დაიღუპა სამი ადამიანი. სულ კი, მიმდინარე წლის დამდეგიდან აზიაში ამ დაავადებას 24 კაცი ემსხვერპლა.

მოკლედ

ერაყში გაათავისუფლეს იორდანიის მოქალაქე. როგორც ქალაქ ქერბელის პოლიციის შეფმა განაცხადა, მძევალი იორდანიის ბანკის თანამშრომელია. მანამდე კი, მძევლად აიყვანეს ორი სხვა იორდანიელი, რადგან გამტაცებლებს სურდათ, ასეთი გზით ეიძულე-



ბინათ კომპანია, რომელშიც ისინი მუშაობდნენ, შეეწყვიტა თანამშრომლობა ამერიკელებთან. მოგვიანებით ეს ორი მძევალიც გაათავისუფლეს.

* * *

ბაბუიანის კუნძულებზე აღმოაჩინეს მეცნიერებისათვის აქამდე უცნობი „მორბენალი ფრინველი“. ამ ხასხასა წითელი ფერის ნისკარტის და მუქი შეფერილობის ფრინველს უწოდეს კალაიანის მწყემსი – ფილიპინის არქიპელაგის იმ კუნძულის პატივსაცემად, რომელზეც იგი იპოვეს. ადგილობრი-

ვი მცხოვრებლები კი მას უწოდებენ „მორბენალ ფრინველს“ – პიდინგს.

* * *

იერუსალიმიდან დასავლეთით მდებარე ეინ-ქერემის დაბაში ბრიტანელმა არქეოლოგმა შიმონ გიბსონმა აღმოაჩინა გამოქვაბული უჩვეულო დიდი ემბაზით. ადრექრისტიანული წყაროების თანახმად, სწორედ ამ მიდამოებში დაიბადა და ქადაგებდა იოანე ნათლისმცემელი.

* * *

ტაჯიკეთის ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ მებრძოლი უწყების ყოფილ ხელმძღვანელსა და პრეზიდენტის გვარდიის ყოფილ სარდალს, გენერალ-ლეიტენანტს გაფორ მირზოევს ბრალად ედება იარაღისა და ტყვია-წამლის უკანონოდ შესყიდვა და შენახვა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, უკანონო კომერციული საქმიანობა. მას 20 წლამდე ვადის პატიმრობა ემუქრება.

* * *

ბაღდადის რაშიდის სავაჭრო კვარტალში მომხდარი აფეთქების შედეგად და-

იღუპა 7 და დაიჭრა 42 კაცი. ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აფეთქდა ნაღმი. მანამდე კი გამოითქვა ვარაუდი, რომ აფეთქების მიზეზი დანაღმული ავტომობილი იყო.

* * *

პაკისტანში მოხდა ორი ტერორისტული აქტი. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ბომბის აფეთქების შედეგად დაზიანდა „Sui Northern Gas Pipelines“ ეროვნული კომპანიის კუთვნილი გაზსადენის მონაკვეთი.

კორპორაციის წარმომადგენელთა თქმით, მილსადენის ეს მონაკვეთი „დააზიანეს ტერორისტებმა“, რომლებმაც გამოიყენეს საათის მექანიზმიანი ასაფეთქებელი მოწყობილობა“. ამ ტერორისტული აქტის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არც ერთ ექსტრემისტულ ორგანიზაციას არ უკისრია.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

ზაზა ბეჟანიძემ.

გვწერენ

ტყუილის მოკლე ფეხები

პასუხი ერთი ტენდენციური პუბლიკაციის გამო

პატივცემულო რედაქცია!

გაზეთ „ალიას" ამა წლის 10-11 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა სტატია „ახალი სკანდალი 9 აპრილის მშენებარე მემორიალის გარშემო". ჟურნალისტის ტენდენციურობის გამო აცილებას ვაძლევ გაზეთ „ალიას" და გთხოვთ, თქვენ დამიბეჭდოთ ის განცხადება, რომლის გამოქვეყნებაც თავდაპირველად იქ მსურდა.

ასეთი წერილი მიიღო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციამ 9 აპრილის მემორიალის ერთ-ერთი ავტორის კახა ქორიძისგან. გთავაზობთ ამ წერილს.

„ბაზეთ „ალიას" რედაქციას.

ჩემი აზრით, დიალოგის წარმმართველი ჟურნალისტი აშკარად ტენდენციურია, რითაც ერთდროულად დაარღვია სამართლებრივი, ჟურნალისტური და ადამიანური ურთიერთობის ეთიკური ნორმები.

როგორც ჟურნალისტი გვამცნობს, მასალა თურმე ერთი კვირის დაგვიანებით დაიბეჭდა, ვინაიდან ამ ხნის მანძილზე ჩემთან დაკავშირება ჩემი ახლობლების მეშვეობითაც ვერ შეძლო!

გაზეთის გამოსვლის დღესვე მივედი რედაქციაში. ერთად დავადგინეთ, რომ სკანდალისთვის მომართული ჟურნალისტი სხვა მისამართებზე და მობილურ ტელეფონზე მეძებდა თურმე. ცხადი გახდა, რომ მას პუბლიკაციამდე ჩემთან შეხვედრა ხელს არ აძლევდა. საქმის სხვა ჟურნალისტისთვის გადაცემა კი, როგორც მე მოვითხოვე, გაზეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდა...

მეორე დღეს ჟურნალისტმა სატელეფონო საუბარში უარი მითხრა ამ განცხადების გამოქვეყნებაზე და ესკიზებით რედაქციაში დამიბარა. ეს კი, უკვე ჩემთვის შეურაცხმყოფელი იყო.

რაც შეეხება სტატიის მთავარი „გმირის" ცილისმწამებლურ „ბრალდებებს", ისინი იმდენად აბსურდულია, რომ ავტორთა ჯგუფმა პოლემიკაში ჩაბმა საჭიროდ არ მივიჩნიეთ, თუმცა პუბლიკაციის სულისკვეთებამ პასუხის გაცემა მე მაინც მაიძულა.

ჩანს, ასეთი გამოხდომა ნაწილობრივ გამარჯვებული პროექტის მიმართ ჟიურისა თუ კომისიის დასკვნამ განაპირობა — **„მემორიალი თავისი შინაარსით, ასევე ფორმითაც ახალი სიტყვა იქნება როგორც ჩვენი საზოგადოებისთვის, ასევე მთელი მსოფლიოსთვისაც, ეს იქნება ძველი სტერეოტიპების რღვევის დასაწყისი და ახალი, ჯანსაღი ცნობიერების საფუძველი..."** ალბათ, სწორედ ამან გადაგვკიდა ჩემი ძველი და ახალი „კეთილისმსურველები", კონკურსის ზოგიერთი მონაწილე და კონკურსის მიღმა დარჩენილი „გმირიც" გამოიყვანა ასპარეზზე.

ასპარეზზე „სიცრუითა და ვერაგობით" გამოსვლის მრავალი გზა და ხერხი არსებობს (ალბათ, მიუნხენსა და სან-ტროპეშიც, სადაც ჩვენი „გმირი" მოღვაწეობს). ამათგან რამდენიმე უნდა შევახსენოთ:

პიროვნებად არარეალიზებული ადამიანები სენსაციებისა და სკანდალების მაძიებელი მასმედიის საშუალებით ცილისწამების აპრობირებული მეთოდით ცდილობენ პოპულარობის მოხვეჭას და თვითდამკვიდრებას. აქ სიმართლეს, ზნეობას, წაგება-მოგებას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, მთავარია, მისი სახელი გახმაურდეს რაიმე მნიშვნელოვან თემასთან დაკავშირებით. „ბრალდებულმა" კი, დაე, რამდენიც უნდა ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა...

ალბათ, არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც იდეებით ღატაკი პიროვნების ყურს მოხვდება სხვისი, მაგრამ მისთვის მოსაწონი იდეა და წლების მანძილზე ჰყვება როგორც თავის ნააზრევს; ისე ითავისებს, რომ თავადაც სჯერა — იდეის ავტორი თვითონ არის, ოღონდ ყოველივეს ქაღალდზე გადატანა უჭირს... ფსიქოლოგებს ასეთი შემთხვევები უთუოდ აღწერილი ექნებათ. რატომ არ უშვებთ, რომ 15 წლის მანძილზე (ჰიდრომეტეოროლოგიის სამსახურში, განათლების სამინისტროსა და სახელმწიფო კანცელარიაში ჩემი მუშაობისას) სხვა, ჩემთვის მნიშვნელოვან პროექტებთან ერთად გამოფენილი 9 აპრილის მემორიალის შესახებ ინფორმაცია „ალიას" „გმირის" ყურამდეც მისულიყო? რომელსაც ჭეშმარიტად უამრავი მნახველი ჰყავდა. აღარაფერს ვამბობ იმ არქიტექტორების შესახებ, ვინც მეხმარებოდა იდეის ესკიზებიდან პლანშეტზე გადატანაში ან იმ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებზე, რომლებიც პროექტს რეალიზაციის მიზნით იხილავდნენ სხვადასხვა დროს.

იშვიათი გამონაკლისის სახით შეიძლება იყოს ასეთი შემთხვევა (რაზედაც პუბლიკაციაში საუბრობენ მოქანდაკე მამუკა ჩხაიძე და ჟიურის თავმჯდომარე, მხატვარი გია ბუღაძე), როდესაც მეცნიერნი და შემოქმედნი დამოუკიდებლად მიდიან ერთმანეთის მსგავს გადაწყვეტამდე.

მიუხედავად იმისა, რომ „გმირი", პარალელურად „ბრალდებისა", ცდილობს აგვიხსნას, თუ როგორი განსხვავებული განცდითა და იმპულსით მივიდა იგივე გადაწყვეტამდე, რითაც იბევებს ამ შემთხვევის შესაძლებლობას, მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ზემოხსენებულ იშვიათ გამონაკლისთან არ უნდა გვქონდეს საქმე.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" მათთვის არასასურველი პიროვნების დისკრედიტაციის მიზნით, გამიზნულად ეძებენ და პოულობენ ასეთ არარეალიზებულ პიროვნებას, აღუთქვამენ პირადი ცხოვრების მოწყობაში მხარდაჭერას და იყენებენ მათ თავიანთი მიზნებისათვის...

მე ვერ ავხსენი, ამ „გმირს" ერთდროულად ზემოთ ჩამოთვლილ ყველა შემთხვევასთან აქვს კავშირი თუ რომელიმე ერთ ან რამდენიმე მათგანთან, **ან იქნებ იმ ვერსიასთან, რომელსაც თავს გვახვევს ჟურნალისტთან ერთად?**

ვფიქრობ, რომ გაზეთ „ალიაში" გამოქვეყნებული ესკიზი არ უნდა იყოს მის მიერ არც პირველ კურსზე შექმნილი, არც ცხრა წლისწინანდელი (დღეს ერთადერთი, რასაც ჩემი სიმართლის დადასტურება შეუძლია, 9 წლისწინანდელი ესკიზები გახლავთ...) და არც ის, მის მეგობარს რომ „უნახავს" მის კომპიუტერში 2-3 წლის წინათ. ამ ესკიზში ჩანს, რომ იგი იცნობს არა მარტო კონკურსის შედეგს, არამედ მშენებლობის პროცესში პროექტის განვითარების ვერსიებსაც.

მე, როგორც არქეოლოგიასთანაც გარკვეულწილად დაკავშირებულ ადამიანს, დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ **გაზეთში გამოქვეყნებული მისი ესკიზი უნდა შექმნილიყო არა უადრეს პარლამენტის წინ ხუთჯვრიანი დროშის აღმართვისა და არაუგვიანეს 10-11 აგვისტოს გაზეთ „ალიას" № 95-ის გამოსვლის თარიღებს შორის. ამას ასაბუთებს მის ესკიზში, პარლამენტის წინ ხუთჯვრიანი დროშის არსებობა... რაც კონკურსის შედეგების გამოქვეყნების პერიოდსაც მოიცავს და პროექტის შემდგომი განვითარებისა და მშენებლობის ეტაპებსაც, რომელიც ყველასათვის დღესაც ხელმისაწვდომი გახლავთ.**

ცილისმწამებელს შევახსენებთ, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, თანაც იმაზე მოკლე, მას რომ ჰგონია. ამიტომ ვურჩევ, ნუ ეცდება ესკიზების შექმნას ძველი რიცხვით. ეს უვარგისი, მავნე ჩვევაა და შეიძლება გადაედოს მიუნხენის თავისუფალი ხელოვნების აკადემიის (?!) სტუდენტებს, რომლის რექტორიც თავად ბრძანებულა".

კახა ქორიძე.

ეს ფოტო ახლდა „ალიას" პუბლიკაციას.

ოთხშაბათი, 18 აგვისტო

07.55 მოამბე 08.10 "ღამის მოამბე" გამეორება 09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 09.10 მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" 09.40 იმღერე რამე 10.10 სერიალი "**მორიგი მსხვერპლი**" 11.00 "ქიმერიონი" 12.15 ტელესერიალი "**სოლედადი**" 13.00 სერიალი "**ფორსაიტების საგა**" 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი "დიდი ნახტომი" მე-2ნაწ. 15.20 სერიალი "**ზაფხულის საიდუმლო**" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.30 დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" 17.00 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" 17.25 "მუსიკალური არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი "**სენ–ტროპე**" 19.05 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი "**სოლედადი**" 22.00 "მიამბეთ თქვენზე"-თამაზ ჩხენკელი 00.00 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი "**ლამაზი ჯონი**" (15)

19.00 მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" 19.30 სერიალი "**ეშმაკუნა**"(U) 21.00 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 22.00 მხ. ფილმები "**წინააღმდეგობა**" (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელეღიპუცები" 09.40 სერიალი "**შურისძიება**" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი "**მამა სერგი**" 15.25 სერიალი "**სასწრაფო**" 16.30 სერიალი "**ალფი**" 17.05 სერიალი "**მაშველები**" 18.20 "ტელეღიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "**შურისძიება**" 22.00 სერიალი "**უკვდავი**" 23.00 სერიალი "**სოპრანოს კლანი**". 00.00 მხ. ფილმი "**ქვის რომანი**". მთ. რ-ში: მაიკლ დუგლასი, კეტლინ ტერნერი (15).

18.00 მხ. ფილმი "**ბილი ელიოტი**" (U) 20.10 დოკ. ფილმი 21.10 კონცერტი 20.20 მხ. ფილმი "**მარტოსული ვარსკვლავის შტატი**" (18)

07.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.05 ქრონიკა 07.45 ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა 09.15, 01.35 **ტვ**-მარკეტი 09.45 ოლიმპიური თამაშები: მშვილდოსნობა (ქალები), პლაჟის ფრენბურთი, ძიუდო, კალათბურთი (ქალები) იაპონია-ავსტრალია 13.10 ძიუდო (გაგრძელება), კალათბურთი (გაგრძელება) 15.10 ძიუდო (გაგრძელება), ხელბურთი (კაცები) საფრანგეთი-უნგრეთი. 17.10 მშვილდოსნობა (ქალები), ძიუდო (ფინალები) 19.20 სერიალი "**კლონი**" 20.05 ოლიმპიური თამაშები: ცურვა, ფარიკაობა (ფინალები), ძალოსნობა 22.20 ხელბურთი (კაცები) გერმანია-ბრაზილია, ფრენბურთი (ქალები) ბრაზილია-იტალია 00.05 ოლიმპიური თამაშები — დღის მიმოხილვა 02.20 იმედის მელოდიები

09.00 "ფარული კამერა" 09.30 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი "**ველური მთვარე**" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 მინისერიალი "**შტრაუსების დინასტია**" 12.10, 21.45 სერიალი "**ქვეყნის კიდეზე**" 13.10 მხ. ფილმი "**მომაკვდინებელი იარაღი 3**" (U) (მ. გიბსონი) 15.10 სერიალი "**მარია ემილია**" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.10 სერიალი "**დინოტოპია**" 17.10 მულტსერიალი "რედვოლი" 17.35 მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" 18.10 დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" 20.50 მინისერიალი "**ფანტაზიების კუნძული**" 22.45 "ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია" 00.00 მხ. ფილმი "**შურისძიება**" (18) (სტივენ სიგალი)

13.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 სერიალი "**მილედი**" 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი "**სპავადმყოფო, ახალგაზრდობა და ...**" (შონ იანგი) (15) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი "**მეტრო**" (ედი მერფი) (12) ... მულტფილმი 19.00 სერიალი "**მუსკულები**" (გაგ.) 20.00 მხ. ფილმი "**სასიკვდილო იარაღი-3**" (12) 22.00 სერიალი "**მუსკულები**" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის "კენო" 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი "**შავი წვიმა**" (მაიკლ დუგლასი) (18)

18.30 ქრონიკა 18.35 საბ. ეკრანი 19.00 მხ. ფილმი 20.30 ქრონიკა 21.00 საღმრთო ქადაგება 21.10 მუსიკა 21.20 კინოლოგია (სპანიელი) 21.40 სერიალი "**ბედის ჯიბრზე**" 22.30 ქრონიკა 23.00 მხ. ფილმი "**ჩინგიზ-ხანი**" 01.00 მუსიკა

VII არხი

09.05 მელოდია 09.15 "აჩიკუდა" 09.35 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.05 მელოდია 10.20 მობილურები 10.40 დისნეი და მისი მეგობრები 11.10 ტელევიზორები 11.20 მელოდია 11.40 პრინტერები 11.55 მელოდია 12.05 ვიდეოკამერები 12.25 მელოდია 12.30 კომპიუტერული ტექნიკა 18.05 მელოდია 18.30 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.20 მობილურები 19.50 დოკ.ფ."რვაკუთხედი" 20.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.00 მელოდია 21.20 პრინტერები 21.35 მელოდია 22.10 ტელევიზორები 22.45 "კინოკლუბი" "**გამანადგურებელი**". კომედია. რეჟისორი: დეიზი ფონ შერლერი. როლებში: მარისა ტომეი, კრისტინ ბარანსკი. (18) 00.10 მელოდია 00.20 მელოდია 00.30 ვიდეოკამერები

ჯერი თქვენზეა, მეცენატებო!

[illegible]

„პოეზიის სახლში"

ამ ორი წლის წინათ საქართველოს მწერალთა ეროვნული შემოქმედებითი კავშირის, ასოციაცია „მწერლის" და ვაჟა ფშაველას საზოგადოების ინიციატივით, რომელსაც მხარი დაუჭირა დედაქალაქის მერიის კულტურის სამსახურმა, გადაწყდა, რომ თბილისში აშენებულიყო „ვაჟას სახლი". საქმე უცებ წავიდა წინ — კულტურის სამსახურს „კუს" ტბის ასახვევთან ტერიტორიაც გამოეყო, დაპროექტება კი ითავა (უსასყიდლოდ) ვაჟა ფშაველას საზოგადოების წევრმა, ცნობილმა არქიტექტორმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა ვახტანგ დავითაიამ.

— ჩემთვის დიდად საპატიო იყო ეს საქმე, გულდაგულ ვიმუშავე, და მალე პროექტის ორი ვარიანტი წარმოვადგინე, — მიამბობს ბატონი ვახტანგ დავითაია, — ამ ვარიანტების არქიტექტურულ-სივრცობრივი განწყობილება იდენტურია, მთავარი განსხვავება არის მხოლოდ მოცულობით ფორმაში. ერთ შემთხვევაში ეს არის კუბი, მეორეში — ცილინდრი. ერთიცა და მეორეც შესანიშნავად „ჯდება" გამოყოფილი ტერიტორიის სივრცეში.

— მე, რამდენადაც ვიცი, ბატონო ვახტანგ, იდეის ავტორებს უნდოდათ, რომ ვაჟას მშობლიური ჩარგლის სახლის ასლი გადმოეტანათ თბილისში...

— კი, ასე ფიქრობდნენ, მაგრამ შეხვედრებმა, მსჯელობებმა იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ჩარგლის სახლის ასლის თბილისში გადმოტანით, ვაითუ, ხიბლი, პირველყოფილება, გნებავთ, დოკუმენტალობა დაჰკარგვოდა გენიალური შემოქმედის მშობლიურ გარემოს, ვაითუ, სუროგატი მიგვეღო... ჰოდა, ამ დისკუსიებში უცებ გაიჟღერა ფრაზამ — **„ვაჟას სამყარო — პოეზიის სახლი"**, რაც თავისთავად განაპირობებდა არა შენობას, არამედ სივრცობრივ სიტუაციას, პოეზიის საღამოებს, თაობათა შეხვედრებს, ანუ, ეს უნდა ყოფილიყო წმინდა წყლის კულტურული, ინტელექტუალური სამყარო... შევთანხმდით, იდეა შევათანხმეთ ყველა დონეზე, დაპროექტება, აკი მოგახსენეთ, მე მთხოვეს და შევასრულე კიდეც (როგორი გამოვიდა საზოგადოებამ განსაჯოს, ოღონდ, არა ფოტოზე, არამედ, სასურველია, ნატურაში).

— მაინც, რას წარმოადგენს, ბატონო ვახტანგ ეს პროექტი?

— ეს არის ასადგილიანი ამფითეატრი პატარა, ლექსების წასაკითხი ტრიბუნით. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ამფითეატრისა და დახურული დარბაზის გაერთიანება. აქვეა რამდენიმე პატარა ოთახი — პოეზიის კლასი, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ოთახი მოსამსახურე პერსონალისთვის, წიგნებისა და სუვენირების მაღაზია... აქ, ბევრი რამ ექსპონატი, ვაჟას სამყაროსაც შეგვახვედრებს...

— და, ბატონო ვახტანგ, დარჩენილია მთავარი — ამ პროექტის ხორცშესხმა, არა?

— ასეა... რკინის ქალამნები ჩაიცვეს ვაჟა ფშაველას საზოგადოების პრეზიდენტმა ბატონმა ჯიბო ლომაშვილმა და ცნობილმა პოეტმა, ბატონმა სილოვან ნარიმანიძემ, ვინ არ შეაწუხეს, მაგრამ, ჯერჯერობით, ვერავინ დააინტერესეს. ვის უნდა, თუ ძმა ხარ, დღეს კულტურული ობიექტის აშენება, გინდა ვაჟას სახლი იყოს და გინდა რუსთაველის... და, რახან, კომერციული არ არის, მშენებლობაც ვერ დაიწყო (ვისაც დახმარება შეუძლია, დიდ ინტერესს არ იჩენენ). მიუხედავად სიტყვიერი მხარდაჭერისა, ეს ობიექტი მერიის ბიუჯეტში წელსაც ვერ მოხვდა...

— ასეთი რა თანხა ჭირდება?..

— ძალიან უბრალო მასალებით, ალბათ, ნახევარი მილიონი ლარი, რაც მეტი იქნება, მით უკეთესი, რადგან ხარისხიან სამშენებლო მასალებს შევარჩევთ...

* * *

ქვეყანაში, სადაც ხალხი პენსიებსა და ხელფასებს ვერ იღებს, შეიძლება „პოეზიის სახლის" აშენებაზე საუბარი?

ჩემი აზრით (რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ბევრი გაიზიარებს), შეიძლება!

ქვეყანაში, სადაც გაუთავებელი სტიქიაც ბობოქრობს და ახალ-ახალი დევნილებიც ემატება ქვეყნის ქალაქებსა და რაიონებს, ანუ სახსრების განაწილება ძალიან ჭირს, დრო გვაქვს კი პოეზიის სახლზე საუბრისა? მე თუ მკითხავთ, დიახაც!.. ჩვენი ერი ხომ პოეზიით სულდგმულობდა, პოეზია ხომ ჭირსა და ლხინში ახლდა ქართველ კაცს. და თუ დღეს, როდესაც ასე გაუცხოვდა ახალგაზრდებისთვის ბევრი რამ მშობლიური, როდესაც ქართულ ლექსსა და ქართულ სიმღერას ხშირად ყოველივე უცხოურს ამჯობინებენ, „ვაჟას სამყარო — პოეზიის სახლი" ჭეშმარიტად ეროვნული კულტურის კერად გვესახება, რომელიც მომავალი თაობის სულიერ გაფაქიზებას ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს.

ვილენ მარდალეიშვილი.

სურათზე: ვახტანგ დავითაიას პროექტი — „ვაჟას სამყარო — პოეზიის სახლი".

ჩვენი მემატიანე

გაცრეცილი ფურცლებიდან დანახული წარსული

„საქართველოს რესპუბლიკა" — მთავრობის ყოველდღიური გაზეთი. შაბათი, 17 აგვისტო, 1918 წელი, №19.

ბანკეტი ჩვენი მთავრობის პატივსაცემად

„ავსტრო-უნგრეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ბ. ფრანკშტეინმა „ე. პ"-ის გადმოცემით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პატივსაცემად სასტუმრო „პალას ოტელში" ბანკეტი გამართა, რომელსაც სხვათა შორის დაესწრნენ ხალიფ-ფაშა და აგრეთვე აზერბაიჯანისა და სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელნი.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო ბ. ფრანკშტეინის სიტყვა; მან გაიხსენა გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ მეორის სიტყვა, რომელიც მას წარმოუთქვამს 1914 წ. ქ. ბხემენში: — მე, განუცხადებია იმპერატორს, არ ვცნობ პარტიებს, მე ვცნობ მხოლოდ გერმანელებს. ანალოგიური დევიზით ბანკეტზე ქართველებისადმი მიუმართავს ბ. ფრანკშტეინს, რომელსაც დელეგაციის სახელით განუცხადებია, რომ ისინი არ ცნობენ პარტიათა განსხვავებას, ისინი ცნობენ მხოლოდ საქართველოს".



სადღეისო საჭიროება

„განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ამ ბოლო დროს თბილისის ბაზრებზე გაჰქრა შინა მრეწველობის ნაწარმი, რომლითაც ადრე სავსე იყო თბილისის მთავარი ქუჩები და საქართველოს სხვა ქალაქები. რა იქნა შალეული? — გადამალეს სპეკულანტებმა თუ ბაზარმა შთანთქა?

დანამდვილებით ვიცით, რომ ეს შინამრეწველობის ნაწარმი, ისე როგორც სხვა ბევრი, შეუწყვეტლივ გააქვთ ჩვენი ქვეყნის ახალმოკავშირე სახელმწიფოებში.

დღეს ქსოვილების უქონლობა-უშოვრობით შეწუხებულია ქართველი დაბასოფლები თუ ქალაქები, იმედის თვალით იცქირებიან უცხოეთისაკენ, იქიდან შემოზიდული საქონელი შემოსავალს და სპეკულანტების მეოხებით მასზედ დაწესებულ ზღაპრულ ფასებს დასწევს ფართლეულობაზეო, მაგრამ როგორც ვხედავთ ჯერჯერობით არაფერი შემოუზიდავთ, სამაგიეროთ კი ჩვენს ხალხს ხელიდან ეცლება თავისი საკუთარი, ადგილობრივი ნაწარმი. ჩვენი ქვეყანა ამ მხრივ სახიფათო მდგომარეობაში ვარდება...

... ჩვენს ქალაქში არსებობს ერთი სართავი ქარხანა ე. წ. „ამიერკავკასიის შინამრეწველობის კომიტეტისა", რომელიც ეხლა საქართველოს რესპუბლიკის ხელში გადავიდა. კარგი იქნება ასეთი სართავი მანქანები დაიდგას ჩვენი ქვეყნის მეცხვარეობისა და მეაბრეშუმეობის კუთხეებში (ქიზიყში, ალავერდში, დუშეთში და დასავლეთ საქართველოს მრეწველობის ადგილებში) ეს საქმე მთავრობამ უნდა იკისროს".

„ნ. კ."

ახალი ამბები

ხელოვნება

„ქართველთა სამხედრო კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შესაჯიბრებლად მიიღო 11 ჰიმნი, გარდა კავშირისა, შეჯიბრების მოწყობაში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ხელოვნების სექცია, ეროვნულ საბჭოში არჩეულნი წევრნი ჟიურისა.

ჰიმნის განსახილველად და დასამტკიცებლად მოწონებული ჰიმნი წარდგინდება მთავრობას დასამტკიცებლად, რის შემდეგ დაკანონდება იგი საყოველთაო შესასრულებლად.

ჰიმნები უკვე შესწავლილი აქვთ ქართველ-სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდს, რომელიც 100 სულამდეა გაძლიერებული".

„ჩამოვიდა თბილისის კონსერვატორიის ახლად დანიშნული დირექტორი — პროფესორი ჩერეპნინი".

მისაღები გამოცდები

ფოთი: „ნ. ბ. ლოლუას პროფესიონალურ სკოლასთან გაიხსნა მეორე კლასის პროგიმნაზიის მისაღები გამოცდები. პირველ კლასში არის 9 ადგილი, მეორეში — 11. სწავლა დაიწყება 25 აგვისტოდან".

„ახალ-სენაკის ვაჟთა გიმნაზიაში მისაღები გამოცდები დაიწყება ახალი სტილით 2 ენკენისთვიდან".

გამომცემლობა

„რედაქციამ მიიღო ი. გაბილაიას რედაქტორობით გამოსული ჟურნალი „კოოპერაცია" ქართულ ენაზე.

შემდეგი გამოცემებია „ოქროს წყარო", ლუჩიანო ბარიკსისა „პოლიტიკურ-ეკონომიური საფუძვლები" — შესავალი შ. უდისა, „სამეფო მომხმარებელი" — შ. უდისა, „შენიშვნები მიწის კანონის შესახებ" ვლ. ემუხვარისა".

ტყიბული: „გაიფიცნენ ტყიბულის მაღაროების მუშები. თხოულობენ ხელფასის 50 პროცენტით გადიდებას, სურსათს, ჯამაგირის დროზე მიღებას, მასალების დროზე მიღებას. მაღაროების მმართველი გზათა სამინისტრომ გამოიწვია მოხსენებისათვის".

დუშეთის მაზრა: „საგუბერნიო-სასანიტარო კომისიის გადაწყვეტილებით დუშეთის მაზრაში ხოლერასთან საბრძოლველად გაიგზავნა სანიტარული რაზმი".

„ბალშევიკური" მოძრაობა

„ყაზბეგიდან გვატყობინებენ: — კავკავი ყაზახებმა დაიჭირეს. დამარცხებულმა ბალშევიკებმა უკან დაიხიეს... ძალა ყაზახთა მხარეზეა, რომელთაც მხარს უჭერს ინგუშეთი".

სურსათი

„სასურსათო სამინისტროს მიერ მიღებული ცნობებით პურის მოსავალი კახეთში კარგია. შარშანდელთან შედარებით ორჯერ მეტი ფართობი დაითესა, სპეკულანტებმა პურის ფასი გაადიდეს. მოსავლის აღებამდე ივნისში ისინი 50 მანეთად აძლევდნენ ხალხს ფუთ პურს. ფასის გასადიდებლად ისინი პურს ორმოებში ფლავენ".

სხვადასხვა ამბები

„გუშინ, 16 მარიამობისთვის გერმანიიდან ჩამოვიდნენ ევგენი გეგეჭკორი და სპირიდონ კედია. აგრეთვე გერმანიიდან ჩამოვიდნენ ქართველი ტყვეები: 150 ჯარისკაცი, 50 აფიცერი, მათ შორის გენერალი თოფურიძეც".

„გაზეთი „ნაშე სლოვო" (ყოფილი „რუსკოე სლოვო") იუწყება, რომ ფინლანდიაში გარდაიცვალა რუსეთის გამოჩენილი მხატვარი ილია რეპინი, როგორც გაზეთი დასძენს, მისი სიკვდილის უმთავრესი მიზეზი სიმშილი ყოფილა".

* * *

„7 აგვისტოს სადგურ ქვალონს ბალშევიკთა 30-40 კაციანი ბრბო თავს დაესხა. ატეხეს სროლა, გაქურდეს სადგურის უფროსი და მისი მოადგილე. იმ დღის ნავაჭრი 1200 მან. სადგურის უფროსმა გადაარჩინა. ბრბო გაიფანტა. წესრიგი აღდგენილია".

რუბრიკას უძღვება ცისანა სიხარულიძე.

ენერგომომხმარებელთა საყურადღებოდ!

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 7 ივლისის №63 განკარგულებით შეიქმნა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების — ენერგოზედამხედველობის და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის სალიკვიდაციო კომისია, რომელმაც უნდა მოამზადოს დეპარტამენტის უფლებამონაცვლე დაწესებულების შექმნასთან დაკავშირებით სამართლებრივი და საფინანსო ხასიათის წინადადებები მთავრობის სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნული საქმიანობის დასრულებამდე, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი ასრულებს მხოლოდ სამთავრობო დავალებებს, ხოლო საზედამხედველო სამუშაოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ენერგომომხმარებელი მოითხოვს.

აქედან გამომდინარე, ვაუწყებთ საზოგადოებას, ენერგომომხმარებელ ყველა უწყებასა და დაწესებულებას, რათა გამოირიცხოს სიყალბე და უკანონობა, არ დაუშვან თავიანთ დაწესებულებებში ელექტრომეურნეობის შემოწმების მიზნით იმ პირთა შესვლა, რომელთაც არ გააჩნიათ სათანადო საბუთები — პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის სპეციალური წერილი და განკარგულება შემოწმების ჩატარების თაობაზე.

აღნიშნული დოკუმენტაციის გარეშე „შემმოწმებელი" პირი არ უნდა დაუშვათ თქვენდამი დაქვემდებარებულ უწყებაში.

თუ ასეთ ქმედებას მაინც ექნება ადგილი, შეგიძლიათ გვაცნობოთ ამ პირთა ვინაობა და მათი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერი შემდეგ ტელეფონზე: 35-71-13, ფაქსი: 35-71-28.

ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

თქვენ ჯერ არ გამხდარხართ მაგთიკომის აბონენტი?

მობრძანდით და უფასოდ ჩაერთვებით ჩვენს ქსელში, თუ კომპანიის მომსახურების ნებისმიერ ოფისში შეიძენთ და ახალგახსნილ ანგარიშზე გააქტიურებთ 30-ლარიან მონბარათს.

მაგთი GSM — მუდმივი კავშირის სამყარო!

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით

ქალაქის უფასო ნომრებზე: 25-00-00, 25-11-11

უფასო მობილურ ნომრებზე: 525 25-00-00, 25-11-11

სს თბილისის „ცენტროლიტის" აქციონერთა საყურადღებოდ!

ა/წ 17 აგვისტო ცხადდება საალრიცხვო დღედ აქციონერებისათვის საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლების დასადგენად.

მეთვალყურეთა საბჭო.

მაგთიკომში ახალი აქციაა —
მხოლოდ 5 ლარად კვლავ ჩვენს რიგებში

გეგულებათ სადმე გათიშული და მივიწყებული სიმ-ბარათი?
მაშინ ეს აქცია დაგაინტერესებთ.

ორი კვირის განმავლობაში, **16-დან 31 აგვისტომდე** შეგიძლიათ მობრძანდეთ ჩვენს ნებისმიერ ოფისში, ავანსზე შეიტანოთ **მხოლოდ 5 ლარი და უფასოდ აღიდგინოთ მომსახურება.**

მაგთი GSM — მუდმივი კავშირის სამყარო!
ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით

ქალაქის უფასო ნომრებზე:	25-00-00, 25-11-11
უფასო მობილურ ნომრებზე:	525 25-00-00, 25-11-11

სსიპ საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა აცხადებს სატელევიზიო გადაცემების შესყიდვაზე ორეტაპიან ინტელექტუალურ ღია ტენდერს

რეკვიზიტები — ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68

ტენდერი ტარდება ტელეპროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ნოვატორული ფორმების მოსაზიდად და განსახორციელებლად.

პირველი სატენდერო ეტაპი:

1) ინფორმაცია განმცხადებლის და შემოქმედებითი ჯგუფის შესახებ:

ა) იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი შემოქმედებითი ჯგუფი ან სტუდიაა:

აღწერეთ თქვენი შემოქმედებითი ჯგუფი, სტუდია თუ როდის იყო იგი რეგისტრირებული, რა პროექტები ჰქონდა განხორციელებული უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში. წარმოადგინეთ სია და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები იმ პირთა შესახებ, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული გადაცემაში.

ბ) თუ განმცხადებელი პიროვნებაა:

თქვენი ბიოგრაფიული მონაცემები (განათლება, შემოქმედებითი მუშაობის პრაქტიკა), ბოლო სამი წლის მანძილზე გაკეთებული გადაცემები (თუ, რა თქმა უნდა, ასეთი იყო).

2) პროექტის ლიტერატურული და სარეჟისორო სცენარი, სავარაუდო საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესის აღწერა.

3) სატენდერო პროექტების ჩამონათვალი:

ა) რუსულენოვანი ჟურნალი სამხრეთ კავკასიის მცხოვრებთათვის (ქრონომ. — 52 წთ.).

ბ) გასართობი ტიპის გადაცემა (ფარული კამერა. ქრონომ. — 26 წთ.).

გ) ამინდის პროგნოზი (ქრონომ. — 2 წთ.).

დ) ძილისპირული (ქრონომ. — 15 წთ.)

ე) გადაცემა დიალოგი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და შემეცნებით თემებზე (ქრონომ. — 45-50 წთ.).

ვ) გადაცემა სამხედრო თემატიკაზე (ქრონომ. — 20-25 წთ.).

თითოეული პროექტის კონცეფციის დაწერილებით მონაცემებს შეგიძლიათ გაეცნოთ ტელერადიომაუწყებლობის მშრომელთა მისაღებში.

მისამართი: კოსტავას ქ. №68 ან საქტელერადიომაუწყებლობის ვებ. გვერდზე www.geotvr.ge

ორეტაპიანი ტენდერის პირველ ეტაპზე საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს პირველადი სატენდერო წინადადებები ღირებულებების გარეშე.

მეორე სატენდერო ეტაპისთვის:

პრეტენდენტები წარმოადგენენ:

1) საჩვენებელ (ე.წ. „პილოტ") გადაცემას.

2) გადაცემის ხარჯთაღრიცხვას.

პირველადი სატენდერო წინადადებების შედეგად სატენდერო კომისია ადგენს სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო ვარიანტს. პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მას გადაეცემა სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო ვარიანტი.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის დართვით) **2004წ. 6 სექტემბრის 11 საათიდან 10 სექტემბრის 18 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68, ოთახი № 341.**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისთვის:

- ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ფიზიკური პირებისთვის:

- ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

- ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის **(500ლ.)** გადახდის შემდეგ, ვადა ეცნობებათ დამატებით. მისამართზე — **ქ.თბილისი. კოსტავას ქ. №68, ოთახი № 341 - სსიპ საქტელერადიომაუწყებლობა.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს — ზამთარაძე ნათია. ტელ: 33-22-64.

სსიპ საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა აცხადებს ღია ტენდერს ახალი ავტომანქანების შესყიდვაზე

რეკვიზიტები — ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68

ლოტი 1. ორხიდიანი-4X4, კარებების რაოდენობა 2 ცალი,
ძრავის მოცულობა —1800 ლიტრი,
საწვავი — ბენზინი,
კარბურატორით,
ფერი — თეთრი,
რაოდენობა — 3 (სამი) ცალი.

ლოტი 2. ძარა — ფურგონი, კარებების რაოდენობა 4 ცალი,
ძრავის მოცულობა — 1 500 ან 1 600 ლიტრი,
ერთხიდიანი,
საწვავი — ბენზინი,
კარბურატორით,
ფერი — ღია,
რაოდენობა — 12 (თორმეტი) ცალი.

შესყიდვის ობიექტებია:

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

ტენდერში .მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის დართვით) **2004წ. 6 სექტემბრის 11 საათიდან 10 სექტემბრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68.**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისთვის:

- ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ფიზიკური პირებისთვის:

- ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

- ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის **(500ლ.)** გადახდის შემდეგ, **16 სექტემბრის 10 საათიდან 21 სექტემბრის 18 საათამდე. მისამართზე — ქ.თბილისი კოსტავას ქ. №68, ოთახი №341 - სსიპ საქტელერადიომაუწყებლობა.**

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს ლოტების მიხედვით. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს — ზამთარაძე ნათია. ტელ: 36-87-22, 8(99)-58-93-07 ან ვებგვერდზე www.geotvr.ge

ათენი - 2004

კვლავ მარცხი

ათენში ძიუდოისტთა ტურნირის ვერც მეოთხე დღემ მოგვიტანა წარმატება. 81 კილოგრამიან წონით კატეგორიაში მოასპარეზე გრიგოლ მამრიკიშვილს პირველ წრეში მეტოქედ ესტონელი ალექსეი ბოდულინი ჰყავდა. ხუთწუთიანი პაექრობა ბალტიისპირელის გამარჯვებით დამთავრდა, თუმცა მეორე შეხვედრა მან თავადვე დათმო ბრაზილიელ ფლავიო სანტოსთან, რითაც ქართველ ფალავანს დამამშვიდებელ ჯგუფში მოხვედრისა და „ბრინჯაოსთვის" ბრძოლის შანსიც გადაუწურა.

დღეს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური (90 კგ.) იჭიდავებს. პირველ წრეში მას მეტოქეობას გაუწევს იტალიელი ფრანჩესკო ლეპრე.

ვაჟა დანელია,
„სრ" სპეც. კორ.
ათენი.

ყველა მედალი

ოლიმპიადის პირველ სამ დღეს მედლები ასე განაწილდა:

ქვეყანა	ო.	ვ.	ბრ.	სულ.
ჩინეთი	10	4	1	15
ავსტრალია	6	2	5	13
იაპონია	5	1	1	7
აშშ	3	5	5	13
საფრანგეთი	2	2	3	7
იტალია	2	2	1	5
უკრაინა	2	0	1	3
თურქეთი	2	0	1	3
რუსეთი	1	5	2	8
გერმანია	1	2	2	5
უნგრეთი	1	1	1	3
კორეა	1	0	2	3
ტაილანდი	1	0	2	3
საბერძნეთი	1	0	1	2
სამხრეთ აფრიკა	1	0	0	1
ჰოლანდია	0	2	3	5
კსდრ	0	2	0	2
სლოვაკეთი	0	1	1	2
პოლონეთი	0	2	0	2
ავსტრია	0	1	0	1
დიდი ბრიტანეთი	0	1	0	1
საქართველო	0	1	0	1
ზიმბაბვე	0	1	0	1
ესპანეთი	0	1	0	1
ინდონეზია	0	1	0	1
პორტუგალია	0	1	0	1
სერბეთი და ჩერნოგორია	0	1	0	1
კუბა	0	0	3	3
ბელგია	0	0	2	2
ბულგარეთი	0	0	2	2
არგენტინა	0	0	1	1
ბრაზილია	0	0	1	1
კანადა	0	0	1	1
კოლუმბია	0	0	1	1
მონღოლეთი	0	0	1	1
რუმინეთი	0	0	1	1
ჩეხეთი	0	0	1	1

მაგთი MAGTI GSM

ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს

ხვალ კი ოლიმპიადა იწყებოდა

„ბოინგი" მშვიდობიანად დაეშვა ათენის აეროპორტში. 12 აგვისტოს საბერძნეთის დედაქალაქში მშიანი ამინდი დაგვხვდა. საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის მორიგი ჯგუფი ... ფორმალობების შესრულების შემდეგ ყველანი მიმოვიფანტეთ. სპორტსმენები ოლიმპიურ სოფელში წაიყვანეს, ხუთი ჟურნალისტი (ავთანდილ გურასაშვილი, ალეკო ჯიბლაძე, ზურაბ თალაკვაძე, აკაკი ფაჩუაშვილი და მე) ათენიდან 25 კილომეტრზე მდებარე აგიოს ანდრეასში (წმინდა ანდრია) გაგვამწესეს. ეს მედია-სოფელი ქალაქის ცენტრიდან 30 წუთის სავალზეა. სამხრეთიდან ზღვა აკრავს, სამი მხრივ კი მკვიდრად არის შემორაგული და, პოლიციელებთან ერთად, ჯარისკაცებიც იცავენ. გამშვებ პუნქტზე მკაცრ შემოწმებას გავდივართ, ტერორისტების ეშინიათ...

საღამოს ხუთ საათზე ოლიმპიურ სოფელში მიგვიწვიეს საქართველოს ეროვნული დროშის აღმართვის საზეიმო ცერემონიალზე. ჩვენთან ერთად იყვნენ სურინამის, სეიშელის, გრენადისა და ჩეხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებიც. ჩეხებს პატივი დასდო მათმა პრეზიდენტმა ვაცლავ კლაუსმა, რომელიც საზეიმო ცერემონიალს დაესწრო. ჩვენგან ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი, მისი მოადგილე თამაზ თევზაძე, საბერძნეთში საქართველოს ელჩი ზვიად ჭუმბურიძე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი ლერი ხაბელოვი, ცნობილი ველომოგზაური ჯუმბერ ლეჟავა...

გრენადის მისიის ხელმძღვანელ ქალბატონს სცენაზე რომ უხმეს, ჩვენი გუნდის მთავარმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა იხუმრა, ლერი ხაბელოვის წონაშია და ოლიმპიადის საზეიმო დახურვისას ერთმანეთს უნდა დავაჭიდოო.

დროშების აღმართვის ცერემონიალი მალე დამთავრდა. ოლიმპიური სოფლის დათვალიერება გადავწყვიტეთ, მაგრამ ვინ გაგიშვა? ყველაფერს საგულდაგულოდ იცავენ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე შავსათვალეებიანი ჯარისკაცების გამჭოლ მზერას გრძნობ. ცხადია, აქ დარჩენას აზრი არა აქვს. ისედაც საღამოს „ქართული სახლი" უნდა გაიხსნას და ჩვენც იქ მიგვეჩქარება...

გლიფადა საკმაოდ შორსაა ოლიმპიური სოფლიდან. ჩვენი მეგზურობა ახალგაზრდა ქართველმა ქალბატონებმა — თინათინ დარახველიძემ და მაია ფუტკარაძემ იტვირთეს, ისინი მოხალისეთა 160-ათასიანი რაზმის წევრები არიან.

გახსოვთ „ჯარისკაცის მამა": „Пешком ехал, на лошади ехал, на машине ехал" ... ჩვენც ასე მოგვიწია: ჯერ ფეხით ვიარეთ, მერე ავტობუსით ვიმგზავრეთ, — მერე — მეტროთი. ბოლოს ისევ ავტობუსით და ორსაათნახევრიანი ხეტიალის შემდეგ მივაღწიეთ „ქართულ სახლამდე".

თიკო და მაია რვა წელიწადია ათენში ცხოვრობენ, მუშაობენ და სწავლობენ კიდეც. თინიკომ თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა. საქართველოში სამსახური რომ ვერ იშოვა, მეგობრების რჩევით, ათენში წამოვიდა სამუშაოდ. ისწავლა ბერძნული და აქაური უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩააბარა. ერთი წლის წინათ კი ოჯახი შექმნა, მეუღლე ათენელი ბერძენი ჰყავს.

მაია ფუტკარაძე ბათუმელია. სხვების მსგავსად, ისიც სამუშაოდ ჩამოვიდა ათენში. ისე კარგად ისწავლა ბერძნული, რომ ათენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ახლა მესამეკურსელია. მგონი, ისიც აქ აპირებს გათხოვებას...

ვაი, ჩვენი ბრალი! რამდენი ასეთი ლამაზი ასული ტოვებს საქართველოს ჩვენი გამოისობით! ღარიბდება ქართული გენოფონდი!..

ის იყო, გლიფადისკენ მიმავალ ავტობუსში ავედით, რომ უცებ უცხო მამაკაცის დაჟინებული მზერა ვიგრძენი. უცნობი მომიახლოვდა.

— ქართველი ხართ? — მკითხა მან.

— დიახ.

— ვაჟა ხომ არ გქვიათ?

— თქვენ საიდან იცით?

— მე რომან გერლიანი ვარ. სულხან-საბას სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი დავამთავრე დაუსწრებლად. თქვენ ხომ იქ მუშაობთ?

საუბარი არ გვქონდა დამთავრებული, რომ კიდევ სამი მამაკაცი შემოგვიერთდა.

— ესენი ჩემი მეგობრები არიან, მხატვრები — ავთანდილ თოფურია, კობა გელაძე და გიორგი ტულუში, — გამაცნო რომანმა — ჩვენც „ქართული სახლის" გახსნაზე მიგვეჩქარება. დღეს იქ ბევრ ჩვენს თანამემამულეს ვნახავთ.

რომან გერლიანი ლენტეხელია. პედაგოგიურ უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად ცაგერში საბავშვო სამხატვრო სკოლა ჰქონდა გახსნილი. ეკონომიკურად რომ გაუჭირდა, 1996 წელს ათენს მიაშურა სამუშაოდ. კობა გელაძესთან და ავთანდილ თოფურიასთან ერთად აქ რამდენჯერმე გამოფენაც მოაწყო.

ავთანდილ თოფურია წარმოშობით აბაშელია. თბილისში ცხოვრობს. სამხატვრო აკადემია აქვს დამთავრებული. ათენში სპეციალობით მუშაობს. კუნძულ კრეტაზე პერსონალური გამოფენა ჰქონდა, ამას წინათ ათენის ერთ-ერთი გამოფენის ექსპონატები ლას-ვეგასში (აშშ) წაიღეს. მათ შორის ავთანდილ თოფურიას და კობა გელაძის ნახატებიცაა.

კობა გელაძე მხატვარ-რესტავრატორია. 15 წელიწადი იმუშავა სპეციალობით. რამდენიმე წელიწადია, ათენში მოღვაწეობს.

გიორგი ტულუში ქუთაისელია. 1999 წელს მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა საბერძნეთში. კოლეგების დახმარებით სამუშაო იშოვა, დღესაც მათთან ერთად შემოქმედებითი საქმიანობით ირჩენს თავს.

— სპორტი თუ გიყვართ-მეთქი, ვკითხე ჩემს ახალ ნაცნობებს.

ავთანდილ თოფურია: ორი ვაჟი მყავს. უფროსი — ბექა მორაგბეა, საქართველოს ნაკრების წევრი. რამდენიმე საერთაშორისო ტურნირშიც იასპარეზა. ასე რომ, შეუძლებელია, სპორტი არ გიყვარდეს. ერთხელ ახალგაზრდა წყალმხტომელთა ტურნირს დავესწარი ათენში. ძალიან გვასახელეს ქართველმა გოგო-ბიჭებმა — სულ ოქროს და ვერცხლის მედლებით დაბრუნდნენ სამშობლოში.

კობა გელაძე: კახი კახიაშვილს ვიცნობ. დავსწრებივარ შეჯიბრებებს მისი მონაწილეობით. ძალიან მინდა, რომ მეოთხედ მოიპოვოს ოლიმპიური ჩემპიონობა.

რომან გერლიანი: რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ საბერძნეთის გუნდთან დიდი ანგარიშით წააგო. ამ მატჩს ქართველებიც ვესწრებოდით და სირცხვილით დავიწვით. უგულოდ ითამაშეს და იმიტომ, თორემ ვინ არ დამარცხებულა.

ამ ოლიმპიადაზე ჩვენი მოჭიდავეების იმედი გვაქვს. გვჯერა, რომ რამდენიმე მედალს მოიპოვებენ. მათ შორის „ოქროც" იქნება. ნესტორ ხერგიანის ქომაგი ვარ. ჩემი კუთხის კაცია, შეუპოვარი. ვიცი, არ გამაწბილებს...

ნესტორ ხერგიანმა მართლაც გაუმართლა რომან გერლიანს. ჩვენი საუბრიდან ორი დღის შემდეგ ქართველმა ფალავანმა ოლიმპიური ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

ვაჟა დანელია,
„სრ" სპეც. კორ.
ათენი.

ფეხბურთი

იტალიაში ჩემპიონატი არ შედგება?

ამ გუნდში ადრე გულშემატკივართა კერპი, ფეხბურთის არგენტინელი ვარსკვლავი დიეგო მარადონა თამაშობდა, მაგრამ ახლა „მწვერვალებიდან დაეშვა", სერია B-ში აღმოჩნდა და იქაც ძალზე გაუჭირდა — იტალიის რამდენიმე სხვა გუნდთან ერთად ჩემპიონატში მონაწილეობისათვის ვერ დააკმაყოფილა ფეხბურთის ფედერაციის ფინანსური მოთხოვნები, რისთვისაც ერთ დროს წარმატებული კლუბი 2004-05 წლების გათამაშების კალენდრიდან ამოიღეს. ორგანიზატორებმა ისიც გაითვალისწინეს, რომ იტალიის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქს — ნეაპოლს — უფეხბურთოდ ვერ დატოვებდნენ და რამდენიმე დღე მისცეს, რათა პროფესიულ სერია C-ს პირველობის მონაწილედ მაინც გატარებულიყო რეგისტრაციაში. მაგრამ კლუბმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადა და მოითხოვა მთელი ჩემპიონატის დაბლოკვა. ასეთი წინადადება კლუბის მმართველობა ნიკოლო რაშომ შეიტანა.

სერია B-ს ჩემპიონატი სხვადასხვა პრობლემის, განსაკუთრებით ფინანსურის, გამო ისედაც გადატანილი იყო ორი კვირით — 12 სექტემბრამდე.

მაგრამ იტალიური ფეხბურთის პრობლემები მხოლოდ სერია B-ს რამდენიმე კლუბის გაკოტრებით როდი ამოიწურება. ახლა იქ იწყება ფართომასშტაბიანი ბრძოლა ფეხბურთის სამყაროში გამეფებულ კორუფციასთან. გამოქვეყნდა 40 ფეხბურთელისა და კლუბის ხელმძღვანელთა სია, ვისაც ბრალად ედება მორიგებითი მატჩების ორგანიზება. ფედერალურმა პროკურორმა ემილიო ფრასკონემ ასეთი მატჩების გამართვის ხელისშეწყობაში დაადანაშაულა კლუბები „კიევო", „სიენა", „სამპდორია", ხოლო გარიგებითი მატჩების გამართვაში — „მოდენა".

ასეთი დაძაბული მდგომარეობის მიუხედავად, იმედოვნებენ, რომ იტალიელი ტიფოზები თავისას გაიტანენ და პირველი ნომერი თამაშის ჩემპიონატი მაინც გაიმართება.

ოლიმპიურ ტალღაზე

როგორ არ შეგშურდება?

ალბათ ბევრ უფრო ტანმაღალ და მძლავრ ძალოსანს ნამდვილად შეშურდება იმ შემართებისა, როგორც 56 კილოგრამამდე წონის თურქი ხალილ მუტლუ ასპარეზობს. შეიძლება ითქვას, უკვე ძალზე გამოცდილ სპორტსმენს, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს სერიოზული მეტოქეობა ვერავინ გაუწია. მისი მონაპოვარი ათენში — 295 კგ (135+160), თითქმის მიუწვდომელი იყო ამ წონაში მოასპარეზე დანარჩენი სპორტსმენებისთვის. თუმცა, 4 წლის წინათ, სიდნეიში უფრო მეტი — 305 კგ ასწია და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა.

მას შემდეგ მუტლუ ერთგვარად დამძიმდა — შარშან 62 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოვიდა როგორც მსოფლიო, ისე ევროპის პირველობებზე და ორივეგან ჩემპიონობა დაისაკუთრა.

ამიტომაც ბევრს გაუკვირდა თურქი ძალოსნის ძველ წონაში დაბრუნება. ეს მოულოდნელი იყო ჩინელი უ მიცზინისთვისაც, მუტლუს გარეშე თავი უკვე ოლიმპიურ ჩემპიონად რომ წარმოედგინა, მაგრამ მოტყუვდა, 287,5 კილოგრამით მხოლოდ „ვერცხლს" დასჯერდა.

სურათზე: სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი თურქი ხალილ მუტლუ.



დუელი ცისფერ ბილიკებზე

მართალია, დუელში ორი კაცი მონაწილეობს, მაგრამ ათენში ცისფერ ბილიკებზე ერთმანეთს თანამედროვეობის სამი უძლიერესი მოცურავე დაუპირისპირდა. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ზოგი გამარჯვებას ჰოლანდიელ ვან დენ ხუგენბანდს უწინასწარმეტყველებდა, ზოგი ავსტრალიელ იან ტორპს, ზოგიც ამერიკელ მაიკლ ფელპსს. სამივეს ხომ უამრავი ტიტული აქვს მოპოვებული პლანეტის სხვადასხვა აუზში, უმაღლესი რანგის შეჯიბრებებზე. ნახევარფინალში და ფინალშიც სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, თანაც სამივე დიდებულ ფორმაშია.

და აი, სტარტიც. პირველი 50 მეტრი ჰოლანდიელმა სარეკორდო გრაფიკზე 0,37 წამით უფრო სწრაფად დაფარა, „ასეული" კი — 1,03-ით.

მაგრამ შემდეგ ავსტრალიელმა განსაკუთრებით იმძლავრა და ფინიშთანაც პირველი მივიდა. ამერიკელი ფელპსი „ოქროს" ნაცვლად „ბრინჯაოთი" დაკმაყოფილდა.

სურათზე: იან ტორპი.

ვინ არს, რომე არ ჰმონებდეს

ოლიმპიადა — ოთხწლედის მთავარი სპორტული მოვლენაა და ამიტომაც, ბუნებრივია, ბევრი სხვა (ტელევიზია, რადიო, ტრანსპორტი, რეკლამა, ვაჭრობა, ბანკები, წარმოიდგინეთ პოლიტიკაც კი) ცდილობს მას აუწყოს ფეხი, ყოველი მათგანი ერთგვარად სპორტული ხდება.

ორკვირიანი სპორტული დათვალიერება-დღესასწაული თავის კვალს სტოვებს სამოდელო ბიზნესზე.

მაგალითად, ცნობილმა ბერძენმა მოდელიერმა სოფია კოკიზალაკიმ, რომელიც, სხვათა შორის, ოლიმპიადის საზეიმო გახსნის ცერემონიის კოსტიუმების ერთ-ერთი შექმნელიცაა, ათენში წარმოადგინა ტანსაცმლის ახალი, აგვისტოს კოლექცია.

რასაკვირველია, პრეზენტაციას ისედაც უამრავი ხალხი დაესწრებოდა, მაგრამ ის უფრო ხალხმრავალი გახადა ჩვენი პლანეტის ერთ-ერთმა შესანიშნავმა მოდელმა ნაომი კემპბელმა, რომელიც მსუბუქი ტანსაცმლით, მოოქროვილი სანდლებითა და ძვირფასეულობით ნამდვილად მოგაგონებდათ ძველბერძნულ ქალღმერთს.

სპორტის რედაქცია.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

მეგობრები ზღვის პირას. პირველ რიგში მარცხნიდან: დათო არობელიძე, რეზო მხეიძე, ლელიკო ქიქოძე. მეორე რიგში: დათიკო ინწკირველი, მერაბ ფარცხალაძე, რეზო თოხაძე, ჯუკული გამსახურდია, ოთარ კორძაია, ნოდარ კახიძე, რეზო ხოფერია. 1948 წ. ბათუმი.

მოგვაწოდა ლელიკო ქიქოძემ.

შეხვედრა

მწერლის ერთი დღე გორში

ვინ იცის, რამდენჯერ გაიმეორეს, რამდენჯერ გადაღეჭეს ფრთიანი თქმა „როცა ზარბაზნები ქუხან, მუზები დუმილს ამჯობინებენო".

ღმერთმა დაიფაროს საქართველო ზარბაზნების ქუხილისგან და ყუმბარებით გადათხრილი მინდვრისგან. თუმცა, ლიახვის სანაპიროებზე ტყვია მაინც წივის და სისხლი მაინც იღვრება.

მოწინააღმდეგეზე ვერ იტყვი, მტერიაო. ერთ დროს, უახლოეს წარსულში ნათესაობას ვაღიარებდით, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით სიყვარულში და მოხდა მოსახდენი, აცხადდა ქართული ანდაზა „დიდმა სიყვარულმა დიდი სიძულვილი იცისო". თუმცა, ვფიქრობთ, რომ ეს „სიძულვილი" დროებითია, ბასილა პოლიტიკოსების დაგეგმილი და აცხადებული სიზმარია, რომელიც მალე მოშუშდება. მალე კვლავ სიხარული და სიყვარული დაისადგურებს საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში.

ეს აზრი იყო გაბატონებული 13 აგვისტოს გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შეკრებილ ადამიანთა შორის. თუმცა, თემა სხვა გახლდათ, მაგრამ ვერ გაექცნენ დღევანდელობას, რეალობას, რომელიც, სამწუხაროდ, წარმოიშვა ქართველ და ოს ხალხებს შორის. სინამდვილეში დაგეგმილი იყო, წინასწარ შერჩეული თემიდან არ გადაეხვიათ. მადლობა ეთქვათ 70 წლის ქართველ მწერალ გურამ გოგიაშვილისთვის, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მშობელ ხალხს მიუძღვნა, ქართულად თარგმნა ფრანსუა რაბლე, ერაზმ როტერდამელი, კოელიო და გამოჩენილ უცხოელ შემოქმედთა ბრწყინვალე ნაწარმოებები.

შემთხვევით არ გახსენებიათ გორელებს გურამ გოგიაშვილი. ახლა, როცა ერი ერთიანდება და დანაწევრებული სახელმწიფო მთლიანდება, საჭიროა, პირველ რიგში, ქართული ენის სადიდებელიც ითქვას. გურამ გოგიაშვილი ის შემოქმედია, რომელიც ჩვენს ენას განადიდებს და ძეგლს უდგას. ასეთი ქართულით თარგმნიდნენ ძველ და ახალ აღთქმას ჩვენი წინაპრები, რომლებიც ასეთ ენას ელოლიავებოდნენ და აცოცხლებდნენ. გურამ გოგიაშვილი კი იმ დიდებული წინაპრების დიდებული მემკვიდრე და საქმის გამგრძელებელია. სწორედ ამ ავბედით ჟამს არის საჭირო ასეთი შემოქმედის წარმოჩენა და დაფასება.

შეხვედრა გახსნა და გურამ გოგიაშვილის ღვაწლზე ისაუბრა გორის რაიონის გამგებლის მოადგილემ გურამ აბრამიძემ.

სტუმრის შემოქმედებაზე შეკრებილთ ესაუბრა საქართველოს მწერალთა კავშირის სამხარეო განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ჯემალ ინჯია, რომელმაც დასასრულს წაიკითხა შემოქმედისადმი მიძღვნილი ლექსი „მეგობრის იუბილე", „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტმა შიდა ქართლში გურამ ვაშაკიძემ გაიხსენა წარსული, დაახასიათა მწერალი, ჟურნალისტი და რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.



საინტერესო იყო ოსი ერის წარმომადგენლის ჩერმენ დუდაითის გამოსვლა. ჩერმენი გორში ცხოვრობს და წლების განმავლობაში იღვწის ორ ერს შორის არსებული ჭრილობის შესახორცებლად. ამჯერადაც ობიექტურად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა, ოსი ხალხის სახელით მიულოცა გურამ გოგიაშვილს 70 წლის იუბილე და ინატრა, ანალოგიური შეხვედრა ცხინვალშიც გაიმართოს.

შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს პოეტმა ემზარ კვიტაიშვილმა, ჟურნალისტმა ოთარ ხუციშვილმა, შერგილ სუხიტაშვილმა, ზაურ წაქაძემ და სხვ.

და მიიწურა ზაფხულის ცხელი დღე, გასრულდა მწერლის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო ქართლში.

თუმცა, არავის დავიწყებია, რომ იქ, საქართველოს მთებში, ისროდნენ და იღვრებოდა ქართული სისხლი.

ზაურ წაქაძე,
მწერალი, გაზეთ „გორის მოამბის" რედაქტორი.

გიხაროდეთ!

ანა, ნანა და... გიორგი

დიდად გაიხარა სვანიძეების ახალგაზრდა ოჯახმა. ერთი სული კიდევ შეემატათ. თათია ანთაძე 29 წლისაა, გური კვარაცხელია – 30-ის. მათ სიყვარულზე არაკებს ჰყვებიან. 9 წლის წინათ შექმნეს ლამაზი ოჯახი. აქამდე ორი მარგალიტივით გოგონა ჰყავდათ – 7 წლის ანა და 5 წლის ნანა. 14 აგვისტოს კი მესამე შვილიც შეეძინათ, შავქოჩორა და ლურჯთვალება ბიჭი, პატარას დაიკოებმა გიორგი (გიგი) დაარქვეს და მოუთმენლად მოელიან.

მესამე შვილს ვულოცავ ჩემს დაიკო თათიას და სიძეს გურის. ღმერთმა

შვილთა სიმრავლე და სიხარული ნუ მოაკლოს მათ მშვენიერ ოჯახს.

ია კვარაცხელია.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

სათნოება

ექლვნება ჟურნალისტის ხსოვნას

შაბათს, 28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე „კათარზისში" კვლავ ღია კარის დღეა.

ყველას, ვისაც სურვილი აქვს, გემრიელად დაპურდეს, 11-დან 17 საათამდე გიწვევთ სათნოების სახლში (დავით აღმაშენებლის, 126).

ამჯერად, თქვენი მასპინძელია გაზეთი „კვირის პალიტრა". რაც ეძღვნება გაზეთის ახლახან გარდაცვლილი მთავარი რედაქტორის **ლალი გუნთაიშვილის ხსოვნას.**

ცნობებისათვის დარეკეთ – 95-16-46 (11-დან 17 საათამდე).

ცოტაც გავიღიმოთ...

– დიდი ურჯუკი ვინმე ხარ, – საყვედურობს მარო მიხოს, – ვერა ხედავ, ნიკას ყველგან დაჰყავს ცოლი, მე და შენ კი ერთად ჯერაც არსად წავსულვართ...

– მართალი ხარ, – ეთანხმება მიხო, – აი, ნაგვის გადასაყრელად რომ წავალ, აუცილებლად წაგიყვან.

* * *

– უკაცრავად, შეგიძლიათ მომცეთ პატიმარ ციხელაშვილთან შეხვედრის უფლება? – ეკითხება ციხის უფროსს მანდილოსანი.

– დაგაგვიანდათ. იგი გუშინ გაათავისუფლეს. თუ გსურთ, რომ მას ჩვენთან შეხვდეთ, ერთ თვეში შემოიარეთ.

* * *

ბავშვები სიცოცხლის ყვავილებია. შეაგროვე თაიგული? – აჩუქე ბებიას.

* * *

ბოლოს და ბოლოს აიხდინა მიხომ ბავშვობის ოცნება: მთლიანად დააგო ასფალტი მშობლების ბოსტანში.

* * *

ბრუნდება ვასია სახლში და რას ხედავს: მისი ცოლი ვიღაც მამაკაცთან ჩაკოტრიალებულა საწოლში.

– აი, შე კახპავ, როგორც კი გავედი სახლიდან, პირველსავე შემხვედრს ჩაუგორდი, არა? – ყვირის განრისხებული ვასია.

– ეს სულაც არ არის პირველივე შემხვედრი. პირველმა შემხვედრმა უარი მითხრა.

* * *

ზოგიერთ მამაკაცს რქები იმიტომ კი არ ამოსდის, რომ მათი ცოლები გან-გან დადიან და ერთობიან, არამედ იმიტომ, რომ ისინი თავიანთი ცხოვრების წესით არიან „ჯიხვები".

* * *

ილვიძებს ნაბახუსევი ჭიჭიკია. თავი უსკდება, პირი უშრება. რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს.

– ოჰ, თამარა, შე სულძაღლიანო, შენ ასეთო, შენ ისეთო, – ხმამაღლა ლანძღავს სიდედრს.

– დედაჩემს რას ერჩი, რას ლანძღავ, შე ლოთო, – ეპასუხება მეუღლე.

– სალანძღავია, აბა რა, ერთადერთ ქალიშვილს ისეთ სახელს რომ დაარქმევს, ქმარიც რომ ვერ გაიხსენებს...

ნატურიდან

„ველოვირპედი"

ეს უცნაური ჰიბრიდი – „ველოვირპედი" გამოვიგონეთ მათთვის, ვისაც ე. წ. პროსტატის ჯირკვლის ავადმყოფობა შეჰყრია.

ერთ ჩვენს კოლეგას, 70 წელს გადაცილებულ, მაგრამ კერკეტი კაკალივით მაგარ კახელ კაცს, როგორც მასთან გასაუბრებისას შევიტყვე, თურმე ის ავადსახსენებელი და რთულად მიმდინარე ავადმყოფობა შეჰყრია. მე, როგორც სპორტულ მედიცინაში ჩახედულმა, იმწამს შევთავაზე, სასწრაფოდ ელიავას ბაზარზე გასულიყო და ველოსიპედი ეყიდა.

– ყოველდღე თუ 5-10 კილომეტრს გაივლი ორ თვალზე ამხედრებული, გადარჩები – თავს საჯიჯგნად არ ჩაუგდებ ქირურგებს და კაიძალ ფულსაც დაზოგავ-მეთქი, ვურჩიე გაჭირვებულს.

– მერედა, რა ეღირება ეგ შენი ველოსიპედი? – სერიოზულად დაინტერესდა.

– გააჩნია, რა მარკისას იყიდი, ასე 150-250 ლარში გამოხვალ, – ავუხსენი.

– ამ ფულით ერთს კი არა, ბარე ორ ვირს ვიყიდი კახეთში, თანაც სულ დარჩეულ ჩოჩორებს.

– ?!

– განა რა განსხვავება იქნება მაგ შენს ორთვალასა და ჩემს ოთხფეხა ტრანსპორტს შორის?

– პრინციპში, არავითარი, – დავეთანხმე ვირების მოყვარულს და, შეუმჩნევლად, იმ შინაური ცხოველის დადებით მხარეებზე გადავიტანეთ საუბარი.

– მართლაც, განა ვირი არ გამოდგება როგორც სამკურნალო საშუალება? შემოაჯექი და ატარე აღმა-დაღმა, არც დიდი კვება უნდა, არც ბენზინი, ან ფეხების ტრიალი. იმ ადგილას, სადაც პროსტატის ჯირკვალია, ვირი უფრო არ დაგინაყავს? – აღფრთოვანებას ვერ ფარავდა კოლეგა.

– თანაც, თუ დაგჭირდა, „ტაჩკაშიც" შეაბამ, – კვერი დავუკარი.

– „ტაჩკაშიც" და სხვა საქმეშიც კარგად გამოიყენებს კაცი, – დაფიქრებით განაგრძო კოლეგამ.

დავძენ, რომ ის ჩემი ამხანაგი კახეთშია დაბადებულ-გაზრდილი და რა ფიქრებს აჰყვა ამჯერად, ჩემთვის რთული მისახვედრია.

– მაინც რომელს ამჯობინებ, ოთარ? – ვკითხე მომავალ პაციენტს, ველო თუ ვირ...

– ველოვირპედს! – მომიჭრა მან და ხელი ჯიბისკენ წაიღო, – ალბათ, ფინანსების შესამოწმებლად.

ახლა ველოდები, რომელი სახის ტრანსპორტით მოვა სამსახურში ოთარი: ველოსიპედით თუ მისი შემცვლელი – ველოვირპედით.

ანზორ ბასილაია.

ხსოვნა

ზურაბ სარალიძე



ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა – ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ სამოცდაშვიდი წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ელ. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მყარი სხეულების ფიზიკის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **ზურაბ სარალიძე.**

ზურაბ სარალიძე დაიბადა თბილისში 1937 წელს. 1955 წ. დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-6 სკოლა, ხოლო 1960 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრებიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მისი ცხოვრება და სამეცნიერო საქმიანობა მთლიანად იყო დაკავშირებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტთან.

ზურაბ სარალიძემ თავისი გზა მეცნიერებაში დაიწყო ფიზიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილებაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ, პროფესორ გივი ხუციშვილის ხელმძღვანელობით. თავისი სამეცნიერო საქმიანობა მან იმთავითვე დაუკავშირა მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკის დარგს, რომელშიც არსებითი მომზადება გაიარა ხარკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში აკადემისკოსების ილია ლიფშიცისა და არნოლდ კოსევიჩის ხელმძღვანელობით. ხარკოვიდან დაბრუნების შემდეგ ზურაბ სარალიძე განაგრძობს მუშაობას რადიაციული მასალათმცოდნეობის დარგში და მცირე ხანში ამ დარგის ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტი გახდა საკავშირო მასშტაბით. მას გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. იგი იყო ფიზიკის ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, წლების განმავლობაში იყო საერთაშორისო თუ საკავშირო კონფერენციების ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე. უკანასკნელ წლებში ბატონი ზურაბის ხელმძღვანელობით ფიზიკის ინსტიტუტში შესრულდა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის გრანტით დაფინანსებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ინოვაციური ხასიათის პროექტი.

ხაზგასმით აღსანიშნავია ის თავდადებული საორგანიზაციო საქმიანობა, რომელსაც ზურაბ სარალიძე ეწეოდა უკანასკნელ წლებში როგორც ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და ბირთვული ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი – ამავდროულად ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ აღიარებული ექსპერტი. მისი აქტიური მონაწილეობით ჩატარდა ბირთვული რეაქტორის კონსერვაცია. ზურაბ სარალიძის თავდაუზოგავი საქმიანობის შედეგია 1994-2002 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი რადიაციული წყაროების იდენტიფიკაცია და უვნებელყოფა. ამ მიმართულებით ზურაბ სარალიძის მიერ ქვეყნისა და ერის წინაშე გაწეულ სამსახურს მომავალი თაობები ღირსეულად დააფასებენ.

ზურაბ სარალიძის წასვლა უდიდესი დანაკლისია არა მარტო მისი კოლეგებისა და მეგობრებისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის. მისი სახით კიდევ ერთი, ქვეყნისთვის თავდადებული, გულისხმიერი, ბრძენი, კეთილი და ლამაზი მამულიშვილი დააკლდა საქართველოს.

მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა შენთვის, ჩვენო ზურაბ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება,
ელ. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი.

მეუღლე ნატალია, შვილები გიორგი, ალექსანდრე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ სარალიძე

პანაშვიდი 17, 18 VIII, 17 სთ, ფალიაშვილის 66, III სადარბაზო.

გამოსვენება 19 VIII, 15 სთ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ელ. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტიდან (თამარაშვილის, 6).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ელ. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის მყარი სხეულების ფიზიკის განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა განყოფილების ხელმძღვანელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ზურაბ სარალიძე

გამოსვენება ფიზიკის ინსტიტუტიდან 19 VIII, 15 სთ. თამარაშვილის ქ. № 6.

ცისანა, ცისია, ოთარ და ვასიკო კიკნაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათელა მაჭავარიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სერგო ლორთქიფანიძე, გოგი ლორთქიფანიძე, მარიკა ქარქაშაძე, მარინა ანდრიაძე, ციცინო გახოკიძე, ნუნუკა ალადაშვილი, დარეჯან ბლიაძე, ეკა ბუხრაშვილი, ნინო ჩიხლაძე, მაგდა ჭიკაძე, თამრიკო ტალიაშვილი, მარინა ჩხარტიშვილი, მანანა ქაჯაია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი

ზურამ ჩხაიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კიაზო ჭანტურია ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს

მამუკა მეტრეველის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



საქართველოს გენერალური პროკურატურა იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს გენერალური პროკურატურის შს სამინისტროს ორგანოებში სისხლისსამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი პროკურორი

მამუკა მეტრეველი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის შს სამინისტროს ორგანოებში სისხლისსამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე სამმართველოს უფროსი პროკურორის

მამუკა მეტრეველის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გიორგი თვალავაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მამუკა მეტრეველი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დედა ნანა ჟორდანია, მამა ომარ კაჭარავა, ძმები გიორგი, დავითი, ლევანი, რძალი გვანცა სალაყაია, მამიდები ბელა კაჭარავა, ვენერა ღვანია, დეიდაშვილები მარინა, ციცო წალდაძეები, საშა, დათო ზაკალაშვილები, ლიკა, ვახტანგ ვეშაპიძეები, ნანო, მანანა, თამილა ღლონტები, მამიდაშვილები დათო, ზურა ქევანიშვილები, ვახტანგ, ლალი ვაჭარაძეები, ნათესავები მანანა მაჩიტიძე, კაკო სალაყაია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ (თამუნა) კაჭარავა

პანაშვიდი 19, 20 VIII, 17 სთ., მისამართი: წყნეთი, რუსთაველის ქ. (ეკლესიის წინ). პანაშვიდზე მომსვლელებს მოემსახურება მიკროავტობუსი ვაკის სასაფლაოს შესასვლელთან 16.30-დან 20 სთ-მდე. გამოსვენება: 21 VIII, 15 სთ., ვაკის წმინდა სამების ეკლესიიდან (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 37). დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

მალხაზ დოლიძე, თამაზ ნავროზაშვილი, იმედო გიგიბერია ოჯახებით უსამძიმრებენ ომარ კაჭარავას ქალიშვილის

თამუნა კაჭარავას

გარდაცვალების გამო.

სააქციო საზოგადოება თბილისის № 4 პურის ქარხნის კოლექტივი უსამძიმრებს ქარხნის ყოფილ დირექტორს ომარ კაჭარავას ქალიშვილის

თამუნა კაჭარავას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი, თბილისის პურის მრეწველთა კავშირი უსამძიმრებს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს გადამმუშავებელი დეპარტამენტის უფროსს ომარ კაჭარავას ქალიშვილის

თამუნა კაჭარავას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა სასურსათო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის ომარ კაჭარავას ქალიშვილი

თამარ კაჭარავა

და სამძიმარს უცხადებენ დაღუპულის ოჯახს.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება თანაუგრძნობს გაერთიანების პრესცენტრის უფროსს მერაბ უძილაურს მამის

ღვთისო უძილაურის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ელ. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ იგორ მარგველაშვილს მეუღლის

იზოლდა ლექავას

გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამოიცემა შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებელი-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები.
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი **რუსუდან ლორთქიფანიძე.**

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: **sakresp@gol.ge**
ვებ გვერდი: **www.open.ge/sakartvelos-respublika**